

წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემია

# სკანდინავიის მრავალეული

აზრი მოქმედებაში



# 1

თბილისი – მარტვილი  
2015 – 2016

წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემია

# ჯგჯღეიღის ეღეეეე

ჯჯჯი ეეეეეეეეეე



# 1

ღეეეეეეეეეე ჭყონდიდელი მიტროპოლიტი პეტრეს (ჯეეეე) ლოცვა-კურთხევით

თბილისი – მარტვილი  
2015 – 2016

„საკადემიის მოამბის“ დამფუძნებლები:

ჭყონდიდელი მიტროპოლიტი **პეტრე (ცაავა)** – საკადემიის დარბაზის თავი  
 იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მალხაზ ბაძალუა** – საკადემიის რექტორი

„საკადემიის მოამბე“ გამოიცა საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მხარდაჭერით

„საკადემიის მოამბის“ პასუხისმგებელი მდივანი – სამართლის მაგისტი **ირაკლი ბალიშვილი**

ტექნიკური რედაქტორი – **ლევან თითმერია**

კორექტორი – **თამარ ცქიტიშვილი**

ISSN 2449-2639

დაიბეჭდა გამომცემლობა „ინტელექტში“

გამოცემას ერთვის უნმიდესისა და უნეტარესის,  
 სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის,  
 მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის  
 მიტროპოლიტის ილია II-ის ქადაგებები მარტვილში,  
 ჭყონდიდლობაზე 2007-2008 წლებში, DVD დისკის სახით



**შინაარსი**

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის 2008 წელის 25 სექტემბრის ქადაგება მარტვილში ჭყონდიდლობაზე ..... 4

წინასიტყვაობა „აკადემიის მოამბის“ პირველი ნომრისათვის ..... 6

წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემიის დაფუძნება ..... 7

არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემია“ წესდება — დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმება ..... 8

წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემიის ისტორიულ-ლიტერატურულ ნაშრომზე „საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში“ კონკურსი ..... 14

აკადემიის რექტორატის 2015 წლის 20 იანვრის სხდომის ოქმი №1 ..... 14

აკადემიის ისტორიულ-ლიტერატურულ ნაშრომზე „საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში“ კონკურსის დებულება ..... 15

აკადემიის რექტორატის 2015 წლის 18 თებერვლის სხდომის ოქმი №2 ..... 17

„საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში“ კონკურსის შედეგები ..... 19

კონკურსში გამარჯვებული ნაშრომები ..... 21

**ილია ქვარცხავა** – ქალაქ სენაკის №7 საჯარო სკოლის მოსწავლე „საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში“ ..... 21

**მალხაზ არაბული** – ქალაქ თბილისის №115-ე საჯარო სკოლის მოსწავლე „საქართველო დავით აღმაშენებლის დროს“ ..... 27

**სათიკ იაყიანი** – ნინოწმინდის რაიონი სოფ. ეშტის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე „დავით აღმაშენებელი“ ..... 35

**ლია თედიაშვილი** – საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტი „დავით აღმაშენებელი თანამედროვე ხატწერაში“ ..... 41

**ნიკოლოზ ყლენტი** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი; კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელი „მეფე დავით IV-ის (1089-1125 წწ.) „აღმაშენებლად“ მოხსენიების პირველი ოფიციალური პრეცედენტები“ ..... 48

**ალექსანდრე გიგიაშვილი** – ყვარლის რაიონის სოფ. ენისელის მცხოვრები, პენსიონერი, ისტორიკოსი „საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში“ ..... 60

**უნძიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის  
მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და  
ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის  
2008 წლის 25 სექტემბრის ქადაგება მარტვილში,  
ჭყონდიდლობაზე**

**„სამეგრელო მუდამ უნდა იყოს დარაჯი საქართველოს მთლიანობისა!“  
სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა!  
ჩვენთან არს ღმერთი!**

ყველას გილოცავთ ამ დიდებულ დღესასწაულს! ჩვენ დღეს ვიხსენიებთ იმ უდიდეს პიროვნებას, რომელმაც დატოვა ნარეშული კვალი საქართველოს ისტორიაში. ჩვენ ვიხსენებთ იმ დიდებულ პიროვნებას, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა საქართველოს მშვიდობასა და კეთილდღეობას. ეს არის წმინდა მამა გიორგი ჭყონდიდელი, ჩვენი ქვეყნის უდიდესი სასულიერო და საერო მოღვაწე, აღმზრდელი წმინდა მეფე დავით აღმაშენებლისა.

რომ გადავხედოთ ჩვენ წარსულს, ჩვენი ქვეყნის ისტორიას, დავინახავთ, რომ უმძიმესი გაჭირვებისა და განსაცდელის ჟამს ღმერთი უგზავნიდა ხოლმე საქართველოს ისეთ პიროვნებას, რომელიც მხსნელად ევლინებოდა ჩვენს სამშობლოს. საქართველოს მუდამ ძნელბედობის ჟამი ედგა. მტერი მუდამ ცდილობდა, გადაეტეხა იგი ხერხემალში, მაგრამ ამაო იყო მათი მცდელობა, – საქართველო კვლავ ძლიერდებოდა, კვლავ მთლიანდებოდა და ეს ხდებოდა ღვთის წყალობით და უფლის მიერ მოვლენილი ღვთიურჩეული ადამიანების მეშვეობით. ბედნიერი იყო დავით აღმაშენებელი, რომ სწორედ მის დროს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გიორგი ჭყონდიდელი, და ასევე ბედნიერი იყო გიორგი ჭყონდიდელი და მთელი საქართველო, რომ იმ ხანად საქართველოს მმართველი იყო დიდი მეფე – დავით აღმაშენებელი!

ადამიანი დაჯილდოებული რომ იყოს დიდი ნიჭითა და მადლით, ამისთვის საჭიროა ღვთის წყალობა, ღვთის ლოცვა-კურთხევა. უფალი ეუბნება წინასწარმეტყველს: ჯერ ჩასახული არ იყავი დედის მუცელში, როდესაც უკვე გიცნობდიო. ყოველი ადამიანის ბედი განჭვრეტილია უფლის მიერ და მამაზეციერმა წინასწარ უწყის მისი ცხოვრება, მისი მოღვაწეობა და იმის მიხედვით, თუ რისი გამკეთებელია ესა თუ ის პიროვნება, ანიჭებს მას მადლსა და ძალას სულისა წმინდისა.

რა არის სული წმინდის მადლი? ეს არის ძალა და მადლი ღვთისა – უძლურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი; ეს არის ის ძალა, რომელიც მოდის ღვთისაგან, ეს არის ის ძალა, რომელიც აცხოვნებს ადამიანს და აცხოვნებს მის გარშემო მყოფთაც.

ერთმა ბრძენმა თქვა: „თუკი შენ დაკარგე სიმდიდრე, ფული – შენ არაფერი დაგიკარგავს, იმიტომ რომ სიმდიდრე და ფული ისევ მოვა შენთან. შეიძლება, შენ დაკარგო ჯანმრთელობა, მაგრამ ცოცხალი დარჩე, ხოლო, თუ შენ დაკარგავ ღვთის მადლსა და წყალობას, შენ ყველაფერი დაკარგული გაქვს“. ღმერთმა ინებოს, რომ არ დაკარგოს საქართველომ მადლი და წყალობა ღვთისა! ბედნიერი ვიყავით, ვართ და ვიქნებით, რადგან საქართველოს ჰყავდა დიდი წინაპრები და ახლა ჰყავს ისეთი წმინდანები, რომელნიც იცავენ ჩვენს ქვეყანას ხილული და უხილავი მტრებისაგან!

ჩვენ ვიმყოფებით წმინდა ადგილზე, იმ წმინდა ადგილზე, სადაც დავით აღმაშენებელი და წმინდა გიორგი ჭყონდიდელი ბჭობდნენ საქართველოს მომავალზე, ფიქრობდნენ ჩვენი ქვეყნის მშვიდობასა და კეთილდღეობაზე. თქვენ იცით, აქ, ამ წმინდა ტაძარში არის სავანე, მცირე სენაკი, სადაც ეს ორი მადლმოსილი ადამიანი განმარტოვდებოდა

ხოლმე და მსჯელობდა საქართველოს მომავალზე. დავით აღმაშენებელი კი არ იწვევდა სამეფო სასახლეში გიორგის, არამედ თვითონ მოდიოდა მასთან და ეკლესიის თალებქვეშ ისინი ერთად ფიქრობდნენ სამშობლოზე. ამიტომაც, რომ განავრცო დავითმა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე!

საოცარი პიროვნება იყო ერთიცა და მეორეც; განსაკუთრებული თავმდაბლობით გამოირჩეოდნენ ისინი. მეფე დავით აღმაშენებელს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა და მხოლოდ „გალობანი სინანულისანი“ დაენერა, ეს უკვე საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ მსოფლიოს გაეცნო მისი ნიჭი!

„ქართლის ცხოვრებაში“ წერია, რომ გიორგი ჭყონდიდელი იყო სასულიერო მოღვაწე და ამავე დროს საერო მოღვაწეც, რომელიც დღედაღამ ზრუნავდა ჩვენს სამშობლოზე. დღეს, როდესაც ჩვენ ვიხსენიებთ წმინდა გიორგი ჭყონდიდელს, არ შეგვიძლია, მასთან ერთად არ ვადიდოთ და თაყვანი არ ვსცეთ ქართველთა დიდ მეფეს დავით აღმაშენებელს, რომელსაც 16 წლის ჭაბუკობისას დაადგეს სამეფო გვირგვინი. ეს იყო არა მარტო დიდება მისი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, დიდი და მძიმე ჯვარი და ეს მძიმე ჯვარი მეფემაც და მისმა მოძღვარმაც ერთად ატარეს ღირსეულად!

მინდა გითხრათ, რომ თუკი ადამიანი ფიქრობს სამშობლოს მომავალზე და ეყრდნობა საკუთარ ძალასა და სიბრძნეს, იგი ვერაფერს მიაღწევს, რადგან ეს ძალისხმევა არ არის საკმარისი, საჭიროა ღვთის დახმარება, ღვთის მადლი, საჭიროა ნება ღვთისა! ამ ორი ნების შეერთებას – ღვთისა და ადამიანის ნების შეერთებას ეწოდება სინერგია. ამ ორი ენერგიის შერწყმა საჭირო სახუკვარი მიზნის მისაღწევად. ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც მოახერხებს ამას. შევთხოვთ უფალს, რომ სინერგია მოხდეს საქართველოში, რომ ჩვენი სასულიერო და საერო ძალა იყოს ერთად და მთელი ქვეყანა შეიკრას ერთ მუშტად! არ შემიძლია არ ვთქვა, რომ დღეს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აქვს ამ კუთხეს. სამეგრელო მუდამ უნდა იყოს დარაჯი საქართველოს მთლიანობისა! სამეგრელო უნდა იცავდეს საქართველოს ერთიანობას. ამის მაჩვენებელი არის ამ კუთხიდან ბრძოლის ველზე დაცემული მრავალი ჩვენი შვილი. ჩვენ ყოველდღიურად ვიხსენებთ მათ, მაგრამ დღეს მინდა ვისარგებლო იმით, რომ ვიმყოფებით ამ წმინდა ადგილზე და ყველამ ერთად შევასრულოთ პანაშვიდი ამ ომში გამარჯვებულ და დაცემული სენაკელი ახალგაზრდებისათვის; ვილოცოთ მათი უკვდავი სულებისათვის.

მახსენდება ალექსანდრიის პატრიარქის სიტყვები – ეს იყო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში, იგი სტუმრად იმყოფებოდა საქართველოში (ალექსანდრიის პატრიარქი – უდიდესი ფიგურაა, მას მეორე ადგილი უკავია მართლმადიდებელ პატრიარქთა შორის); მისი ტიტულია „პაპი და პატრიარქი ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკისა, მე-13 მოციქული და მსოფლიო მსაჯული“. აი, ასეთი პიროვნება ჩამობრძანდა ჩვენთან და მე იგი მაშინ ჩავიყვანე დარიალის ხეობაში და ვთხოვე, დაელოცა საქართველოს საზღვრები, რომ მტერმა ვერაფერი დაგვაკლოს-მეთქი. მან დალოცა ჩვენი ქვეყნის საზღვრები და თქვა: „საქართველოს ჰყავს იმდენი წმინდა მონაწილე, მღვდელმთავარი და ღირსი მამა, რომ მათ შექმნეს ზეციური მხედრიონი, რომელიც იცავს საქართველოს მთლიანობას!“ და ჩვენი ძალა, ჩვენი ლოცვა უნდა შეუერთდეს ზეციურ სამყაროს და მაშინ საქართველო იქნება უძლეველი! დალოცვილი და გახარებული გამყოფით მამაზეციერმა თქვენ და სრულიად საქართველო!

ახლა კი შესრულდება პანაშვიდი ომში დაღუპული გმირებისათვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები.

ჩვენთან არს ღმერთი!

## **წინასიტყვაობა “საკადემიის მოხაზის” პირველი ნომრისათვის**

2014 წლის 25 სექტემბერს მარტვილის რაიონში წყონდიდელმა მიტროპოლიტმა პეტრემ (ცაავა) და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მალხაზ ბაძალუამ დააფუძნეს „წმინდა გიორგი წყონდიდელის სახელობის აკადემია“.

2015 წლის 20 იანვრიდან – 1 ივნისამდე „წმინდა გიორგი წყონდიდელის სახელობის“ აკადემიამ ჩაატარა კონკურსი ისტორიულ-ლიტერატურულ ნაშრომზე „საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში“.

დებულების თანახმად, კონკურსის მასალები და გამარჯვებულთა ნაშრომები „აკადემიის მოამბის“ ნომერშია წარმოდგენილი.

2015 წლის 3 ივნისს წმინდა გიორგი წყონდიდელის სახელობის აკადემიის გადაწყვეტილებით, დაფუძნდა მარტვილის საღვთისმეტყველო სასწავლებელი, სასწავლებლის რექტორად დამტკიცდა წყონდიდელი მიტროპოლიტი პეტრე (ცაავა), ხოლო სასწავლებლის პრორექტორად – მღვდელ-მონაზონი ანდრია (სარია) და მასვე დაევალა საორგანიზაციო საკითხების მოგვარება.

2015 წლის 12 ივლისს, მარტვილში პეტრე-პავლობის დღესასწაულთან დაკავშირებით წმინდა გიორგი წყონდიდელის სახელობის აკადემიამ, წყონდიდელი მიტროპოლიტის პეტრეს ლოცვა-კურთხევით, მარტვილის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძრის ტერიტორიაზე, პეტრე-პავლობის დღესასწაულის საზეიმო წირვის შემდეგ გამართა პოეზიის საღამო „32 წლის შემდეგ“.

„1983 წელს მარტვილის ტაძარში, სადაც კომუნისტური მმართველობის პირობებში საღვთისმსახურო ქმედებები შეწყვეტილი იყო, თამაზ და მალხაზ ბაძალუების ინიციატივითა და ორგანიზებით, ანთებული კელაპტრებისა და გალობის ფონზე პოეზიის საღამო ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობდნენ მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ზაურ კალანდია, ბათუ დანელია, ბალათერ არაბული და ან გარდაცვლილი გივი ელიავა, დავით მჭედლური, თენგიზ ჩალაური, თამაზ ბაძალუა.“ 32 წლის შემდეგ აღნიშნული პოეზიის საღამო და გარდაცვლილი კოლეგები გაიხსენეს ლიტერატორებმა და მწერლებმა: ზაურ კალანდიამ, ბათუ დანელიამ, გენო კალანდიამ, ივანე ამირხანაშვილმა, უჩა შერაზადიშვილმა, კახმეგ კუდავამ, ლევან თითმერიამ და სხვებმა.

ლონისძიების ფარგლებში, მარტვილის რაიონის მუნიციპალიტეტის და საკრებულოს ხელმძღვანელებმა, ნათესავეებმა, მეგობრებმა და კოლეგებმა პატივი მიაგეს ოჯახთან ერთად ტრაგიკულად და უდროოდ გარდაცვლილი პოეტის, დრამატურგისა და მთარგმნელის თამაზ ბაძალუას საფლავს მარტვილის რაიონის სოფელ ნახუნაოში, სადაც მისი სულის მოსახსენებელი პანაშვიდი აღსრულდა.

2016 წლის 1 მაისს წმინდა გიორგი წყონდიდელის სახელობის აკადემიის წესდების თანახმად, წყონდიდელი მიტროპოლიტის პეტრეს ლოცვა-კურთხევით, მისი და აკადემიის რექტორის, პროფესორ მალხაზ ბაძალუას ინიციატივით დაარსდა წმინდა გიორგი წყონდიდელის სახელობის აკადემიის „აკადემიის მოამბე“.

## წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემიის დაფუძნება

2014 წელი 25 სექტემბერს მარტვილის რაიონში ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა პეტრემ (ცაავა) და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მალხაზ ბაძალუამ დააფუძნეს „წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემია“.

აკადემიის ძირითადი მიზანია სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, სამეცნიერო-კვლევითი, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული ერთობლივი პროექტებით ხელი შეუწყოს:

1. სრულიად საქართველოს ერთიანობის იდეის განვითარებას და ერის ერთსულოვნებას;
2. წმინდანების – დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელის ეპოქის კვლევას და საზოგადოების ინფორმირებას;
3. ქართული, ეროვნული ცნობიერებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება-განვითარებას, წარსულის შესწავლას და მომავლის რაციონალურ გააზრებას; გლობალიზაციის შეუქცევად პირობებში, ისტორიული მისიის გათვალისწინებით, საქართველოს მსოფლიოს თანამეგობრობაში ადგილის დამკვიდრებას;
4. ქართული სახელმწიფოს და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის, სამართლის, სახელმწიფოს მშენებლობის და მართვის საკითხების შესწავლა-განალიზებას;
5. საზოგადოებაში სახელმწიფოებრივი აზროვნების დამკვიდრებას;
6. ქვეყნის ხელისუფლების, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის და საზოგადოების, დედაქალაქისა და რეგიონების, საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, თაობების მჭიდრო დაახლოება-განვითარებას;
7. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების შესრულებას;
8. მარტვილის რაიონში კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ ინიციატივებს;

აკადემიის რექტორატის შემადგენლობაში არჩეულია ჭყონდიდელი მიტროპოლიტი პეტრე (ცაავა) და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მალხაზ ბაძალუა, აკადემიის მნიგნობართა დარბაზის ხელმძღვანელად – დარბაზის თავად არჩეულია ჭყონდიდელი მიტროპოლიტი პეტრე (ცაავა), ხოლო აკადემიის რექტორატის (გამგეობის) თავმჯდომარედ – აკადემიის რექტორად არჩეულია პროფესორი მალხაზ ბაძალუა.



- განახორციელოს:
- 9. სამეცნიერო-კვლევითი – ანალიტიკური, პედაგოგიური, საგანმანათლებლო, აღმზრდელი, სახელოვნებო, სპორტული და კულტურული პროექტები;
- 10. სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ერთობლივი პროგრამები და პროექტები;
- 11. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, სიმპოზიუმები, სესიები, ლექცია-სემინარები, ღია გაკვეთილები, მრგვალი მაგიდები, დისკუსიები, გამოფენები, კონკურსები და გამოცემები, მათ შორის – პერიოდული;
- 12. მონაცემთა საინფორმაციო ბაზების შექმნა; სპეციალური სწავლებების ორგანიზება;
- 13. ასევე სხვა სახის საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას;
- 1.8.** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია;
- 1.9.** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

## **მუხლი 2 აკადემიის დამფუძნებლები**

- 2.1.** აკადემიის დამფუძნებლები არიან:
  - 1.** **ჭყონდიდელი მიტროპოლიტი პეტრე (ცაავა);**
  - 2.** **იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მალხაზ ბაძალუა,**

## **მუხლი 3 აკადემიის მართვა და ხელმძღვანელობა**

- 3.1.** აკადემიის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს აკადემიის წევრთა – მნიგნობართა დარბაზი (კრება);
- 3.2.** მნიგნობართა დარბაზს ხელმძღვანელობს – დარბაზის თავი – ხელმძღვანელი, რომელიც:
  - ახორციელებს აკადემიის საერთო ხელმძღვანელობას;
  - ხელმძღვანელობს აკადემიის კონტროლის კომისიას, რომელიც აკონტროლებს აკადემიის საქმიანობას, წევრთა მიღება/გარიცხვას, ქონებრივ და ფინანსურ საქმიანობას;
  - ხელმძღვანელობს დარბაზის სხდომებს;
  - წარმართავს აკადემიის სტრატეგიულ ხაზს;
  - ანგარიშვალდებულია მნიგნობართა დარბაზის წინაშე;
- 3.3.** მნიგნობართა დარბაზის თავს ოთხი წლის ვადით ირჩევს მნიგნობართა დარბაზის წევრთა 4/5, ღია კენჭისყრით;
- 3.4.** მნიგნობართა დარბაზი იკრიბება წელიწადში ერთხელ. რიგგარეშე დარბაზის

მონვევის უფლება აქვს რექტორატს (გამგეობას);

**3.5.** მნიგნობართა დარბაზი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დარბაზის წევრთა 2/3. მნიგნობართა დარბაზის რომელიმე წევრის მიერ საპატიო მიზეზით სხდომის გაცდენის შემთხვევაში, დარბაზი უფლებამოსილია, გააგრძოს სრულუფლებიანი ფუნქციონირება არგამოცხადებული წევრის წინასწარ არსებული სიტყვიერი ან წერილობითი თანხმობის საფუძველზე;

**3.6.** მნიგნობართა დარბაზის სხდომაზე გადანყვეტილება მიიღება დარბაზის მონაწილეთა ხმათა უმრავლესობით. გამონაკლისია წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, აკადემიის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ გადანყვეტილებები. ისინი შეიძლება მიღებულ იქნეს დარბაზის წევრთა 4/5-ის მიერ;

**3.7.** მნიგნობართა დარბაზის წევრები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით;

**3.8.** მნიგნობართა დარბაზი:

- ამტკიცებს აკადემიის წესდებას, წესდებაში შესწორებებსა და/ან ცვლილებებს, რის შესახებაც დაუყოვნებლივ აცნობებს მარეგისტრირებელ ორგანოებს; ამტკიცებს აკადემიის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმას/პროექტებს, წლიურ ბიუჯეტს;

- წარადგენს და ირჩევს დარბაზის წევრთაგან რექტორატს;

- შეუძლია ვადაზე ადრე შეუწყვიტოს უფლებამოსილება რექტორატის ნებისმიერ წევრს;

- ამტკიცებს რექტორატის წევრთა შორის არჩეულ ხელმძღვანელს (თავმჯდომარეს – რექტორს);

- აქვს უფლება მოიწვიოს როგორც დარბაზის, ისე რექტორატის რიგგარეშე სხდომა;

- მნიგნობართა დარბაზის წევრს აქვს უფლება, ნებისმიერ დროს დატოვოს მნიგნობართა დარბაზი საკუთარი სურვილის საფუძველზე. ამის შესახებ მან წერილობით უნდა აცნობოს რექტორატს;

- აკადემიიდან წევრის წასვლის შემთხვევაში, მნიგნობართა დარბაზი აკადემიის წევრებისგან კონსენსუსით ირჩევს ახალ წევრს, 2 თვის ვადაში;

- განიხილავს რექტორატის მიერ გარიცხულ წევრთა საჩივრებს და იღებს საბოლოო გადანყვეტილებებს;

- მნიგნობართა დარბაზს აქვს ყველა დონეზე ინიციატივების წარდგენის უფლება;

- მნიგნობართა დარბაზი წელიწადში ერთხელ ისმენს ანგარიშს რექტორატის ხელმძღვანელისა და წევრებისგან ჩატარებული სამუშაოების შესახებ;

**3.9.** მნიგნობართა დარბაზის სხდომებს შორის აკადემიის მუშაობის მაკოორდინირებელ, მმართველ და გადანყვეტილების მიმღებ ორგანოს წარმოადგენს რექტორატი (გამგეობა);

**3.10.** რექტორატი შედგება დარბაზის წევრთა მიერ ხმათა უმრავლესობით არჩეული წევრებისგან, რომელთაც წარადგენს მნიგნობართა დარბაზი;

**3.11.** რექტორატის სხდომები ტარდება რექტორის მოთხოვნით;

**3.12.** რექტორატი:

- უზრუნველყოფს მნიგნობართა დარბაზის გადანყვეტილებათა შესრულებას;

- წყვეტს აკადემიის ფილიალების დაარსების, აკადემიაში განწევრიანების, წევრობიდან გასვლის ან გარიცხვის შესახებ და წევრებისთვის სტატუსის შეცვლის საკითხებს;

- განსაზღვრავს საწევრო გადასახადების ოდენობასა და გადახდის წესებს;

- ადგენს მნიგნობართა დარბაზის ჩატარების ზუსტ თარიღს და უზრუნველყოფს მის ორგანიზებას;

- განიხილავს და ამტკიცებს აკადემიის შუალედურ ანგარიშებსა და მიმდინარე გეგმებს;

- წყვეტს ყველა სხვა საკითხს, რომლებიც წარმოიშობა მნიგნობართა დარბაზის სხდომებს შორის პერიოდში და, რომლებიც ოპერატიულ გადანყვეტას მოითხოვენ;

**3.13.** რექტორატის წევრთა ოდენობას განსაზღვრავს მნიგნობართა დარბაზი, აკადე-

მიის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე. რექტორატის თითოეულ წევრს აქვს პასუხისმგებლობა მისთვის მინდობილ კონკრეტულ სფეროზე;

**3.14.** რექტორატი გადაწყვეტილებებს ღებულობს რექტორატის წევრთა უმრავლესობის თანხმობით;

**3.15.** რექტორატს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე (რექტორი), რომელიც ხელმძღვანელობს აკადემიის ყოველდღიურ საქმიანობას.

**3.16.** რექტორს ირჩევს რექტორატი საკუთარი შემადგენლობიდან და ამტკიცებს მნიგნობართა დარბაზი ხმათა 4/5-ით. რექტორის უფლებამოსილება განისაზღვრება 4 წლის ვადით.

**3.17.** რექტორატის ხელმძღვანელი(რექტორი):

- კოორდინაციას უწევს რექტორატის მუშაობას, იწვევს და უძღვება მის სხდომებს;
- აკადემიის სახელით დებს ხელშეკრულებებს, კონტრაქტებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს, ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დანესებულებებში, ხელს აწერს საბანკო და სხვა სახის დოკუმენტაციას;

- განკარგავს აკადემიის ქონებასა და სახსრებს რექტორატის თანხმობით;

**3.18.** რექტორატის ხელმძღვანელი, თავისი საქმიანობის მოთხოვნების შესაბამისად, ქმნის რექტორატის აპარატს, რომლის სამუალებითაც უზრუნველყოფს სრულფასოვანი გადაწყვეტილების მიღებას და მათ შემდგომ რეალიზებას;

**3.19.** რექტორატის აპარატის შტატს ამტკიცებს რექტორატი;

**3.20.** რექტორატის წევრის დათხოვნა ან ვადაზე ადრე უფლება-მოვალეობების შეწყვეტა შეუძლია მნიგნობართა დარბაზს.

**3.21.** აკადემიის მნიგნობართა დარბაზის ხელმძღვანელი – დარბაზის თავი და აკადემიის რექტორი წარმოადგენენ აკადემიას. მათ მესამე პირებთან ურთიერთობაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ ერთპიროვნულად, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ენიჭებათ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

## მუხლი 4

### წევრთა უფლებები და მოვალეობები

**4.1.** აკადემიის, მნიგნობართა დარბაზის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი – 33 წელს მიღწეული, სამეცნიერო-აკადემიური ხარისხის მქონე და/ან უმაღლესი სასულიერო და საერო მოქმედი და ყოფილი ფიზიკური პირი, რომელიც აღიარებს და იცავს აკადემიის წესდებას, იღებს მონაწილეობას აკადემიის საწესდებო მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში;

**4.2.** აკადემიის წევრს უფლება აქვს:

- არჩეულ იქნას აკადემიის რექტორატის შემადგენლობაში;
- წარადგინოს კანდიდატურა რექტორატში ასარჩევად;
- მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებულ ღონისძიებებში;
- უპირატესი უფლებით ისარგებლოს აკადემიის მატერიალური და საინფორმაციო ბაზით;

- მიიღოს ინფორმაცია აკადემიის და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის შესახებ;

- დააყენოს საკითხი, წარადგინოს წინადადებები და პროექტები;

**4.3.** აკადემიის წევრს უფლება აქვს, ნებაყოფლობით გავიდეს აკადემიის შემადგენლობიდან.

**4.4.** წევრის მიღების და წევრის სტატუსის ცვლილების საკითხს წყვეტს რექტორატი;

**4.5.** აკადემიის წევრი ვალდებულია:

- დაიცვას საწესდებო მოთხოვნები;

- დაიცვას შინაგანანესი;
- წინ აღუდგეს აკადემიის ავტორიტეტის შელახვის ყოველგვარ მცდელობას;
- უზრუნველყოს რექტორატის გადანყვეტილების შესრულება;
- გადაიხადოს განვერიანების და სანვერო გადასახადი, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს აკადემიის რექტორატი;
- თავისი საქმიანობით არ დაუშვას აკადემიის სახელისა და საქმიანობის დისკრედიტაცია;

- არ გაამჟღავნოს აკადემიის კონფიდენციალური ინფორმაცია;

**4.6.** აკადემიის საქმიანობაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისთვის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რექტორატის გადანყვეტილებით, რომელიც უნდა დამტკიცდეს მნიგნობართა დარბაზის მიერ, შეიძლება მიენიჭოთ:

- აკადემიის დარბაზის საპატიო წევრის სტატუსი;
- აკადემიის საპატიო მეგობრის სტატუსი;

**4.7.** სანესდებო მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, აკადემიის წევრი, რექტორატის გადანყვეტილებით, გაირიცხება აკადემიიდან. გადანყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს აკადემიის წევრთა – მნიგნობართა დარბაზის სხდომაზე, რომლის გადანყვეტილებაც საბოლოოა.

## მუხლი 5

### საკადემიის ქონებრივი-ფინანსური საკითხები და ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

**5.1.** აკადემიის ქონება შეიძლება შედგებოდეს:

- უძრავი და მოძრავი ქონების, მატერიალური და არამატერიალური აქტივებისაგან;
- ფულადი სახსრებისაგან, რომელიც ფორმირდება სანვერო გადასახადების, შემოწირულობების და გრანტებისაგან;

- სანესდებო მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული არასამენარმეო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისაგან, რომელიც წევრებს შორის გადანაწილებას არ ექვემდებარება და გამოიყენება სანესდებო ამოცანების შესასრულებლად;

**5.2.** აკადემია სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ახდენს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

**5.3.** არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

**5.4.** არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად;

**5.5.** ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს;

**5.6.** დამფუძნებელთა/წევრთა გადანყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან;

**5.7.** ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები/წევრები. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

- ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;
- ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;
- გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

**5.8.** აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის;

**5.9.** თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებმა/წევრებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს, შესაბამისად, ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს, ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება, მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან **6** თვის შემდეგ;

**5.10.** ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

## **მუხლი 6 დასკვნითი დებულებები**

**6.1.** წინამდებარე წესდება (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმება) ძალაში შედის ყველა დამფუძნებლის/წევრის მიერ ხელმოწერის მომენტიდან;

**6.2.** თუ ამ წესდების (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე;

**6.3.** ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

**ჭყონდიდელი მიტროპოლიტი პეტრე (ცაავა)**

**იურიდიულ მეცნიერებთა დოქტორი, პროფესორი მალხაზ ბაძალა**



**წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის საკადავმოს ისტორიულ-ლიტერატურულ ნაშრომზე „საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში“ კონკურსი**

2015 წლის 20 იანვარს „წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის“ აკადემიის რექტორატის მიერ, სრულიად საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, გამოცხადდა კონკურსი ისტორიულ-ლიტერატურულ ნაშრომზე „საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში“.

**წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის საკადავმოს  
რეკონსტრუქციის 2015 წლის 20 იანვრის სხდომის  
ოქმი №1**

ა. წ. 20 იანვარს გაიმართა წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემიის რექტორატის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ რექტორატის წევრები: აკადემიის მნივნობარტა დარბაზის ხელმძღვანელი – დარბაზის თავი, ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტი პეტრე (ცაავა) და აკადემიის რექტორი, პროფესორი მალხაზ ბაძალუა.

დღის წესრიგი:

წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემიის ისტორიულ-ლიტერატურულ ნაშრომზე „საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში“ კონკურსის ჩატარების შესახებ.  
/ პროფესორი მალხაზ ბაძალუა /

პროფესორმა მალხაზ ბაძალუამ წარადგინა კონკურსის ჩატარების დებულება, სადაც მოცემულია: ჩატარების ფორმატი და ეტაპები, გამარჯვებულის გამოვლენის და დაჯილდოების წესები, კონკურსის ჩატარების ვადები, საკონტაქტო ინფორმაციის მიღების წესები. რექტორატის წევრმა, მეუფე პეტრემ მხარი დაუჭირა წარმოდგენილი კონკურსის ჩატარების დებულების პროექტს.

რექტორატის გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემიის ისტორიულ-ლიტერატურულ ნაშრომზე „საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში“ კონკურსის დებულება, რომელიც ოქმს თან ერთვის.

აკადემიის რექტორი, პროფესორი მალხაზ ბაძალუა

**წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემიის  
ისტორიულ-ლიტერატურულ ნაშრომზე  
„საქართველო ღვთის ჯღაჟანებლის ეპოქაში“ – კონკურსის  
ღაჟულაჟა**

წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემიის წესდების თანახმად, ცხადდება კონკურსი ისტორიულ-ლიტერატურულ ნაშრომზე – „საქართველო ღვთის ჯღაჟანებლის ეპოქაში“, რომელიც ჩატარდება ოთხ საკონკურსო ჯგუფში:

1. საჯარო და კერძო სკოლების მეათე-მეთორმეტე კლასის მოსწავლეები;
2. უმაღლესი სასწავლებლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტები;
3. უმაღლესი სასწავლებლების და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების პედაგოგები და მეცნიერ-თანამშრომლები;
4. სხვა დაინტერესებული პირები.

კონკურსის პირველი ეტაპი:

შესარჩევი ტური პირველი, მეორე, მესამე საკონკურსო ჯგუფებისათვის ჩატარდება სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში რეცენზიის მისაღებად. დადებითად რეცენზირებული ნაშრომი წარედგინება აკადემიას. მეოთხე საკონკურსო ჯგუფი, ნაშრომს წარადგენს უშუალოდ აკადემიაში.

თითოეულმა კონკურსანტმა ნაშრომი უნდა მოამზადოს ინდივიდუალურად და წერილობით წარადგინოს დამონმებულ რეცენზიასთან ერთად ქართულ ენაზე, ქვემოთ მითითებულ საკონტაქტო მისამართზე. როგორც ელექტრონული ფოსტის, ასევე „საქართველოს ფოსტის“ საშუალებით: მოსწავლეებმა – 8-10-მდე გვერდი; სტუდენტებმა, პედაგოგებმა, მეცნიერ-თანამშრომლებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა – 12-15-მდე გვერდი.

კონკურსის მეორე ეტაპი:

დასკვნითი ტური ჩატარდება წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემიაში. აკადემიის საკონკურსო კომისია შეარჩევს ოთხივე საკონკურსო ჯგუფში გამარჯვებულებს.

გამარჯვებულის გამოვლენა:

- კონკურსის მონაწილეთა ნაშრომების შეფასებას ახდენს საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს აკადემიის რექტორატი.
- ოთხივე საკონკურსო ჯგუფში გამოვლინდებიან გამარჯვებული კონკურსანტები. გარდა ამისა, დასახელებიან სპეციალურ ნომინაციებში გამარჯვებულები, ნომინაციებს დაადგენს საკონკურსო კომისია, წარმოდგენილი ნაშრომებიდან გამომდინარე;
- გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად აკადემია და მხარდამჭერი ორგანიზაციები აწესებენ ჯილდოებს: დიპლომებს და ფულად პრემიებს;
- კონკურსში გამარჯვებული ნაშრომები აკადემიის მიერ გამოქვეყნდება ცალკე კრებულად;

## დაჯილდოება

საკონკურსო ჯგუფების მიხედვით გამარჯვებული კონკურსანტები დაჯილდოვდებიან აკადემიის დიპლომით და ფულადი პრემიით:

- პირველ საკონკურსო ჯგუფში გამარჯვებული დიპლომით და 300 (სამასი) ლარით;
- მეორე საკონკურსო ჯგუფში გამარჯვებული დიპლომით და 600 (ექვსასი) ლარით;
- მესამე საკონკურსო ჯგუფში გამარჯვებული დიპლომით და 900 (ცხრაასი) ლარით;
- მეოთხე საკონკურსო ჯგუფში გამარჯვებული დიპლომით და 600 (ექვსასი) ლარით;
- სპეციალურ ნომინაციებში გამარჯვებულები დიპლომებით და სპეციალური პრიზებით.

## კონკურსის ჩატარების ვადები:

კონკურსი გამოცხადდება 2015 წლის 9 თებერვალს.

კონკურსის პირველი ეტაპი – შესარჩევი ტური ჩატარდება 2015 წლის 9 თებერვლიდან 12 მაისამდე.

კონკურსის მეორე ეტაპი – დასკვნითი ტური ჩატარდება 2015 წლის 12 მაისიდან 1 სექტემბრამდე.

სამეცნიერო კონფერენცია და გამარჯვებულთა დაჯილდოება ჩატარდება 2015 წლის 24 სექტემბერს ქალაქ მარტვილში.

ნაშრომთა კრებული გამოიცემა 2015 წლის 24 სექტემბერს.

## საკონტაქტო მისამართი:

წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემია  
მისამართი:

თბილისი, 0186, სანდრო ეულის ქუჩა N3;

ელ. ფოსტა: [Gchacademy@gmail.com](mailto:Gchacademy@gmail.com)

აკადემიის რექტორატი



**წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემიის  
რექტორატის 2015 წლის, 18 თებერვალი სხდომის  
ოქმი №2**

ა.წ. 18 თებერვალს, გაიმართა წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემიის რექტორატის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ რექტორატის წევრები:  
აკადემიის მნიგნობართა დარბაზის თავი, ჭყონდიდელი მიტროპოლიტი პეტრე (ცაავა)  
აკადემიის რექტორი, პროფესორი მალხაზ ბაძაღუა.

დღის წესრიგი:

საკითხები:

1. წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემიის ისტორიულ-ლიტერატურულ ნაშრომზე – „საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში“ კონკურსის ჩატარების პირველი ეტაპის შესარჩევი ტურის ვადის გაგრძელების შესახებ;
2. საკონკურსო კომისიის შემადგენლობის შესახებ.  
მომხსენებელი პროფესორი მალხაზ ბაძაღუა.  
პროფესორმა მალხაზ ბაძაღუამ წარადგინა:
  1. წინადადება კონკურსის ჩატარების პირველი ეტაპის შესარჩევი ტურის ჩატარების ვადის ა.წ. 1 ივნისამდე გაგრძელების შესახებ;
  2. კონსულტაციების საფუძველზე საკონკურსო კომისიის შემადგენლობა: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და კომისიის მდივანი.  
ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა პეტრემ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ წინადადებაებს.

რექტორატის გადაწყვეტილება:

1. წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემიის ისტორიულ-ლიტერატურულ ნაშრომზე „საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში“ კონკურსის პირველი ეტაპის შესარჩევი ტურის ჩატარების ვადა გაგრძელდეს ა.წ. 1 ივნისამდე.
2. ა. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, მანგლელ მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) ეთხოვა და დამტკიცდა აკადემიის ისტორიულ-ლიტერატურულ ნაშრომზე „საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში“ საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ;
- ბ. საკონკურსო კომისიის წევრობა ეთხოვა და დამტკიცდა შემდეგი შემადგენლობით:
  - მღვდელ-მონაზონი ანდრია (სარია);
  - დეკანოზი ზურაბ ცხოვრებაძე;
  - დეკანოზი კონსტანტინე კაჭარავა;
  - ფილოლოგიისა და ღვთისმეტყველების დოქტორი, დეკანოზი მიქაელ გალდავა;
  - ისტორიის დოქტორი სერგო ვარდოსანიძე;
  - ისტორიის დოქტორი ბუბა კუდავა;
  - ისტორიის დოქტორი გიორგი კალანდია;
  - სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი პაატა ნაცვლიშვილი;
  - ისტორიის დოქტორი ზურაბ პაპასკირი;
  - ისტორიის დოქტორი ჯემალ გამახარია;
  - ფილოლოგიის დოქტორი ივანე ამირხანაშვილი;
  - ფილოლოგიის დოქტორი ანდრო ბუაჩიძე;

ლიტერატორი უჩა შერაზადაშვილი;

ლიტერატორი ზაურ კალანდია;

ისტორიკოსი მანანა შეყილაძე.

გ. კომისიის მდივნობა ეთხოვა და დამტკიცდა თამარ არჩუაძე.

საკადემიის დარბაზის თავი, ქყონდიდელი მიტროპოლიტი პეტრე (ცაავა)

საკადემიის რექტორი, პროფესორი მალხაზ ბაძაღუა



## **„საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში“ კონკურსის შედეგები**

2015 წლის, 23 სექტემბერს ჭყონდიდელი მიტროპოლიტი პეტრეს ლოცვა-კურთხევით, „ნმ. გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემიამ“ კონკურსში „საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში“ გამარჯვებულები დააჯილდოვა. დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობდნენ: სასულიერო პირები, ცნობილი მეცნიერები, ისტორიკოსები, ლიტერატორები, ანსამბლი „მოდახილი“, კვარტეტი „ჰანგები“, „თეატრალური კვარტეტი“ და მუსიკოსი დავით არჩვაძე. ღონისძიების მხარდამჭერები: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი დიასპორის საკითხებში, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“, პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო ფონდი „იავნანა“, საერთაშორისო ფონდი „მემკვიდრეობა“, „განათლების სახლი“, საინფორმაციო-ანალიტიკური მედიაპორტალი „კვირა.გე“ და რადიო „ფორტუნა“.

კონკურსი ჩატარდა საქართველოს მასშტაბით და მოიცვა ორი ეტაპი. დასკვნით ტურში გავიდა 157 მონაწილე. კონკურსის დებულების თანახმად, საკონკურსო კომისიის შეფასებით:

ა) პირველ საკონკურსო ჯგუფში საჯარო და კერძო სკოლების მეათე-მეთორმეტე კლასის მოსწავლეებს შორის გამოვლინდა 3 (სამი) გამარჯვებული, რომლებიც დაჯილდოვდნენ დიპლომითა და 300 (სამასი) ლარით:

ქალაქი სენაკი №7 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე – ილია ქვარცხავა;  
რეცენზენტი ისტორიის პედაგოგი ლამარა გეგენავა;  
თემა: „საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში“.

ქ. თბილისის სსიპ. 115-ე საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე – მალხაზ არაბული  
რეცენზენტი ისტორიის პედაგოგი სოფიო თულაძე;  
თემა – „საქართველო დავით აღმაშენებლის დროს“.

ნინოწმინდის რაიონის სოფელ ეშტის პირველი საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე სათიკ იაჟიანი;  
რეცენზენტი ქართული ენის პედაგოგი ბერნიკ ჰოვსეფიანი;  
თემა „დავით აღმაშენებელი“.

ბ) მეორე საკონკურსო ჯგუფში გამოვლინდა 2 გამარჯვებული, რომლებიც დაჯილდოვდნენ დიპლომითა და 600 (ექვსასი) ლარით:

დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მედიის სკოლის IV კურსის სტუდენტი ლია თედიაშვილი;

რეცენზენტი პროფესორი გიორგი კალანდია;  
თემა „დავით აღმაშენებელი თანამედროვე ხატურაში“.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოფენისა და განათლების დეპარტამენტის მეცნიერ-თანამშრომელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი ნიკოლოზ ჟღენტი.

რეცენზენტები:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი გიორგი ოთხმეზური და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წყაროთმცოდნეობისა და დიპლომატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მზია სურგულაძე.

თემა „ მეფე დავით IV-ის (1089-1125 წწ.) „აღმაშენებლად“ მოხსენიების პირველი ოფიციალური პრეცედენტები“.

გ) მეოთხე საკონკურსო ჯგუფში გამოვლინდა 1 გამარჯვებული, რომელიც დაჯილდოვდა დიპლომითა და 600 (ექვსასი) ლარით:

ყვარლის რაიონის სოფ. ენისელში მცხოვრები 86 წლის ისტორიკოსი ალექსანდრე გიგიაშვილი;

თემა „საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში“.

დ) მესამე საკონკურსო ჯგუფში გამარჯვებული არ გამოვლინდა.

კონკურსის ყველა მონაწილე და გამარჯვებული თემის რეცენზენტები, წარმომდგენი ორგანიზაციები და კონკურსის მხარდამჭერები დაჯილდოვდნენ სიგელებითა და სიმბოლური საჩუქრებით. ჯილდოები გადასცეს წმინდა გიორგი ჭყონდიდელის აკადემიის დარბაზის თავმა, ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა პეტრემ (ცაავა), საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა – მანგლელმა მიტროპოლიტმა ანანიამ (ჯაფარიძე), საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახ. განათლების ცენტრის თავმჯდომარემ – რუსთავის ეპარქიის მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი), წმინდა გიორგი ჭყონდიდელის აკადემიის რექტორმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მალხაზ ბაძალუამ; საკონკურსო კომისიის წევრებმა: სოციალურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა პაატა ნაცვლიშვილმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ჯემალ გამახარამ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ზურაბ პაპასკირმა.




**კონკურსში გამარჯვებული ნაშრომები**

**ილია ქვარცხავა**

**„საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში“**

1089 წლის ზაფხულის თბილი დღე იდგა. წვიმა თქაშანით მოდიოდა. გაზუზული ხეები ზენა ქარის შემობერვისაგან ოდნავ ირხეოდა. შორს ცა მოკარწყლულიყო. ტალახიან ქუჩებში, აქა-იქ მოფენილ სახლებში, ჭრაქის მკრთალი შუქი ინთებოდა. განწირული ხმით ქალის კვილზე უამრავი ხალხი გამოსულიყო.



და გვირგვინი უკრძალავდა თავისუფალი ყმანვილის გულწრფელ ტირილსაც, სიცილ-კისკისსაც და სათუთ გრძნობასაც. ასეც მოხდა, მან უარი თქვა გულწრფელ სიყვარულზე და ქვეყნის პოლიტიკური ნების გამო, ცოლად შეირთო ოსთა მეფის ასული გურანდუხტი.

მათთვის უცხო არ იყო სოფელში თურქ-სელჩუკების შემოჭრა. ისინი არბევდნენ და ანიოკებდნენ მთელ სოფელს. ქართველ ხალხს მოსვენება დაეკარგა. 1088 წელს, მანამდე გაუგონარმა მიწისძვრამ აღდგომის წინა დღეს, მიწაში ჩაიტანა კულტურის ხელთუქმნელი ძეგლები, ტაძრები, მიწამ ჩაძირა უძლიერესი ციხე-სიმაგრეც კი. ერთი წელი მეორდებოდა ეს საშინელება, ბნელით მოცული დიდი თურქობა კი, თორმეტი წელი მოსვენებას არ აძლევდა ქართველებს. ანადგურებდნენ ქართველების მრავალსაუკუნოვანი ოფლის წვიმით ფესვჩადგმულ მადლიან ველებს, ბალებს, ვენახებს, ბოსტნებს. მტრისაგან შევიწროებულ, ბარიდან მთაში გახიზნულ ქართველებს საკუთარი თბილი კერა ენატრებოდა. დიდ ერისთავთა გაუტანლობა, შინაგანი ქიშპი და მტრობა ძირს უთხრიდა საქართველოს ერთიანობას. შიშით ცხოვრობდნენ ქართველები. ასეთ დროს გააქანეს დავით IV ქუთაისს, რათა მისთვის საქართველოს უმძიმესი გვირგვინი დაედგათ. ის იყო დამთავრდა ბაგრატის ტაძარში დავითის მეფედ კურთხევა. მოზეიმე ხალხმა გრიგალივით შემოჭრილი ცუდი ამბავი გაიგო: თურქ-სელჩუკებს მორიგი სოფელი აუწიოკებიათ! თექვსმეტი წლის ყმანვილს წყენა ბავშვური ცრემლით უნდა განექარვებინა, მაგრამ დავითს ხელმწიფის ტახტი

ჭაბუკ მეფეს გულში უნდა ჩაეკლა წყენა და შესდგომოდა გაოხრებული ქვეყნის პატრონობას.

თურქ-სელჩუკებისათვის საქართველოში თავისუფალი მოქმედების საშუალება დავითს არ უნდა მიეცა. პერიოდულად, მათი თარეშის დროდადრო ალაგმვა საკმარისი არ იყო, ისინი სამუდამოდ უნდა განდევნილიყვნენ საქართველოს ტერიტორიიდან. ამისათვის სამხედრო ძალის რეორგანიზაცია იყო საჭირო. მეფემ წვრილ და საშუალო აზნაურთაგან ჩამოაყალიბა კარგად განვრთნილი, სანდო ჭაბუკ-რაინდთა რაზმები. სამხედრო ძლიერებაზე არა მარტო თურქთ-სელჩუკთა განდევნა, არამედ საქართველოს ძლიერებაც იყო დამოკიდებული.

ფეოდალურ საქართველოში უძლიერეს ფეოდალთა ნახევრად დამოუკიდებელ დიდგვაროვან აზნაურთა ურჩობას ბოლო არ უჩანდა. მთელს საქართველოს ახსოვდა ბაღვაშთა საგვარეულოს ღალატი – ბაგრატ IV-ს რომ გაუშრო სისხლი. მხოლოდ დავითმა შესძლო საქართველოდან ბაღვაშთა შთამომავლის – ლიპარიტის გაძევება; ხოლო მისი შვილის რატის გარდაცვალებით დასრულდა მათი საგვარეულოს არსებობაც. რაც შეეხება მემამოხე ძაგან აბულეთის ძეს და მის ძმას, მოდისტოსს, მღვდელმთავარებისკოპოსს – ამ უძლიერეს ფეოდალთა დამარცხებით მეფემ დიდგვა-

როვან აზნაურებს ურჩობის ყოველგვარი სურვილი დაუკარგა. მისახედი იყო ეკლესიაც. მაღალი საეკლესიო თანამდებობის დაკავებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მისცემოდა პირად ღირსებას, ჭკუას და გონებას და არა – გვარი-შვილობას.

1104 წელს მოწვეულმა რუისისა და ურბნისის საეკლესიო კრებამ გადაწყვიტა უღირსი მღვდელ-მთავრების გადაყენების საკითხი, მათ ადგილზე ღირსეული პირები დაინიშნა. ამის საუკეთესო მაგალითი იყო უბრალო ბერის – გიორგი ჭყონდიდელის ქვეყნის სათავეში მოქცევა. იგი გახდა მეფის უმაღლესი მოხელეც და დიდი სასულიერო თანამდებობის პირიც. მის დაუკითხავად ქვეყნის მართვა-გამგეობაში არაფერი კეთდებოდა. მეფის „მამად და ვაზირად“ ნოდებული გიორგი არა მარტო უერთგულესი მეგობარი და აღმზრდელი იყო დავითის, არამედ – მრჩეველიც. „მსტოვართა“ ძლიერი აპარატის შემოღებით წესრიგისა და წესიერების დაცვა კანონად იქცა. დავითის რეფორმით ამირსპასალარს ქვეყნის სხვადასხვა ნაწილიდან უნდა გამოეყვანა ლაშქარი. მეფის რეფორმებმა ქვეყნის მმართველობა მოაწესრიგა და საეკლესიო სფეროშიც გადამწყვეტი როლი ითამაშა. ეს ღონისძიებები მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ძლიერებისა და მისი ბრძოლსუნარიანობის ამაღლებისათვის.

ქვეყანას გარედანაც კარგი ამბავი მოსდიოდა. სელჩუკთა დიდი სულთანი მალიქ შაჰი გარდაცვლილიყო, ისინი ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ერთმანეთს დაპირისპირებოდნენ და იმპერია მრავალ ურთიერთმოქიშპე პოლიტიკურ ერთეულად დაშლილიყო. ასევე მათი ყურადღება დასავლეთიდან დაწყებული ევროპელი ჯვაროსნების ლაშქრობისაკენ უნდა ყოფილიყო მიმართული. თურქები საქართველოსთვის ვერ მოიცლიდნენ. საერთაშორისო ასპარეზზე ასეთი ხელსაყრელი მომენტი ხელიდან არ უნდა გაეშვა საქართველოს ტახტის მესაჭეს. მრჩეველი და აღმზრდელიც საქებარი ჰყავდა. გიორგი ჭყონდიდელის ბრძნული რჩევა – არსებული ხელსაყრელი მდგომარეობის გამოყენება თანხვედრაში

მოდიოდა მეფესთან. გადამწყვეტილება მიღებული იყო. ქვეყანა თურქ-სელჩუკებისაგან უნდა გათავისუფლებულიყო. ამ ფიქრებით დამძიმებული ჭაბუკი მეფე სოფლის შუკაზე, აკიაფებულ მკრთალ შუქზე, მცირე მხლებლებით მოაგელვებდა რაშს. მისი ვაჟკაცური აღნაგობის წყალობით აშკარად გამოარჩევდით უდიდესი ძალისა და შესაძლებლობის პიროვნებას, რომლისთვისაც მთავარი დაუმორჩილებელ თავადთა თვითნებობის ალაგმვა, თურქ-სელჩუკთა განდევნა და ერთიანი საქართველოს ძლიერება იყო. ამ ფიქრებში გართული იჯდა დავითი თავის ცხენზე, არავინ იცოდა გზად მიმავალი მეფის შესახებ, უეცრად სახლის ჭიშკართან შეგროვილი ხალხის კამათს მოჰკრა ყური. ერთი, რომელიც სხვებთან შედარებით ხანდაზმული ჩანდა, ხმამაღლა ამბოდა: – „რისი გამკეთებელია ეგ ყმანვილი? ის გამოასწორებს საქართველოში დატრიალებულ უბედურებას? მას ჯერ კიდევ პირში რძე არ შეშრობია. მეორე გიორგი II-ის საქმიანობას უნიათოს უწოდებდა, მესამეც – მეფე გიორგის აჯამეთში განავარდებასა და ნადირობაში გატარებულ განცხრობა-უდარდელობაში ადანაშაულებდა. მეოთხე კი იმედს ჭაბუკ მეფეზე ამყარებდა. დავითი მიჰქროდა თავისი ამალით, უკან ტოვებდა მოკამათე ადამიანთა ჯგუფს. „რისი გამკეთებელია?“ ეს სიტყვები ლახვარივით ესობოდა გულში და, რაც უფრო მტკივნეული ხდებოდა, მით აჩქარებდა თავის რაშს, რათა ცხენის ფლოქვების ხმაურს დაეფარა ის სიტყვები, რომელიც ლანდივით მიჰყვებოდა უკან. მეფე ხალხს უხმობდა, დიდგორამდე დიდი გზა ჰქონდა გასავლელი. ჯერ ერწუნთან ბრძოლა უნდა ეწარმოებინა, რათა კახეთი გათავისუფლებულიყო მძიმე ტვირთისაგან, მერე სამშვილდე, ძერნა უნდა აეღო, შემდეგ თრიალეთთან უნდა დაემარცხებინა თურქთა ლაშქარი და რუსთავი აეღო. ტაო-კლარჯეთი იმედის თვალთ შეჰყურებდა დავითს. აქ თურქების დამარცხება მნიშვნელოვანი იყო საქართველოსათვის. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო გიშისა და ქალაგორის აღება. რახნის პირას თურქ-

თა დამარცხებამ კიდევ უფრო გაამხნევა ქართველები და ის ლორესა და აგარანის ალებით დაგვირგვინდა. თურქ-სელჩუკებმა ბოტორანასთანაც მარცხი განიცადეს. შირვანის ქალაქ ყაბალის ალება შირვანიდან თურქების განწმენდას ნიშნავდა. ამას მოჰყვა თურქ-სელჩუკების დამარცხება ამორნიასთან. თურქ-სელჩუკები სევგულასთან და ხუნანთანაც სასტიკად განადგურდნენ. ბოლო ბრძოლა დავითმა 1121 წლის ივნისში ბარდავის ალებით დაამთავრა. პირველი ბრძოლა, რომელიც ერწუხში მოხდა, განძის ათაბაგის და მათი დამხმარე მოღალატე ქართველი ფეოდალების წინააღმდეგ, დამთავრდა იმით, რომ კახეთ-ჰერეთი საბოლოოდ იქნა შემოერთებული ხოლო თურქ-სელჩუკებს ხარკის მიცემაზე უარი ეთქვათ. სწორედ ერწუხის ბრძოლიდან დაბრუნებულ მეფეს უბის კალთები სისხლით ჰქონდა სავსე. ყველას ეგონა მეფე მიძიმედ იყო დაჭრილი, მაგრამ უბიდან თქაშანით გადმოღვრილი სისხლი მტრის იყო, რომელიც ხმალთაკვეთების დროს დავითს სახელურიდან შესვლოდა. მტრის დაღვრილ სისხლზეც ნანობდა მეფე.

ცოტა ხნით ამოისუნთქა საქართველომ. მზის მოკიაფე შუქზე გამოჩნდა გლეხ-კაცის ნაამაგარი. უბედობის ჟამს ბარიდან მთაში გახიზნული მოსახლეობა ნელ-ნელა უბრუნდებოდა მონატრებულ კერიას. ეკონომიკამ აღორძინება იწყო. მარად ცრემლიანი დედის თვალებში იმედისა და სიხარულის ნაპერწკალი ჩაისახა. შეიცვალა საზოგადოების აზრიც და მეფე დავითს იმედით შეჰყურებდნენ, მაშინ არავინ ფიქრობდა იმაზე, საქართველოს თუ რა განსაცდელს უმზადებდა ლეგენდარული დიდგორი. ბარდავის ბრძოლიდან სულ რაღაც თვენახევარი იყო გასული, რომ თურქ-სელჩუკებს ცოდვით დამძიმებული სული აუფორიაქდათ. ისინი გრძნობდნენ მოახლოებულ საფრთხეს და მუსლიმთა სამყაროს ერთიანად საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიანური ქვეყნებიდან ერთიან ლაშქარს ჯვაროსნულ ბრძოლებში ნანრთობი სარდალი ბაღდადის გამგებელი ნეჯმ ალ-დინ ილ-ლაზი მოუძღოდა 300000

მეომარს. ის ფიქრობდა, „ტყის მეფეს“ ადვილად დაამარცხებდა. მერე აივანზე დააბამდა. მთელი ქვეყნის ოქროს საფასურად არ გაყიდდა, პირადად მისი ტყვე იქნებოდა და ლექსებს ნაუკითხავდა.

მტერი ქართლში მანგლის-თრიალეთის გზით შემოვიდა. მანგლისსა და დიდგორში დაბანაკდა. დავითმა განგაშის ზარები შემოჰკრა. საქართველოში ქუდზე კაცი გამოვიდა. ნიჩბისის ხევით 55000 ქართველი მეომარი მიუახლოვდა დიდგორს, მიუხედავად ქართველ მეომართა სიმცირისა, ქართველებს ერთხელაც არ უგრძვნიათ არც მეომრის ნაკლებობა, არც დანებება. მათ ერთი მიზანი ამოძრავებდათ – ან სიკვდილი, ან გამარჯვება! განსაცდელის ჟამს მდგარი ქართველები ასე დამოძღვრა მეფე დავითმა: „ეჰა, მეომარო, ქრისტესანო, თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არათუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართ, არამედ ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ... ძლიერ ღმერთს აღუთქვამთ, რომ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით! იცოდეთ, ხეობა ჩახერგილია... მოახლოებულ მტერს მტკიცე გულით, დაუნდობლად შევუტით!“ დიდგორის ომი იმდენად მნიშვნელოვანი იყო საქართველოსათვის, რომ დავითმა სამხედრო თავგანწირვის სასტიკ ღონისძიებას მიმართა, მან უკან დასახევი გზები ჩაუხერგა საქართველოს ლაშქარს, დავითის მოწოდების პასუხი იყო ქართველი მეომრების თავდადება და მრავალრიცხოვანი მტრის სამ საათში დამარცხება. „მოსრნა სახელოვანნი იგი მეზრძოლი არაბეთისანი, რომლითა აღივსნეს ველნი, მთანი და ლელენი მძორებითა“.

დავითის ჭკვიანურმა მოხერხებულობამ, მოფიქრებულმა სტრატეგიამ და 200 მეომრის გაბედულმა მამაცობამ, დააბნია მტერი, რომელიც ვერასოდეს წარმოიდგენდა ასე თამამად მტრის 300 000-იან ბანაკში შესვლას და ხმალთაკვეთებას. შოკში ჩავარდნენ თურქ-სელჩუკები და პანიკამ მოიცვა მთელი ბანაკი, რამაც უკანდახევის სასწრაფო პოზიცია განახორციელებინა. იმდენად სწრაფად დაიწყეს უკან დახევა, რომ წინა-უკანას პოზიციებს თავად

ანადგურებდნენ ერთმანეთის გადათელ-  
ვით. დიდგორზე ბრწყინვალე გამარჯვებას  
„ძლიერად საკვირველი“ უწოდეს. დაჭრილი  
ილაზი რამდენიმე სარდალთან და ოცი-  
ოდე მხედართან ერთად ძლიერს გადაურჩა  
სიკვდილს. მართალია, ბრძოლაში ქართ-  
ველებიც დაიღუპნენ, მაგრამ დიდგორის  
ბრძოლის ისტორია იმდენად მნიშვნელო-  
ვანია, იმდენად ამაღლებელია, რომ მათ  
ვაჟკაცობას არასოდეს დაივინებებს ქართ-  
ველი ხალხი.

გამარჯვებულებს დიდგორის ველიდან  
მოჰქონდათ სულთნის დროშები, მოჰყავ-  
დათ თავად დამარცხებული სულთნები, მო-  
ლაშქრეები უახლოვდებოდნენ იმ ადგილს,  
საიდანაც ბრძოლა დაიწყო. გზად მომა-  
ვალ მეფის ცხენს ფეხებში ჩაუვარდა უც-  
ნობი, რომელიც თავგანწირვით ითხოვდა  
მეფესთან შეხვედრას, მაგრამ არ უშვებდ-  
ნენ, მის დანახვაზე მეფეს სიამაყის და მო-  
ვალეობის მოხდის დიდი გრძნობა დაეუფ-  
ლა, მხლებლებს განზე განდგომა უბრძანა  
და ყურადღებით მოუსმინა, მეფე ისმენდა  
დარცხვნილი გლეხის სინანულით ნათქვამ  
სიტყვებს:

„ბოდიშს მოგიხდი, მეფევე ბატონო,  
პატიებას გთხოვ ჩემს საქციელზე,  
და, თუ ოდესმე სევდამ შემიპყრო,  
ჩემი დარდი და ჩემი ფიქრები  
საქართველოა, მეფევე ბატონო!“

დავითმა ადვილად შეიცნო მოკამათე  
გლეხთა შორის ის, რომლის სიტყვებმაც  
ერთ დროს გული ატკინა მეფეს და სული  
აუფორიაქა.

ამჟამად მეფის რაში ნელა მოდიოდა და  
არც მეფეს უცდია გლეხის სიტყვები აჩქა-  
რებული ცხენის ფლოქვების ხმაურით გა-  
დაეფარა. უკან რჩებოდა უამრავი ხალხის  
ხესავით აღმართული ხელები, რომელიც  
მეფესთან მოახლოებას ვერ ბედავდა. ისი-  
ნი შეუწყვეტილ იძახოდნენ: „დღეგრძელი  
იყოს მეფე დავითი!“ მეფეს კი დამშვიდების  
არც სურვილი ჰქონდა და არც დრო.

ნაომარ, დაღლილ-დაქანცულ მეფესა და  
მის ამაღას ძლიერ მოშიებოდა. გზად მო-  
მავლებმა ნახეს, სახლის ჭიშკარი ღია იყო.  
სახლეულნი ვილაცის მოლოდინში იყვნენ.

მოლაშქრეების დანახვისთანავე შესახვედ-  
რად გამოქანდნენ და სათითაოდ დაუწყეს  
თვალეირება, თითქოს ვილაცას ელოდნენ  
და მას ეძებდნენ. ყველაზე მეტად პატარა  
ბიჭი ვერ მალავდა ცნობისმოყვარეობას:

- მამა სად არის? – მოციმციმე თვა-  
ლებით კითხულობდა პატარა ბეჭა და და-  
უმატა.

- მამა ლევანი მეფე დავითს გაჰყვა  
ბრძოლაში.

- მითხრა, მალე დავბრუნდები და წე-  
რა-კითხვას გასწავლიო.

მეფე მიხვდა, რომელ მებრძოლზეც იყო  
საუბარი, მათ ერთმანეთს გადახედეს და  
თვალეობით ანიშნეს სათქმელი, ბიჭის მამა  
რამდენიმე საათის წინ დიდგორის ველზე  
გმირულად დაღუპულიყო. ამის შესახებ  
ბიჭს არაფერი არ უნდა სცოდნოდა.

დავითმა ხურჯინიდან წიგნი ამოიღო და  
ბიჭს გაუწოდა. ამასობაში ოჯახის დიასახ-  
ლისიც გამოვიდა და სტუმრები შინ მიიპა-  
ტიჟა. ბიჭის საქციელმა სტუმრებს შიმშილი  
დაავინყა, თითო ჭიქით ოჯახი დალოცეს და  
უხმოდ გავიდნენ. მეორე დღეს ბიჭი გიორგი  
ჭყონდიდელთან იხმეს წერა-კითხვის შესას-  
წავლად. ოჯახს კი ოქროთი სავსე ქისა გა-  
მოუგზავნეს. დედა ყველაფერს მიხვდა. იგი  
ცრემლნარევ სიხარულს და ქმრის დაღუპ-  
ვით გამონვეულ ტკივილს ერთდროულად  
იკლავდა გულში. მისი მიზანი მამასავით სა-  
ხელოვანი და ვაჟკაცი შვილის აღზრდა იყო.

დიდგორზე გამარჯვებულ მეფეს თბი-  
ლისი უნდა გაეთავისუფლებინა. მძლავ-  
რობდნენ იქაური უხუცესები. დავითი  
იძულებული გახდა, 500 ბერი სიკვდილით  
დაესაჯა. არც გადარჩენილი უხუცესები  
ტოვებდნენ პოზიციას. მათი უკანასკნელი  
იმედი სულთანი იყო. ისინი ტანსაცმელ-  
შემოფლეთილები, თავზე ნაცარნაყრილე-  
ბი ეახლნენ სულთანს და შველა სთხოვეს  
საქართველოს წინააღმდეგ. მაჰმუდი დიდი  
ლაშქრით შირვანში შემოიჭრა. დავითის  
ყმადნაფიცი შირვანის შაჰი დაატყვევა და  
დავითს შემოუთვალა: „შენ ტყეების ხელ-  
მნიფე ხარ და ველზე ვერასდროს გამოხ-  
ვალ, შენგან ხარაჯას მოვიტხოვ, საკადრი-  
სი ძღვენიც გამომიგზავნე, ან თუ გენებოს

გამოდი სამალავიდან და მნახე<sup>55</sup>. დავითის პასუხი 50000-იანი ლაშქრით შომახიაში შესვლა იყო. ქართველმა მოლაშქრეებმა სულთანი ალყაში მოაქციეს. შექმნილ ვითარებაში ის მიხვდა, რომ მას არაფერი ეშველებოდა, ცოცხლად გადარჩენის ნყურვილით შეპყრობილი, თავზარდაცემული აქეთ-იქით გარბოდა, ბოლოს დორბმორეულმა, ნაგვის ხვრელს მიაგნო, შიგ გაძვრა და ასე სამარცხვინოდ გაიქცა ბრძოლის ველიდან. ამის დანახვაზე ქართველმა მოლაშქრეებმა ერთმანეთს გადახედეს და გულიანად გადაიხარხარეს.

ქუთაისიდან დედაქალაქი თბილისში იქნა გადატანილი. ქალაქმა სწრაფად იწყო აღორძინება. დავითმა ქვეყანა დაამშვიდა, აავსო, გაამდიდრა, გაანათლა, ძალადაკარგულს რწმენა, იმედი და ძლევის უნარი აღუდგინა, ააშენა ტაძრები, გზები, ხიდები, სოფლები და ქალაქები.

XII საუკუნის საქართველო შეიძლება XVII საუკუნის ინგლისისათვის შეგვედარებინა. XII საუკუნეში საქართველოს დედაქალაქ თბილისში 100000 მაცხოვრებელი იყო. იგებოდა ქვითკირის სახლები და ხიდები. ცხოვრობდა შოთა რუსთაველი და ინერებოდა „ვეფხისტყაოსანი“, ამავე პერიოდის ლონდონში არც ერთი ქვითკირის სახლი და ტაძარი არ იყო. დედაქალაქში 20000 მცხოვრები ცხოვრობდა, არც ერთი მხატვრული ნაწარმოები არ დაწერილა. 500 წლის შემდეგ იგივე მდგომარეობა იყო ლონდონში, რაც თბილისში XII საუკუნეში. ლონდონში 100000 მცხოვრებია, იგება ქვითკირის სახლები და ხიდები. ცხოვრობს შექსპირი და ინერება მისი ნაწარმოებები. საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობის გაუკუღმართების გამო, შეიქმნა იგივე მდგომარეობა, რაც XII საუკუნის ინგლისში იყო. ეს კი საქართველოს 500 წლით კულტურულ ჩამორჩენას ნიშნავდა.

დავითის მოქნილი პოლიტიკის გამარჯვება იყო დმანისის გათავისუფლება. მისი ხმალი კასპიის სანაპიროებს და შორეულ დარუბანდსაც მისწვდა.

60 წლის ბატონობის შემდეგ დავითმა ანისი გაათავისუფლა თურქ-სელჩუკები-

საგან და შემოიერთა. ამას მოჰყვა შირვანის გათავისუფლება. საქართველო მთელი მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერეს ქვეყნად იქცა. მისი წოდება იყო: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, „შარვანშა“ და „შაჰანშა“. ყველაზე დიდი წოდება მას ქართველმა ხალხმა მიაკუთვნა – ჯერ კიდევ 1452 წლიდან მის ზედწოდებად აღმაშენებელი დამკვიდრდა.

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას მეფე თავად ჩაუდგა სათავეში. ის თბილისის ქუჩებში, დილიდან დაწყებულ ფაცაფუცს თავად ადევნებდა თვალყურს. დედები შვილებს შორეული მგზავრობისათვის ამზადებდნენ. მეფის ბრძანება იყო 40 ახალგაზრდის საბერძნეთში სასწავლებლად გაგზავნა. არც საქართველოს კარები იყო დაკეტილი უცხოელი ახალგაზრდებისათვის. ორი აკადემიის არსებობა დიდ განსწავლულობაზე მიანიშნებდა დავითის საქართველოში. დავითი თავადაც ენეოდა ლიტერატურულ საქმიანობას. ჩვენამდე მოღწეულია დავითის მიერ დაწერილი ორიგინალური პოეტური ნაწარმოები „გალობანი სინანულისანი“, რომელშიც კარგად ჩანს დავითის ზოგადსაკაცობრიო ხედვა, ის ღმერთს სთხოვს მიუტევოს მას ცდომილება. გიორგი ჭყონდიდელიდან ჰქონდა ნასწავლი თავმდაბლობა და მიმტევებლობა. დავითს ძალიან უყვარდა მისი აღმზრდელი გიორგი და მის რჩევას ყოველთვის პატივს სცემდა. გელათში ეკლესიის აშენებაც ხომ ერთად დაგეგმეს. დავითის ყურადღება მაქსიმალურად იქნა მიმართული გელათისაკენ – მრავალ ბრძოლაგამოვლილი მეფე ძალიან ჩქარობდა ეკლესიის მშენებლობის დასრულებას, მაგრამ საქართველოზე ფიქრსა და ძლევამოსილ ომებს წელში გაეწვიტა მეფე. თუმცა არ იმჩნევდა, თვალმოუხუჭავი შრომა კი დაუნდობლად არღვევდა მის მძლავრ სხეულს, ხშირად განმარტოვებოდა ხოლმე და შორეულ ფიქრს მიეცემოდა. რაზე უნდა ეფიქრა ვალმოხდილ და ძლევამოსილ მეფეს? ისევ და ისევ საქართველოს ძლიერებაზე ფიქრში ჩაფლული მეფე სამუდამოდ გაეპარა საქართველოს.

შუალამისას კარის ეკლესიის საგანგაშო

ზარის ხმამ აუნყა საქართველოს საზარე-ლი ამბავი, ფეხზე დადგა საქართველოს მოსახლეობა. შინ არავინ რჩებოდა, დე-დებს ბავშვები მოჰყავდათ. ახალგაზრდა ვაჟკაცებს საქართველოს დროშა მოჰქონ-დათ. თავადები კრიჭაშეკრულნი, ავი მდუ-მარებით მოდიოდნენ და მოჰყავდათ შავად შემოსილი ცხენები. სულისშემძვრელი სა-ნახაობა იყო. დავითის ცხენი იდგა გაუნძ-რეველად, მხოლოდ მარჯვენა ფეხს მიძიმედ ურტყამდა მიწას და ჭიხვინებდა. თითქოს ომში დამაშვრალ ბობოქარ მეფეს უხმობ-და. ამინდიც მის შესაფერისად მოღრუბ-ლულიყო. ნაადრევად გარდაცვლილი მე-ფის სიკვდილი ელვის გავრდნას ჰგავდა მონმენდილ ცაზე.

გარდაცვალებამდე ერთი დღით ად-რე მეფე დავითი გიორგი ჭყონდიდელის საფლავზე ასულიყო და ცხარედ დაეტირა თავისი უსაყვარლესი აღმზრდელი, თით-ქოს გრძნობდა თავისი სიცოცხლის დასას-რულს. მობრუნებულზე ქარქაშიდან ხმალი ამოელო და შორს მოესროლა, თითქოს სა-მუდამოდ მოიშორა თავიდან და ამით წერ-ტილი დაუსვა გაუთავებელ ომებს. „საქარ-თველოს ომი კი არა, სიმშვიდე უნდა“, – მისდაუნებურად წარმოთქვა და მონყვეტი-ლივით ჩამოჯდა იქვე ახლოს მდგომ ჯორ-კოზე. ის პატარა ბიჭი ელანდებოდ მოლაშ-ქრეებში, ფართოდ თვალგახელილი მამას რომ ეძებდა, რამდენი შვილი იქნებოდა მამის მომლოდინე, ეშმაკსაც წაუღია ომის საშინელება.

1125 წლის 24 იანვარია, ცა ქლიავის-ფრად მობინდულა, თალხი ჩაუცვამს ქარ-თველ ხალხს, გელათისაკენ მოასვენებენ საქართველოს უძლიერეს მეფეს. სამგლო-ვიარო პროცესს ბოლო არ უჩანს. მეფეს მთელი საქართველო გლოვობს. ურიცხვ ხალხში გამოარჩევდით ერთ ყმანვილ ბიჭს, რომელსაც მკერდზე მაგრად მიეკრა ყვე-ლაზე ძვირფასი წიგნი, რომელიც დავით-მა აჩუქა. მისთვის წერა-კითხვა და წიგნის ფასიც გიორგი ჭყონდიდელს უსწავლებია. ბიჭმა უკვე იცოდა, რომ მამა არასოდეს დაბრუნდებოდა. საქართველოსათვის ვაჟ-კაცურად დაღუპული მამის შვილს ჰქონდა

უფლება, მეფის ცხედარს ახლოს გაჰყო-ლოდა. თუმცა, დავითის ანდერძიც ეს ყო-ფილა, მხოლოდ ამის შემდეგ განისვენებ-და დავითი მშვიდად, როცა საქართველოს ასეთი შთამომავლები დარჩებოდა. ბიჭის ოცნებაც მამის კვალზე სიარული იყო.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. რ. მეტრეველი „დავით IV აღმაშენე-ბელი“ თბ. 1990.
2. ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორია“ ტ II თბ. 1970.
3. გ. ლორთქიფანიძე „საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XIII. მე-2 მეოთხედიდან 80 წლის დასაწყ-ისამდე“ სინ. ტ III თბ. 1979 წ.
4. გ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი „საქართველოს მეფეები“.
5. ს. ჯანაშია „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 საუკუნემდე“, შრომები ტ II თბ. 1952წ.
6. შ. მესხია „ძღვევაი საკვირველი“, თბ. 1972 წ.
7. კ. გამსახურდია „დავით აღმაშენე-ბელი“.
8. დათო ტურაშვილი „ტყეების მეფე“ 2013 წ.

**ილია ქვარცხავა**

ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის მოსწავლე



**მალხაზ არაპული**

**„საქართველო ღვინოთ ალგაუენილის დროს“**

თბილისის გალავნის დასავლეთ მხარეს, ერთ-ერთი კოშკის წვერზე იდგა მზე. თითქოს ჩასვლისა ეშინიაო, კარგა ხანი აღარ შეერწყა ჰორიზონტს.

კაცმა რომ იფიქროს, მზეს, აბა, რისი უნდა ეშინოდეს. ყველაზე ბედნიერი მაინც, ალბათ, მზე არის ამ ქვეყანაზე. ყველაზე ბედნიერიც და ყველაზე ძლევამოსილიც.

ბედნიერი იმიტომ, რომ ყოველ ღამეს თუნდაც მხოლოდ ერთი ადამიანი, იმისთვის ათენებს, რომ მზის ამოსვლა იხილოს. არსად არავის ისე არ ელოდებიან, როგორც ის კაცი ელოდება მზეს. ბედნიერია, ალბათ, სწორედ ამიტომ. ძლევამოსილი რატომღა? იმიტომ რომ ვერც ერთმა დამპყრობელმა იმხელაზე ვერ განავრცო თავისი თვალსაწიერი, რამხელაზეც – მზემ. მაგრამ ყოვლისშემძლე მზეც ვერ გამოდგა, რადგან ყველგან მაინც ვერ მიაწვდინა თავისი ძლევამოსილი მახვილი.

ახლა კი ჰორიზონტის კიდესთან იდგა მზე, თვალეში უყურებდა მასზე ძლევამოსილ დამპყრობელს და ვერ გაებდა ჩასვლა.

1071 წელს, მას შემდეგ, რაც ბიზანტია დამარცხდა მანაცკერტის ბრძოლაში თურქებთან, ანატოლია მთლიანად თურქი მომთაბარეებით გაივსო. „და ვინათგან მეზობლობით მოეახლნეს საზღვართა ჩვენთა, განმრავლდა შიში და ჭირი მათგან ჩვენზედა. რამეთუ იწყეს მიერთგან რბევად და მოოხრებად, წუად სხვად და ტყუეობად ჩუენ ქრისტიანეთა.“

თურქები უწყვეტად მოედინებოდნენ ქართულ მიწა-წყალზე. ცხრა თვეს ატარებდნენ საქართველოში. უდიდესი ტრადიციისა და კულტურის მქონე ქართული მიწათმოქმედება მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე იდგა. ეს არ აკმარა დალოცვილმა უფალმა ქართულ მიწა-წყალს და თითქოს

სრული რისხვა დაატეხა თავსო, მიწამაც კი დაიწყო ზანზარი. ერთდროულად ინგრეოდა ქართველების ხელით აშენებული: ციხეები, ეკლესიები, სასახლეები. ხალხი ტყეებსა და ხეობებში იყო გახიზნული. ქართულ მოსახლეობას ყველაფრისა და ამასთანავე თავისუფლების რწმენაც დაეკარგა.

გიორგი მეორე არ ყოფილა ის მეფე, რომელიც ბედისწერას შეებრძოლებოდა. ქვეყანას მეომარი მეფე სჭირდებოდა. მეფე, რომელიც სამუდამოდ მოიხსნიდა წელიდან ქარქაშს. ქვეყანას თავისუფლება სჭირდება, თავისუფლება კი ბრძოლის გარეშე ვის მოუპოვებია?! მიზნისათვის მსხვერპლია საჭირო, თავისუფლებისთვის გაღებული მსხვერპლი კი უკვდავების ტოლფასია.

1089 წელს ასეთ რთულ ვითარებაში, საქართველოს სამეფო ტახტი დაიკავა 16 წლის დავითმა. მეფე, რომელსაც ბედისწერამ უხვად დაამადლა ცხოვრების ნიჭი. ადამიანი, რომელსაც დალოცვილმა უფალმა ყველაზე მძიმე ქართული ჯვარი აჰკიდა მხრებზე. იგი თავის მეფობის დასაწყისში მხოლოდ დასავლეთ საქართველოს განაგებდა. მეფობის ბოლოს კი იყო მმართველი მსოფლიო ჰეგემონი სამეფოსი, რომელიც „ნიკოფსითგან დარუბანდამდის და ოვსეთიდან არაგანამდის“ იყო გადაჭიმული.

რა გრძელი და რთული იყო გამარჯვებისკენ მიმავალი გზა. ახლა ჭაბუკი მეფე თავის კელიიდან ელოდებოდა მზის ამოსვლას და ფიქრობდა, ვისთვის ან რისთვის მოეკიდა პირველად თავისი ძლევამოსილი ხელი.

ახალგაზრდა მეფის ხელში ჯერჯერობით მხოლოდ დასავლეთ საქართველო იყო. იგი კარგად აცნობიერებდა, რომ მარტო ვერაფერს გახდებოდა, ამიტომ გვერდში დაიყენა პატრიოტი და ქვეყნის ბედით დაინტერესებული მამულიშვილები.

უბრძოლველად ყველანაირი ცდა უშედეგო იქნებოდა. პირველ რიგში, საჭირო იყო ძლიერი და ორგანიზებული ჯარი, მაგრამ დიდი გამოცდა ელოდა მეფეს ამ საქმეში, რადგან „დავითს ჰყავდა მცირე გუნდი მხედრობისა და იგინიცა დაჯაბნებულ მრავალგზის მტერთაგან სილტოლვისა. უცხენონი და უსაჭურვლონი, და თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარნი და ფრიად მოშიშნი“.

დღე და ღამე გაასწორა მეფემ თავის მეზობლების წვრთნაში. დღე და ღამე იჭრებოდა „ძვალთა და რკინათა მკვეთელ“ დავითფერულები! დღე და ღამე მოედინებოდნენ ახალ-ახალი ცხენთა რემები!

ახალგაზრდა მეზობლები სწავლობდნენ ცხენდაცხენ ბრძოლას. ეცნობოდნენ ახალ საომარ ტაქტიკას. და თავად დავითი იყო მათი პირველი მასწავლებელი.

დავით აღმაშენებელმა საშუალო და წვრილი აზნაურების დახმარებით, რომელთაც იგი ბოლომდე ენდობოდა, ჩამოაყალიბა პატარ-პატარა რაზმები, რომლებიც დროდადრო თავს ესხმოდნენ თურქებს. ქართველი მეზობლები უცებ გამოჩნდებოდნენ, დაერეოდნენ თურქებს და წამის უსწრაფესადვე უჩინარდებოდნენ ტყეებსა და ხეობებში. ასეთი საბრძოლო ტაქტიკა აირჩია ჯერჯერობით ახალგაზრდა მეფემ, რის გამოც თურქები „ტყეების მეფეს“ ეძახდნენ.

დავითის მეფობიდან სამი წელი გასულიყო, როდესაც მეფის სასახლეში ერთმანეთს მიყოლებით ორი იმედიანი ამბავი მოვიდა. ისმაილიტებს მოეკლათ იმპერიის პირველი ვაზირი და მთავარი საყრდენი ერთიანობისა ნიზამ ალ-მულქი. იმავე წელს დაიღუპა მალიქ-შაჰიც, რის შემდეგაც ტახტისათვის ძმათაშორისი სისხლისღვრა დაიწყო. ყოველივე ეს დავითის ნისქვილზე ასხამდა წყალს და საშუალებას აძლევდა უფრო თავისუფლად ემოქმედა. მუდმივად შუბლმეკრულ და გულჩათხრობილ მეფეს არც ამ ამბების გაგონების შემ-

დეგ გაუხსნია შუბლი.

აღმოსავლეთის ქარი ისე ძლიერ ველარ უბერავდა ქართული მუხის ფოთლებს. დავითს ჯერჯერობით ხელს უწყობდა ქვეყნის გარეთ შექმნილი მდგომარეობა, მაგრამ მთავარი გამოცდები ქვეყნის შიგნით ელოდა.

1093 წელს უკანასკნელად აჯანყდა უკანასკნელი ლიპარიტი. დავითის ძლევამოსილი მახვილი თანაბარი სისასტიკით ევლინებოდა, როგორც შიდა, ისე გარე ავის მოსურნეებს. თანაც დავითი არც ბაგრატ მეოთხე იყო, რომელიც ბიზანტიას ეხვეწებოდა, ლიპარიტ მეოთხესთან შემარიგო და არც გიორგი მეორე, რომლისთვისაც ივანე ლიპარიტის ძეს გაგი წაურთმევიანა და განძის ამირა ფადლონისთვის მიუყიდა. დავითმა ხელმეორედ შეიპყრო ლიპარიტი და ორწლიანი ტყვეობის შემდეგ გააძევა ქვეყნიდან. არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ გარდაიცვალა რატი ლიპარიტის ძეც და, საბოლოოდ, „დასრულდა სახლი ბაღვაშთა, სახლი გამამწარებელთა“. მეფემ კლდეკარის საერისთავო გააუქმა და სამეფოს შემოუერთა.

თავგასულ ფეოდალებთან ბრძოლა ამით არ მორჩა. 1103 წელს, მას შემდეგ, რაც დავითმა ზედაზენი აიღო, დავითს განუდგნენ ძაგან და მოდისტოს აბულეთისძეები. დავითს არ გასჭირვებია მათი მოთვინიერება. მეფეს ძაგანი „შიომღვიმის“ ბერებმა მიჰგვარეს. დავითმაც დიდებულს ყველანაირი პატივ-ღირსება აჰყარა, სიკვდილით კი აღარ დასაჯა.

მაგრამ იქამდე ვიდრე დავითი აბულეთისძეებს მოიცილებდა, ქვეყნის გარეთ უმნიშვნელოვანესი ფაქტი მოხდა, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა როგორც საქართველოს, ისე მთლიანად იმდროინდელი მსოფლიოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ეს მოვლენა ისტორიაში „ჯვაროსნული ომების“ სახელით შევიდა. 1095 წელს, ქალაქ კლერმონის საეკლესიო კრებაზე, რომის პაპმა ურბან მეორემ, სიტყ-

ვით მიმართა მთლიანად საქრისტიანოს. იგი წმინდა მინაზე გასალაშქრებლად და მის გასათავისუფლებლად მოუწოდებდა ყველას, ვისაც იარაღის აღება შეეძლო ხელში. რაინდებსაც და მკვლელებსაც, დიდგვაროვნებსაც და გლეხებსაც, პათიოსან მოქალაქეებსაც და ავაზაკებსაც. ლაშქრობები მალევე დაიწყო და 1099 წლის 15 ივლისს ჯვაროსნებმა იერუსალიმამდე მიაღწიეს. მათ ქალაქი აიღეს. წმინდა მინა ჯერჯერობით ჯვაროსნების ხელში იყო. (მათ მალევე დაამტკიცეს, რა მოკლე მანძილიც იყო რაინდობიდან მეკობრეობამდე).

სულთანმა ბარქიაროკმა მთელი მისი ძალები ახლო აღმოსავლეთში გადაისროლა და საქართველოსთვის ჯერჯერობით აღარ ეცალა.

დავითს ყველანაირი პირობა შეექმნა, რათა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაედგა. დავითს არც დაუყოვნებია და 1099 წელს თურქ-სელჯუკებს ხარკის მიცემა შეუწყვიტა.

ასე და ამგვარად, მეთერთმეტე საუკუნის მიწურულისთვის საქართველო ხარკს აღარ უხდოდა თურქებს. იმ ხარკს, რომელიც ოთხმოციან წლებში ხსნად მიაჩნდა გიორგი მეორეს.

ახლა დავით აღმაშენებელმა კახეთ-ჰერეთისთვის დაიწყო უშუალო მოქმედებები. 1103 წელს მან აიღო ზედაზენი. 1104 წელს კვირიკე მეოთხე გარდაიცვალა და მისი ადგილი აღსართანმა დაიკავა, რომელიც თავისსავე დიდებულებმა შეიპყრეს და დავითს მიჰგვარეს. ამის შემდეგ დავითმა კახეთ-ჰერეთი ხელში ჩაიგდო.

თუმცა განძის ათაბაგი არ აპირებდა კახეთ-ჰერეთის დათმობას ქართველებისთვის. ამიტომ შეკრიბა მან „ურიცხუნი სპანი“ დასაქართველოზე წამოვიდა. მეფემაც შეკრიბა ლაშქარი, რომელიც მტრისას ბევრჯერ ჩამორჩებოდა (არ არღვევდა „ტრადიციას“ დავითი).

ქართველები მტერს ერწუხთან შეხვდ-

ნენ. ეს დავით აღმაშენებლის პირველი დიდი ბრძოლა იყო. მართალია, მეფის ჯარი რიცხოვნობით მცირე იყო, მაგრამ ქართველები კარგად იყვნენ მომზადებულნი ამ ბრძოლისთვის. ჰქონდათ კარგი შეიარაღება და, რაც ყველაზე მთავარია, მათ სარდლობდა მეფე, რომელშიც ერთდროულად იყო თავმოყრილი მითრიდატე პონტოელის სიმამაცე, იულიუს კეისრის სარდლური ნიჭი და ალექსანდრე მაკედონელის გამჭრიახობა. თუმცა, საბოლოოდ დავით აღმაშენებელი თავისივე თავმა სამივე მათგანისგან გამოარჩია.

ერწუხი ქართველების გამარჯვებით დამთავრდა. ამ გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. დავითმა კახეთ-ჰერეთი შემოიერთა, რის შემდეგაც მეფის ხელისუფლების საბოლოო ცენტრალიზაცია განიზრახა.

დავითმა კარგად იცოდა, თუ რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა რელიგიას, როგორც იდეურ საყრდენს. აუცილებლად საჭირო იყო საერო და სასულიერო ხელისუფლების შეთანხმებული და სწორი მოქმედება, რაც უნდა გამხდარიყო ძლიერი სახელმწიფოს მყარი ფუნდამენტი. ამის მიღწევა კი ჯერჯერობით შეუძლებელი იყო „რამეთუ წმიდანი ეკლესიანი, სახლი ღმრთისანი, ქუაბავაზაკთა ქმნილ იყვნეს, და უღირსთა და მამულობით უფროის, ვიდრე ღირსებით, დაეპყრნეს უფროისნი საეპისკოპოსნი ვითარცა ავაზაკთა და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს, რომელნი ნაცვლად სჯულთა საღმრთოთა უსჯულოებასა აწურთიდეს მათ ქუეშე ყოველთა.“

დავითმა მტკიცედ განიზრახა საეკლესიო საკითხის საბოლოო გადაწყვეტა და მისივე ინიციატივით მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომელიც რუის-ურბნისის საეკლესიო კრების სახელით შევიდა ისტორიაში.

კრებას დავითი წარმართავდა. მას გვერდში ედგნენ მისი აღმზრდელი და მრჩევე-

ლი – გიორგი ბერი და იოანე კათალიკოსი „ყოვლად ღირსი მთავარეპისკოპოსი“.

კრების გადანყვეტილებით, „ეპისკოპოსნი ვინმე ვერ ღირსებით შემოსულნი პატივსა მღვდელმთავრობისასა და უღირსნი ქრისტეს პირველისა მის მწყემსთავრისანი განკვეთენით და უცხო ვყვენით მღვდლობისაგან. და ნაცვლად მათდა სხვანი დავადგინენით“.

კრებამ ასევე განსაზღვრა სასულიერო პირთა ხელდასხმის წესი. დაიგმო ეკლესიებთან ვაჭრობის გამართვა და აიკრძალა სხვა მრავალი უნესობა, რომელიც ეკლესიიდან უნდა განდევნილიყო.

გატარებულმა რეფორმებმა ეკლესია ისევ აიყვანა სულიერ სიმაღლეზე, თუმცა დავითმა მასზე გავლენის მოპოვება საბოლოოდ მაინც ვერ შეძლო.

მეფის ხელისუფლების საბოლოო ცენტრალიზაციისთვის დავითმა მიზნად დაისახა, ორი მაღალი სასულიერო და საერო თანამდებობების გაერთიანება, რითიც იგი თავის თანამოაზრეს გაიჩინდა ეკლესიაში და გავლენასაც მოიპოვებდა მასზე. ჭკვიანმა და წინდახედულმა მეფემ მნიშვნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობები გააერთიანა. ამ თანამდებობის პირველი მფლობელი გიორგი ბერი გახდა. ამ საქმით დავითმა საბოლოოდ შეძლო მეფის ხელისუფლების ცენტრალიზაცია.

საეკლესიო საქმეების დასრულების შემდეგ, მეფემ ფიქრი დაიწყო ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ციხე-ქალაქების თურქებისგან საბოლოო განმენდის აუცილებლობაზე. მან მიზანში სამშვილდე ამოიღო.

1110 წელს დავითმა თავისივე ჭკვიანური მოქმედების წყალობით სამშვილდე ხელში ჩაიგდო („ქორონიკონს სამოცდაათს, სიმარჯვით მოიპარეს სამშვილდე“).

შემდეგი სამიზნე რუსთავი იყო, რომელიც მეფემ 1115 წელს აიღო.

რუსთავის შემდეგ დავითმა ბრძოლა

ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიაზე გადაიტანა და საზღვრებს მიღმა გაისტუმრა იქ დაბანაკებული თურქები.

1117 წელს დავითმა ციხე-ქალაქი გიში აიღო, რითაც კახეთ-ჰერეთი საბოლოოდ შემოერთა. ჰერეთის შემოერთებით საქართველო შირვანს დაუმეზობლდა. სამწუხაროდ, კეთილმეზობლური ურთიერთობები არ დამყარდა და უფლისწულმა შირვანზე გაილაშქრა. დემეტრე მამასთან გამარჯვებული დაბრუნდა.

ერთი წლის შემდეგ დავითმა ლორე და აგარანიც აიღო, რითაც ქვემო ქართლი თურქებისგან ბოლომდე განმინდა.

დიდი სიმტკიცითა და თავდადებით განასრულებდა დავით მეფე ქველურ საქმეებს. ბრძოლას ბრძოლა მოსდევდა. თავს არ ზოგავდა თავად! არც ქართველი დედები ზოგავდნენ თავიანთ შვილებს სამშობლოსათვის! არც თავად ვაჟკაცები ზოგავდნენ თავიანთ სიცოცხლეს! და არც სიკვდილი ზოგავდა მათ! ყოველი შემდეგი ბრძოლა მნიშვნელოვნად ამცირებდა ქართული ჯარის რიცხოვნობას.

აუცილებლად საჭირო იყო ლაშქრის გაზრდა, მაგრამ რა გზით?!

ასეთ რთულ ვითარებაში დავით აღმაშენებელმა მისი მოღვაწეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადანყვეტილება მიიღო. მან გადანყვიტა საქართველოში ჩამოესახლებინა ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები მომთაბარე ტომები – ყივჩაღები. ყივჩაღები თურქულენოვანი ტომები იყვნენ. თავდაპირველად, ისინი ცენტრალურ აზიაში, მდინარე ირტიშის ნაპირებზე ბინადრობდნენ. თუმცა, მიგრაციის შედეგად მათ დასავლეთით დაიწყეს გადაადგილება და ადგილები დაიკავეს სამხრეთ რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში. (გარკვეულწილად, მათი „დამსახურება“ იყო თურქ-სელჯუკთა იმპერიის შექმნა).

ყივჩაღები განვითარების დაბალ დონეზე იყვნენ, თუმცა, ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ისინი კარგი მეომრები იყვნენ,

სწორედ ამიტომ შეაჩერა არჩევანი ქართველთა მეფემ ყივჩაღებზე.

მომთაბარე ტომები ამ შემოთავაზებას დიდი სიხარულით შეხვდნენ, რაც დიდნილად განპირობებული იყო მათი მარცხით ვლადიმერ მონომახთან. ამას ისიც დაერთო, რომ დავითმა ცოლად შეირთო ყივჩაღთა მთავრის – ათრახა შარალანისძის ასული, ულამაზესი გურანდუხტი.

დავითმა საქართველოში ჩამოსახლა 40000 ოჯახი ყივჩაღებისა. ისინი ვალდებული იყვნენ, თითო ოჯახს თითო მებრძოლი გამოეყვანათ ქართულ ჯარში. დავითმა, თავის მხრივ, ყველანაირი საცხოვრებელი პირობა შეუქმნა ყივჩაღებს.

ყივჩაღები მალე გაქრისტიანდნენ და არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ სამეფო საქმეებშიც ჩაებნენ. რისი ნათელი მაგალითიც არის ყუბასარ ნაყივჩაღარი, რომელიც გიორგი მესამის დროს ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის თანამდებობებს იკავებდა.

ყივჩაღების ჩამოსახლებით ქართული ჯარის რიცხოვნობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. დავითს, საჭიროების შემთხვევაში, 60000-მდე მოლაშქრის გამოყვანა შეეძლო.

ყივჩაღთა ჩამოსახლებაში უდიდესი ნვლილი დაიდო გიორგი ჭყონდიდელ-მნიგნობართუხუცესმა. სამნუხაროდ, ეს მისი უკანასკნელი მსხვერპლი იყო სამშობლოსათვის. ყივჩაღებთან მოსალაპარაკებლად ოსეთში მყოფი გიორგი ბერი მოულოდნელად გარდაიცვალა.

ალარ ჰყავდა დავით აღმაშენებელს „აღმზრდელი და გამკაფველი ყოველთა გზათა“, ხოლო ქვეყანას ალარ ჰყავდა „მართლმსაჯული უღონოთა და ქვრივთ ხელისმპყრობელი“.

დავითმა ძლიერ განიცადა ჭყონდიდელის სიკვდილი და „იგლოვა ყოველმან სამეფომან და თვით მეფემან, ვითარცა მამა და უმეტესცა მამის, შემოსითა შავისათა ორმეოც დღე“.

მას შემდეგ, რაც მეფემ ყივჩაღთა ჩამო-

სახლებით მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი ჯარის რიცხოვნობა, უფრო გააძლიერა ბრძოლა თურქების წინააღმდეგ. თურქები ძლივს შენარჩუნებულ საყრდენ პუნქტებსაც კარგავდნენ და იძულებულნი ხდებოდნენ, საქართველოდან გაქცეულიყვნენ. დავითმა ჯერ კიდევ მტრის ხელში მყოფ ქალაქებზეც გაავრცელა თავის ძალაუფლება.

გამეფებიდან 1121 წლამდე, დავითმა უამრავი ჭკვიანური სვლა გააკეთა, რითაც თურქ-სელჯუკთა გავლენა მახლობელ აღმოსავლეთზე მნიშვნელოვნად შეირყა. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ სრულიად ისლამური სამყარო გაერთიანდა და საქართველოს საბოლოო გასანადგურებლად წამოვიდა.

„სულთანმა მოუწოდა არაბეთის მეფეს დურბუხს სადაყის ძესა, და მისცა ძე თვისი მალიქი და ყოველი ძალი მისი და აჩინა სპასალარად ელ-ლაზი, ძე არდუხისი კაცი მრავალღონე და უბრძანა თურქმანობასა, სადაც ვინ იყო, დამასკოთ და ჰალაბითგან ამოთმართ ყოველსა მხედრობად შემძლებელსა ამათ თანა ათაბაგსა განძისასა მისითა ძალითა და სომხითისა ამირათა.“

თურქთა დაახლოებით 40000-იანი ლაშქარი საქართველოში 1121 წლის ზაფხულის ბოლოს შემოვიდა. თურქები მანგლის-დიდგორში დაბანაკდნენ.

დავით აღმაშენებელმა 56000-მდე მეომარი შეკრიბა. ამათგან: 40000 ქართველი; 15000 ყივჩაღი; 500 ალანი და 100 ევროპელი რაინდი.

ქართველები და თურქები ერთმანეთის პირისპირ 12 აგვისტოს განლაგდნენ. სწორედ ამ დღეს დადგა მაინც, ალბათ, ყველაზე მეტად ქართველთა ყოფნა-არყოფნის საკითხი. 12 აგვისტო. დღე, რომელიც შეიძლება ყოფილიყო ქართველთა აღსასრულისა.

ხეობა, რომლითაც ქართული ჯარი დიდგორზე შევიდა, დავითმა მორებით ჩაახერგვინა, რათა უკან დახევის შესაძ-

ლებლობა მოესპო – ან ბრძოლის ველზე დახოცილიყვნენ ქართველები, ანდა გაემარჯვათ.

თვითონ მთავარსარდალი ლაშქრის მთავარ ნაწილს სარდლობდა. დემეტრე უფლისწული მთას იყო ამოფარებული, რათა მოულოდნელი დარტყმა მიეყენებინა თურქებისთვის.

ბრძოლა დავითმა წინასწარ მოფიქრებული ხერხით დაიწყო, რამაც საბოლოოდ დიდწილად განაპირობა ბრძოლის ბედი. ბრძოლის დაწყებამდე ქართველებს ორასი მეომარი გამოეყო. თურქებს ისინი მოლაღატენი ეგონათ და თავიანთ ლაშქრის გულში შეუშვეს. უცაბედად ქართველებმა ხმლები იმიშვლეს და უმოწყალოდ დაერივნენ თურქებს. მტრის რიგები შიშმა და არეულობამ მოიცვა. ამასობაში ქართველებმა ორი მხრიდან შეუტყეს მომხდურს. დავით აღმაშენებელმა და დემეტრე უფლისწულმა ხეობაში შეიტყუეს თურქები და სამი საათის განმავლობაში უმოწყალოდ სჩეხეს.

კათალიკოსმა, რომელიც ბრძოლას ესწრებოდა, თურმე, დაინახა თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი, რომელიც დავითის მხარდამხარ იბრძოდა. მარტო არ დატოვა დალოცვილმა უფალმა ქართველები დიდგორზე! ან განა როდის მიუტოვებია?! მუდამყამს მფარველი იყო ღვთისმშობლის ცრემლებით გაჯერებული მინისა.

დიდგორის „ძღვეთი საკვირველიდან“ ერთ წლის შემდეგ, ქართველებმა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად თბილისი აიღეს. „აილო მეფემან ქალაქი პირველსავე ომსა. 400 წელს ქონებულ სპარსთა და დაუმკვიდრა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ.“ საქართველოს დედაქალაქი თბილისი გახდა.

1124 წელს დავითმა ერთმანეთის მიყოლებით აილო დმანისი, ანისი და შირვანი. ეს დაულალავი მეფის უკანასკნელი ლაშქრობა იყო (იქნებ არ იყო უკანასკნელი?!).

დავით მეფემ მთელი მისი სიცოცხლე ქვეყნისათვის ბრძოლასა და ამასთანავე

წიგნის კითხვაში გაატარა. თავად დავითი საკუთარ თავს უსწავლელად და „მხედრობათა შინა აღზრდილად“ მოიხსენიებდა. დავითს შესწავლილი ჰქონდა არა მარტო ქართული მწერლობა. იგი კარგად იცნობდა ყურანს, რაც ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა მუსლიმებს. ხშირად ამბობდა წიგნიერი მეფე: „კაცთა მიმნიჭებელი პირველი სიმდიდრე, წიგნთა მოძღვრებაი არს“!

განათლებულმა და ყოველმხრივ განსწავლულმა მეფემ მოიწვია ქართველი ფილოსოფოსები და მოაზროვნეები „არათვისთა ოდენ სამეფოსა შიგან პოვნისნი, არამედ ქვეყნის კიდეთათ, სადაცა ესმავითიმე სინმინდე“ და მისსავე აგებულ გელათის ტაძარში დააარსა სამეცნიერო აკადემია. აქ მოღვაწეობდნენ იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი და სხვები. გელათის აკადემიიდან დავითი ნიჭიერ ახალგაზრდებს ბიზანტიაშიც აგზავნიდა განათლების მისაღებად. სწორედ ეს ახალგაზრდები უნდა ყოფილიყვნენ ქართველთა ერთიანობის საყრდენები მომავალში.

დავითის ცხოვრებაში უდიდესი როლი ეკავა რელიგიას. მთელი სიცოცხლის განმავლობაში, უპირველესი დამცველი იყო ქრისტიანობის. თუმცა, მიუხედავად ამისა, მისი სიცოცხლის ბოლო ჟამს მაინც სინანულის ნოტაზე დადგა და დაწერა „გალობანი სინანულისანი“.

აბა, ქართველი ხალხი როგორ დაივინყებდა მას, მაგრამ ანდერძში მაინც ჩაუნერია: „და თქვენ შემდგომად მომავალნო მეფენო! ჩემსა ეკლესიასა და მონასტერსა ანდერძითა ამითა შეგვედრებ, წინაშე ღმრთისა შეკრებასა ჩვენსა რომელ არ სირცხვილსა თანამდებად იხილვინეთ ღმრთისა და ანგელოზთა მისთაგან, მოიხსენეთ ვედრი ჩემი და ნუ ოდეს დამივინყებთ დავითს!“

ეს დავით აღმაშენებლის უკანასკნელი სურვილი იყო!

მორჩა დავითი ამ სიტყვების წერას და

ფანჯარაში შემოჭრილ მზის სხივებს გახედა. ისევ იქ იდგა მზე. ერთმანეთის პირისპირ იდგა ორი დაუმარცხებელი მეფე. მაგრამ, მათ შორისაც, იყო გამორჩეული. და ეს იყო დავითი – მთავარსარდალი, რომელმაც სადაც კი შეიძლებოდა ყველგან მიანვდინა თავისი ბრწყინვალე მახვილი. კაცი, რომელმაც თავისი სიცოცხლის განმავლობაში უამრავი ბრძოლა გადაიხადა და ყველა მათგანი ძლევამოსილებით განასრულა. მაგრამ იყო ყველაზე დიდი ბრძოლა, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ჰქონდა, ეს იყო ბრძოლა სიკვდილთან და სწორედ სიკვდილზე მოიპოვა ყველაზე დიდი გამარჯვება დავით აღმაშენებელმა.

იანვრის შემადრწუნებელ საღამოს, მზე უცებ მოსწყდა ცის კაბადონს და ჰორიზონტს მიღმა ჩაიკარგა თავის სხივებიანად.

დავით აღმაშენებელი უკვდავებაში გადასულიყო...

შაბათი დღე იყო, როცა გამთენიისას ავდექი, ჩანთა მოვიკიდე და მარტოდმარტო დავადექი ქუთაისის გზას. რამდენიმე საათის შემდეგ უკვე ფეხით მივუყვებოდი გელათის აღმართს. ჰაერში საოცარი სურნელი ტრიალებდა ახლადაყვავებული ატმებისა და ტყემლების.

ისე ავიარე აღმართი, დაღლა საერთოდ არ მიგრძენია. იმ მომენტში რალაც საოცარი სიხარულისა და აღტაცების გრძნობა ეუფლებოდა მთელ ჩემს სხეულსა და სულს. ყველაზე დიდი ნატვრა რომ აუსრულდება ადამიანს, სწორედ იმნაირი შეგრძნება მქონდა. პირჯვარი გადავისახე და ტაძრის ეზოში შევედი.

პირველი, რისი გაკეთების სურვილიც დამეუფლა, რაც, ალბათ, გასაკვირი არც არის, იყო ის, რომ მივსულიყავი დავითის საფლავთან. ზურგჩანთა მოვიხსენი, კედელზე მივაყუდე და ნელა მივუახლოვდი მეფის სამუდამო განსასვენებელს.

ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველად მოვინახულე გელათი, ჩემს მეგობრებთან ერთად. იმ დღეს ერთი უცნაუ-

რი ამბავი შევიტყე, რომელმაც ძალიან დამაფიქრა და ყოველთვის, როცა დავითზე ვკითხულობ რაიმეს ან, უბრალოდ, ვფიქრობ, გამუდმებით ეს ამბავი მიტრიალებს თავში. ამიტომ ძალიან მინდა თქვენც იცოდეთ.

2008 წლის ივლისის მიწურულის ერთი ჩვეულებრივი სიცხიანი დილა იყო. ეკლესიის ერთ-ერთი მსახური, რომელსაც ჩვევასავით ჰქონდა დილაობით დავითის საფლავის მონახულება, უჩვეულო ამბის მომსწრე გახდა.

25 ივლისის დილა იყო, როდესაც წესისამებრ დავითის საფლავთან მივიდა და რას ხედავს?! საფლავის ქვა მთლიანად სველია.

თურმე, ისეთი სველი და დაცვარული იყო საფლავის ქვა, მნახველი იფიქრებდა ვინმემ გადაასხა წყალიო. ამის პირველმა თვითმხილველმაც ასე იფიქრა, ალბათ, სველი ტილოთი განმინდა საფლავი ვინმემ და ამიტომ არის სველიო. აქედან გამომდინარე, ფაქტს იმ მომენტში არანაირი აღმფოთება არ გამოუწვევია. თუმცა, საფლავის ქვა არა და არ გაშრა. თურმე, დრო და დრო უფრო ემატებოდა სისველე. ორი კვირის შემდეგ კი ცვარი კედლებზეც ავიდა და საფლავის გარშემო კედლებიც მთლიანად სისველემ მოიცვა.

ვინ იცის, მაგრამ, მგონი, ზოგჯერ მკვდრები უფრო ღელავენ სამშობლოს ბედზე, ვიდრე ცოცხლები. სიცოცხლეში ხომ არ მოისვენა და, აბა, მარადიულ საუფლოში რალა მოასვენებდა საქართველოზე დაუსრულებული სიყვარულით გულანთებულ მეფეს.

აბა, მაშინ ვინ იფიქრებდა, რა ანუხებდა, რისთვის ამზადებდა ქართველობას.

ბედი მტრისა, რომ დავითი ველარ წამოდგა საფლავიდან და ველარ გაუძღვა აგვისტოს ომში მიმავალ ქართველობას, თორემ კიდევ ერთი ქართული კუთხე, ქართველების გარეშე არ დარჩებოდა.

მე მაინც მჯერა, როდესაც ამის აუცი-

ლებლობა დადგება, დავითი აუცილებლად მოიშორებს იმ უზარმაზარ ლოდს, რომელიც მკერდზე აწევს, ადგება და კიდევ ერთხელ იქნება „ძლევაი საკვირველი“!!!

მუხლი მოვიყარე დავით აღმაშენებლის საფლავთან და მარჯვენა ხელი ქვაზე დავდე. „დავით, მოიყვანე შენს საფლავთან ღირსეული და მიეცი ძალა, რომ საქართველოს გაუძღვეს. მოგვეცი ძალა, რომ საქართველოს ვუშველოთ, დავით, დაგვეხმარე“!


აღბათ, ყველას ჰქონია მომენტი, როცა უფიქრია, ყველაფერს გავაკეთებ და არაფრის შემეშინდებაო. ასეთი გრძნობა მე მაშინ დამეუფლა. მაშინ, როდესაც დავითმა თავისი უსაზღვრო ძალა და სიყვარული მეც მინილადა. ეს ყველაფერი მაშინ იყო... და ახლა? ახლა ვამბობ, რომ ჩვენი დიდგორი წინ არის!!! არის!!!

**გამოყენებული ლიტერატურის სია:**

1. საქართველოს ისტორია – „პალიტრა L“ 2012;
2. „უქარქაშო ხმლები“ – „ბაკმი“ საქართველო 2011. ორ ტომად;
3. „777 ქართული სიქველე. 309 ქართული სირცხვილი“ – „ბაკმი“ საქართველო 2010;
4. „გალობანი სინანულისანი“ – თბილისი „ხელოვნება“ 1989. კოოპერატიული ფირმა „ნუგეში“;
5. „დავით აღმაშენებელი“ – „პალიტრა L“ 2011 რვა ტომად;
6. „ტყეების მეფე“ – „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ 2013;
7. „დედა ისტორია“ – „ბაკმი“ საქართველო 2005;

**მალსაზ არაბული**

ქ. თბილისი სსიპ. 115-ე საჯარო



სათიკ იაჭიანი

დავით აღმაშენებელი

სკოლის მოსწავლე დავით IV-ს (1089-1125 წწ), შთამომავლობისა და ისტორიის მიერ აღმამენებლად წოდებულს, წილად ხვდა უდიდესი მისია სამშობლოს ისტორიაში. მან დაასრულა საქართველოს ერთიანი მონარქიის მშენებლობა, გააერთიანა ქვეყანა და უშიშარპყო საგაერო და საშინაო მტრებისაგან. ამ ისტორიული მისიის შესრულებას წინ უძღოდა დიდი ბრძოლა და შრომა, მნიშვნელოვანი ღონისძიებები და რეფორმები სახელმწიფოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. დავით IV-ს მემკვიდრეობად ერგო მოხრებული ქვეყანა, შემცირებული და მრავალ დამარცხებათაგან დემორალიზებული ლაშქარი, ძლიერი საგარეო მტერი და თავაშეხებული საშინაო მონინაალმდეგენი.

1089 წელს საქართველოს სამეფო კარზე პოლიტიკური გადატრიალება მოხდა. ქვეყნის მომავლით დაინტერესებულმა პირებმა აიძულეს მეფე გიორგი II გადამდგარიყო და მეფობა თავისი 16 წლის ვაჟის დავითისათვის დაეთმო. როგორც ისტორიკოსი წერს, მეფის ხელისუფლება ლიხის ქედს არ სცილდებოდა, კახეთ-ჰერეთი ცალკე სამეფო იყო.

ქართლი და სამხრეთ საქართველო თურქ-სელჩუკთა შემოსევებისა და „დიდი თურქობის“ შედეგად მთლიანად აოხრებულიყო. თბილისს უკვე რამდენიმე საუკუნეა მაჰმადიანები დაჰპატრონებოდნენ. დიდაზნაურები თითქმის არ ემორჩილებოდნენ მეფეს. თურქთა შიშით მოსახლეობას მიტოვებული ჰქონდა მამა-პაპური საცხოვრებელი ადგილები და მიუვალ ციხესიმაგრეებსა და მთებში იყო შეფარებული. მინები აღარ მუშავდებოდა, შეწყვეტილი იყო ხვნა-თესვა. განადგურებული იყო ზვრები და ბალები. ჩამკვდარიყო ხელოსნობა და ვაჭრობა. შეიძლება ითქვას, ქვეყანა და ერი განადგურების პირას იდგა. დავითის მეფობის პირველი

ათწლეული ქვეყნის შინაგანი მოლონიერების, სამეფო ხელისუფლების სიძლიერისა და პრესტიჟის ზრდის წლები იყო. ქვეყნის წინაშე გადაუდებელ ამოცანად იდგა უძლიერეს ფეოდალთა თვითნებობის დათრგუნვა და თურქი დამპყრობლების განდევნა. მეფე პირველ რიგში ლაშქრის ორგანიზაციას შეუდგა. მრავალრიცხოვან დამარცხებათა შედეგად, ლაშქარი დეზორგანიზებული და მორალურად გატეხილი იყო. დავითმა თავის ირგვლივ შემოიკრიბა წვრილი და საშუალო აზნაურები, რომელთაგანაც ჩამოაყალიბა მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგად განვრთნილი სამხედრო რაზმები. ამ ერთგულთა რაზმებით ის თავს ესხმოდა და ავიწროებდა ქართლში ჩამოსახლებულ თურქებს, ქართველ მოსახლეობას მამა-პაპათა ნასახლარებზე დაბრუნების საშუალებას აძლევდა. „სოფლებთაც იწყეს შთამოსვლად და დასხდომად“, – მოგვითხრობს ისტორიკოსი. დავითმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა მეფის ხელისუფლების გასაძლიერებლად. მან მაღალი თანამდებობიდან გადააყენა მეფის ორგული მოხელეები, რომელთაც ეს თანამდებობები პირადი ღირსებით კი არ ჰქონდათ მიღებული, არამედ შთამომავლობით და გვარიშვილობით. მათ ადგილას ახალგაზრდა მეფემ თავისი ერთგული აზნაურები დააწინაურა.

საქართველოსათვის სასიკეთო ძვრები ხდებოდა საერთაშორისო სარბიელზეც. ძლიერდებოდა ჯვაროსნული მოძრაობა, ხოლო სელჩუკები ნელ-ნელა სუსტდებოდნენ. 1097 წლებში ჯვაროსნებმა აიღეს ანტიოქია და იერუსალიმი. 1099 წელს დავით IV აღმაშენებელმა ხარკი შეუწყვიტა თურქ-სელჩუკებს და უკვე აქტიურად დაიწყო მათ წინააღმდეგ მოქმედება. დავითმა ახალ ვითარებაში უპირველეს ამოცანად ქართული მიწების შემომტკიცება დაისახა და კახეთის შემოსაერთებლად დაიწყო

ბრძოლა. ამ ბრძოლაში მნიშვნელოვანი იყო 1103 წელს ზედაზნის აღება, რაც დავითს დასახული მიზნის მიღწევას უადვილებდა. ამავე წელს შეიპყრო ძაგან და მოდისტო აბულეთის ძეები, რომლებიც მეფის გამაერთიანებელ პილიტიკას აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ. 1104 წელს ერწუხის ბრძოლაში გამარჯვებით დავით IV აღმაშენებელმა კახეთ-ჰერეთი შემოიერთა.

რაც შეეხება ეკლესიას, იგი უძლიერესი და უმდიდრესი ორგანიზაცია იყო შუასაუკუნების საქართველოში. ეკლესიაში აღმოჩნდნენ მეფის მოწინააღმდეგეები – სწორედ ეკლესიაში წესრიგის დამყარების მიზნით მოიწვია დავითმა 1104 წელს საქართველოს საეკლესიო კრება. საეკლესიო კრების სხდომები იმართებოდა რუისსა და ურბნისში, ამიტომ მას რუის-ურბნისის საეკლესიო კრება ეწოდა. კრებამ მაღალი საეკლესიო თანამდებობებიდან გადააყენა მეფის მოწინააღმდეგე, საგვარეულო წარჩინებით დანიშნურებული მოხელეები და მათ ნაცვლად მეფის პოლიტიკის ერთგული პირები აირჩია. კრებამ გააუქმა ძნელბედობის ჟამს დაკანონებული საეკლესიო წესები. საეკლესიო კრების შემდეგ ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩაატარა. მან გააერთიანა ორი თანამდებობა: მნიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელი ეპისკოპოსისა. მნიგნობართუხუცესი მეფის კანცელარიის უფროსი იყო, ჭყონდიდელი კი – ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ეპისკოპოსი. ახალ თანამდებობას მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ეწოდა. მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი მეფის შემდეგ ყველაზე გავლენიანი პირი გახდა. მას, როგორც მნიგნობართუხუცესს, შეეძლო ჩარეულიყო საერო საქმეებში, ხოლო როგორც ჭყონდიდელს – საეკლესიო საქმეებში. მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობაზე დავითმა თავისი აღმზრდელი და თანამებრძოლი გიორგი დანიშნა. დავითმა გაატარა სასამართლო რეფორმაც და შექმნა „სააჯო კარი“. „სააჯო კარი“

იყო უზენაესი სასამართლო. აქ თხოვნით მოდიოდა ის, ვინც უფრო დაბალ სასამართლოში ვერ გადაწყვეტდა თავის საქმეს. „სააჯო კარი“ მეფემ მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს დაუმქვემდებარა და ამით კიდევ უფრო გაზარდა მისი გავლენა. დავით აღმაშენებელმა შექმნა საიდუმლო სამსახური – მსტოვართა სამსახური. მსტოვრების მეშვეობით მეფე ყველაფრის საქმის კურსში იყო, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. დავითის მიერ მიღწეული წარმატების მიუხედავად, სელჩუკიანებს ჯერ კიდევ ეპყრათ უმნიშვნელოვანესი ციხეები და ქალაქები – დმანისი, სამშვილდე, რუსთავი და სხვა. საქართველოს გაერთიანების მოწინააღმდეგეთა დასაყრდენს წარმოადგენდა ქალაქი თბილისი, სადაც ქართველებს დროდადრო ხოცვა-ჟლეტასაც უწყობდნენ. სწორედ ამიტომ, დღის წესრიგში დადგა სელჩუკებისგან ქვეყნის სრული გათავისუფლება. 1110 წელს გაიმარჯვეს გიორგი ჭყონდიდელ-მნიგნობართუხუცესმა, აბულეთმა, ივანე ორბელმა, ჭყონდიდელის დისწულმა თევდორემ და სამშვილდე აიღეს. სამშვილდის დაკარგვისთანავე თურქებმა სომხეთის უმეტესი ციხეები დაცალეს და გაიქცინენ. ამავე წელს აიღეს ძერნა. ქართული „რეკონკისტა“ მძლავრი და შეუქცევადი გახდა, რკალი ნელ-ნელა ვინროვდებოდა თბილისის გარშემო. 1115 წელს გიორგი ჭყონდიდელმა მნიშვნელოვანი ცენტრი – რუსთავი გაათავისუფლა. ამან თურქებს გამოსაზამთრებელი ადგილები მოუსპო. 1117-1118 წლებში დავით IV აღმაშენებელმა ზედიზედ აიღო ციხე-ქალაქები: აგიში, ლორე, აგარანი. არაერთი გამარჯვება მოიპოვა სხვა ბრძოლებშიც.

გამუდმებული მოლაშქრობა მწარმოებელ მოსახლეობას სწყვეტდა მის ძირითად საქმიანობას, რაც აბრკოლებდა ქვეყნის ნორმალურ სამეურნეო განვითარებას. შესამჩნევი იყო, რომ საქართველოს მეფის განკარგულებაში მყოფი ფეოდალური ლაშქარი

და მისი პირად გვარდია არ იყო საკმარისი. საჭირო იყო თურქთაგან გათავისუფლებულ ციხეებში მეციხოვნეების ჩაყენება, გამუდმებული ბრძოლა საშინაო თუ გარეშე მტრების წინააღმდეგ ქვეყნის გაერთიანებისათვის საჭირო იყო დიდი ლაშქარი, ქართული ლაშქარი კი ვერ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნებს. დავითს წინ ედო გადამწყვეტი შტურმი თბილისზე, რაც შეიარაღებული ძალების გაძლიერებას მოითხოვდა. ეს რთული საკითხი დავითმა მოხერხებულად გადაწყვიტა, მან ყივჩაღთა გადმოსახლება დაისახა მიზნად. ყივჩაღები მრისხანე ძალა იყო, რომელსაც რუსეთი შიშის ქვეშ ჰყავდა. კავშირის განსამტკიცებლად დავითმა ცოლად შეირთო ყივჩაღთა „უმთავრესის“ ათრაქა შარალანისძის ქალიშვილი. ნათლად ჩანს, რომ ამ ქორწინებას პოლიტიკური მიზანი ჰქონდა. ყივჩაღები ამ დროს დიდად იყვნენ შევიწროებულნი კიევის სამთავროს მიერ და მათთვის ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო საქართველოსთან დაკავშირება. გადმოსახლებულ ყივჩაღებს მიწები დაურიგეს და სცადეს მათ ცხოვრებაზე გადაყვანა. ყოველ ოჯახს ერთი შეიარაღებული მხედარი უნდა გამოეყვანა მისთვის. შეიქმნა 40-ათასიანი კარგად განვრთნილი და შეიარაღებული, მთლიანად მეფეზე დამოკიდებული მუდმივი ცხენოსანი ლაშქარი, რაც მეფის ხელში დიდ ძალას წარმოადგენდა. ასეთი სამზადისის შემდეგ დავით მეფე ერთიანი ფრონტით შეტევაზე გადავიდა თურქ-სელჩუქთა წინააღმდეგ. შეირყა მაჰმადიანთა პოზიციები.

ამიერკავკასიის შემოფოთებულმა მაჰმადიანმა მფლობელებმა სელჩუკ სულთანთან ელჩები გააგზავნეს საქართველოს მეფის წინააღმდეგ დახმარება სთხოვეს. სულთანმა მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიანური ქვეყნებიდან ერთობლივი ლაშქარი შეკრიბა, რომლის სათავეში ჯვაროსნებთან ბრძოლებში სახელმოხვეჭილი სარდალი, ბაღდადის გამგებელი ილ-ლაზი ჩააყენა. თურქ-სელჩუქთა უზარმაზარი

ლაშქარი ქართლში მანგლისის-თრიალეთის გზით შემოვიდა და 1121 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში მანგლისსა და დიდგორში დაბანაკდა, აქედან მტერი თბილისისკენ აპირებდა წასვლას. საქართველოს მეფე მტერს კარგად მომზადებული დახვდა. დავითი 50-ათასიანი ლაშქრით ნიჩბისის ხევით მიუახლოვდა დიდგორს და მეომრებს, რომელნიც საკუთარ სახლ-კარს, ცოლ-შვილს, სამშობლოს იცავდნენ კარს მომდგარი მტრისგან, სიტყვით მიმართა, რათა აღთქმა დაედოთ:

„ან გავიმარჯვებთ, ან ბრძოლის ველზე დავიხრცებით“. გადამწყვეტი ბრძოლა 12 აგვისტოს მოხდა. დავითმა ხერხს მიმართა – ბრძოლის დაწყებამდე ქართველთა ლაშქარს ორასი გულადი მეომარი გამოეყო და მტრის ლაშქრისკენ გაემართა. სელჩუკებს ისინი მოღალატე ეგონათ და დაუბრკოლებლად შეუშვეს თავის განლაგებაში. აქ კი ამ მამაცმა მეომრებმა უეცრად ბრძოლის ყიჟინი დასცეს და მტრის ხოცვა დაიწყეს, რამაც თურქთა ლაშქარში დიდი არევ-დარევა გამოიწვია. ამ ნიშანზე ქართველთა ლაშქარმა დავითისა და უფლისწულ დემეტრეს მეთაურობით მტერს ორი მხრიდან შეუტია. სისხლისმღვრელი ბრძოლა რამდენიმე საათში ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. უნესრიგოდ უკანდახეულ მტერს ქართველებმა ფეხდაფეხ მისდიეს და საქართველოს საზღვრებიდან გარეკეს. დიდგორის ბრძოლას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა „ძლევაი საკვირველი“ უწოდა. დავითის მხედართმთავრულმა ნიჭმა და ქართველ მეომართა თავდადება საქართველო გადაარჩინა.

დიდგორის ბრძოლის შემდეგ თბილისი საქართველოს სამეფოს რკალში მოექცა. გაიხსნა გზა თბილისისაკენ. გამარჯვებამ აშკარა გახადა ქართველთა უპირატესობა მახლობელ აღმოსავლეთში თურქთა წინაშე. თურქების უღელქვეშ მყოფ კავკასიის ქრისტიან ხალხებს გათავისუფლების იმედი მიეცათ. თურქ-სელჩუკებზე ასეთ დიდ გა-

მარჯვებას იმ დროს, როდესაც ევროპელი ჯვაროსნები მათთან ბრძოლაში მარცხდებოდნენ, დიდი გამოხმაურება ჰქონდა, ამ გამარჯვებაზე წერდნენ: ევროპელი, არაბი, სომეხი, ისტორიკოსები. ევროპელები საქართველოს ქრისტიანობის ბურჯს უწოდებდნენ აღმოსავლეთში. ამ დიდი გამარჯვების ორგანიზატორ მეფე დავითზე ლეგენდები შეიქმნა და გავრცელდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებში. მიუხედავად ასეთი წარმატებისა, საქართველოს დედაქალაქი თბილისი მაინც თურქთა ხელთ იყო. თურქებს აქ დიდი სამხედრო ძალა ჰყავდათ. ქალაქში, მდიდარ მოქალაქეთა წარმომადგენლების თვითმმართველობა არსებობდა „ქალაქის ბერების სახით“.

1122 წელს დავითმა იერიში მიიტანა თბილისზე. მართალია, ქალაქის სამხედრო გარნიზონმა და მაჰმადიანურმა მოსახლეობამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია საქართველოს მეფეს, მაგრამ ქართველებმა მაინც შეძლეს თბილისის გათავისუფლება, რომელიც ოთხასი წლის მანძილზე მაჰმადიანთა ხელში იყო. დავითმა დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა. მეფემ თბილისელ მაჰმადიანებს, სომეხებს ქალაქში უვნებლად ცხოვრების, მათი სარწმუნოების ხელუხლებლობის პირობა და მთელი რიგი შეღავათები მისცა, რათა მათ თავისუფლად განეგრძოთ ქალაქში მშვიდობიანი საქმიანობა. 1123 წელს დავითმა თითქმის უბრძოლველად აიღო ქალაქი დმანისი, მაჰმადიანთა უკანასკნელი საყრდენი პუნქტი. დავითმა კარგად იცოდა, რომ სანამ თურქები საქართველოს საზღვრებთან იმყოფებოდნენ, მანამ ჩვენს ქვეყანას დაემუქრებოდა საფრთხე. სწორედ ამიტომ, საჭირო იყო თურქ-სელჩუკების განდევნა საქართველოს საზღვრებიდან შორს. ამ დროს მეფესთან მოვიდნენ სომხეთის დედაქალაქის ანისის მოსახლეობის წარმომადგენლები და დავითს ქალაქის მაჰმადიანთაგან დახსნა სთხოვეს. 1124 წელს ქართველებმა გაათავისუფლეს 60

წლის განმავლობაში მაჰმადიანთა ხელში მყოფი ანისი და მთელი ჩრდილოეთ სომხეთი. ანისზე ალების შესახებ ინფორმაციას გვანუდის სომეხი ისტორიკოსი. იგი დავითის შესახებ შემდეგ რამეს გვეუბნება:

„მეფე დავითი იყო ძლიერი და მამაცი. მან მრავალჯერ სძლია უცხოელთა ჯარებს. მის გარშემო შეიკრიბა სომეხთა გადარჩენილი ლაშქარი. დიდი სიხარულით და აღფრთოვანებით ექცეოდა მას სომეხი ხალხი. მეფემ მონობისაგან გაათავისუფლა სომეხთა სატახტო ქალაქი ანისი, რომელიც სამოც წელს იმყოფებოდა ტყვეობაში“.

ქართველებმა ამავე წელს დაიკავეს შირვანი. დავითის ისტორიკოსი გვაცნობს, რომ მეფეს დიდი გეგმები ჰქონდა, მაგრამ იგი 1125 წლის 24 იანვარს ორმოცდათორმეტი წლის გარდაიცვალა. მეფე გელათში დაკრძალეს.

მისი ტახტზე ასვლის ჟამს საქართველო განადგურების პირას იდგა. თავის მემკვიდრეებს კი მან დაუტოვა გაერთიანებული და ძლიერი სამეფო, რომელიც შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე იყო გადაჭიმული. საქართველო გადაიქცა მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ. დავითი არა მხოლოდ თავისი დიდი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და სამხედრო მოღვაწეობით იყო გამოჩენილი, იგი ასევე თავისი დროის უგანათლებლესი, დიდი ბუნებისა და რკინისებური ნებისყოფის ადამიანი იყო. კარგად იცნობდა ქრისტიანულ მოძღვრებას, ფლობდა არაბულ და სპარსულ ენებს. მრავალრიცხოვანი ლაშქრობებისა და სახელმწიფოებრივი საქმიანობისაგან მუდამ მოუცლელ მეფეს მგზავრობას და ლაშქრობაში თან დაჰქონდა წიგნსაცავი და ყოველ თავისუფალ წუთს კითხვას ანდომებდა. არსებობს ლეგენდაც, რომლის თანახმადაც, დავითი ერთხელ იმდენად გაერთო წიგნის კითხვით, რომ ვერ შენიშნა მოახლოებული მტერი, რომელიც უკვე მის ამაღლას ებრძოდა. დავითი თავადაც შესანიშნავად წერდა. მან შთამომავლობას დაუტოვა ჰიმნოგრაფიის შესანიშნავი

ნიმუში „გალობანი სინანულისანი“, რომელიც შუა საუკუნეების ქართული კულტურის იდეოლოგიური და ესთეტიკური მრწამსის გამოხატულებაა. ამ საგალობელში დავითი წარმოთქვამს აღსარებას უზენაესის წინაშე, ინანიებს ჩადენილ ცოდვებს და იმედოვნებს ღმერთის მოწყალებასა და შენდობას. ქართული კულტურისა და ქრისტიანული რჯულის დამცველი და მოამაგე დიდ ყურადღებას იჩენდა სხვა სარწმუნოების მიმდევართა მიმართაც, რაზეც თვითონ მუსლიმი ისტორიკოსები გვანვდიან ცნობებს. მუსლიმი ისტორიკოსების ცნობით, დავითი მათ მეჩეთის აშენების უფლებასაც აძლევდა, ნაკლებ გადასახადებს ახდევინებდა, მუსლიმთა დასახლების ადგილებში კრძალავდა ღორის დაკვლას, მათ თურმე საკუთარი მონეტაც კი მოუჭრა. აძლევდა უფლებას, რომ მათი სულთანისთვის ელოცათ და არა მისთვის – დავითისთვის, იგი თურმე ხშირად თავის შვილთან – დემეტრესთან ერთად ესწრებოდა მუსლიმთა ლოცვასაც. ასევე იგი დიდად უწყობდა ხელს ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას. მან შეღავათიანი პირობები შეუქმნა ვაჭრებს, ააგო ხიდები, გზები ააშენა ფუნდუკები, სადაც სხვადასხვა ქვეყნის ვაჭრებს უფასოდ შეეძლოთ ღამისთევა. დავითის ტიტული ყველაფერზე მეტყველებს – „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა და შარვანშად ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა“.

როდესაც დავითზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება, არ გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის მიერ 1888 წელს დაწერილი წერილი „დავით აღმაშენებელი“. აი, რას წერს ილია დავით მეფეზე: „აღმაშენებელს სახელი დაარქვეს საუკუნო სახსენებლად. კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, ამბობს ჩვენი ერი: – ერთი აქ დასაჩენი, მეორე თან წასაყოლი. და ეს ყოველივე დავითმა კიდევაც დაიმსახურაო. მან იბრომა, იღვანა და აქ კი სამარადისო სახელი დაუტოვა შთამომავლობას“.

საქართველოს ეკლესიამ დავით აღმაშენებელი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენე-

ბის დღედ 26 იანვარი (8 თებერვალი) დაანესა.

ახლა კი, გავიხსენოთ ანა კალანდაძის ლექსი. “ფეხი დამადგით, გულზე დამადგით“, რომელშიც მთავარი ადგილი უჭირავს სწორედ დავითს და მის საფლავს... დავითს ქართველებმა შეუსრულეს სურვილი და იგი ისე დაკრძალეს, როგორც თავად მეფეს სურდა და დღეს მართლაც თითოეული იქ შესული, სწორედ მის გულს აბიჯებს ფეხს.

„ფეხი დამადგით,  
გულზე დამადგით ფეხი ყოველმან,  
წყალობა ჰყავით  
საქართველოს ყოვლის მპყრობელმან  
ვისურვეთ დავით...  
ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი  
ყურძნის მტევნებით...“

– ესეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო, მიუტეველი

ღირს მსახურებდი ქართულ მიწა-წყალს,  
რაი გადარდებს?

გასწიე იგი ”ნიკოფსიითგან  
დარუბანდამდე“...

თუ, ეს მაღალთა თავმდაბლობაა  
ოდით და ოდით?

თუ ცოდვილიხარ, მაშინ, მეფეო,  
რალა ქნან ცოდვილთ

სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის  
ვერსით მპოველთა?

– ფეხი დამადგით, გულზე დამადგით  
ფეხი ყოველთა...“

ეს ერთადერთი სურვილია მეფისა, რომელსაც დღემდე ქართველი ერი უსრულებს მეფე დავითს. სხვა თანამედროვე ქართველმა პოეტებმაც არაერთი ლექსი და პოემა უძღვნეს შორეულ დიდ წინაპარს.

პოეტმა მუხრან მაჭავარიანმა დავითის ნათელი პორტრეტი შექმნა შემდეგი სტრიქონებით:

„ხელში გელათი უჭირავს ერთში,  
წიგნი უჭირავს მეორე ხელში

მეფეა

კახთა,

სომეხთა,

რანთა,  
აფხაზთა, სვანთა  
და უდიმართა.  
ტანზე ქრისტესი აცვია კვართი,  
გადაჰყავს თევზნი რიონში მტკვარ-  
თით...“

ეს ლექსი გარკვეული გამოძახილია არ-  
სენ იყალთოელის მიერ დავითისადმი მიძღ-  
ვნილ ეპიტაფიისა...

„ვინ ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი  
პურად დამესხნეს,

თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვარ-  
თა გარე გამეხსნეს,

თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა  
წყალთა შთამეხსნეს,

ანე ამათსა მოქმედსა გულზედან ხელნი  
დამესხნეს“.

დავით აღმაშენებლის სახე თავისებუ-  
რად აისახა ქართულ შემოქმედებაშიც. ერთ  
ხალხურ ლექსში საქართველოს მეფის მთე-  
ლი მოღვაწეობაა ასახულ-წარმოჩენილი.

„გიამბობ სიფრიალესა

დავითის, აღმაშენთასა,

მტკიცესა მკლავსა, განმგესა

წყობასა სპარაზენთასა.

მაღლით განცდასა ქვენათა,

ლალვალთა აღნაგზენთასა

და ქველთა საქმეთ ურიცხვთა,

გლახაკთა მინაფენთასა“.

მეფე დავითს კონსტანტინე გამსახურ-  
დიამ უძღვნა წიგნი ოთხ ტომად – „დავით  
აღმაშენებელი“, რომელშიც აჩვენა ის დიდი  
შინაკლასობრივი დუღილი, რასაც ადგი-  
ლი ჰქონდა იმ პერიოდის საქართველოში.  
მან წარმოაჩინა დავითის საქმიანობა ფე-  
ოდალური ქვეყნის ცენტრალიზაციისათ-  
ვის, მისი დიდი ბრძოლები საქართველოს  
თურქ-სელჩუკთა გასათავისუფლებლად.

დასრულდა ეპოქა – „ოქროს ხანად“  
წოდებული დრო, როდესაც საქართველო

იყო წარმატებული, გაერთიანებული, ბედ-  
ნიერი და ყველასთვის მისაბაძი ერი. ჩვენ  
კი ვიმედოვნებთ, რომ საქართველოში ისევ  
დადგება „ოქროს ხანა“ და ისევ იქნება ეს  
ქვეყანა გაბრწყინებული, ისე როგორც XII  
საუკუნის დასაწყისში. დრო მიდის, მაგრამ  
ნამდვილი გმირები არ იკარგებიან, რო-  
გორც დავითი, მისი მეფობის ხანა დღემდე  
გადაეცემა თაობიდან თაობას, იგი ყველას-  
თვის მისაბაძი მეფეა, კარგი მხედარმთავა-  
რი და წარმატებული ადამიანი. დრო ისევ  
მოვა ჩვენი გაძლიერებისა, გაერთიანებისა  
და აღორძინებისა. ისევ შემოვკრავთ ერ-  
თად ბედნიერების ზარს. ვილორძინებთ,  
ვიხარებთ, ვიმრავლებთ და ერთად შევქ-  
მნით ისევ ძლიერ და დამოუკიდებელ სა-  
ხელმწიფოს. აი ისეთს, ჩვენი მეფე იქედან  
რომ იამაყებს... ჩვენ ისევ გავხდებით ყვე-  
ლასთვის მისაბაძი ერი. დავით აღმაშენებ-  
ლის ეპოქას და პიროვნებას კი მუდამ სა-  
თუთად შევინახავთ ჩვენს მეხსიერებაში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს ისტორია თბილისი  
1993 (ნ. ასათიანი, გ. ლორთქიფანიძე);
2. საქართველოს ისტორია გამომცემ-  
ლობა „არტანუჯი“ 2003 (მერაბ ვაჩნაძე,  
ვახტანგ გურული, მიხეილ ბახტაძე);
3. საქართველოსა და მსოფლიოს ის-  
ტორია „დიოგენე“ (პ. რამიშვილი, ნ. ახმე-  
ტელი, დ. სართანია, გ. ჩხიკვიშვილი);
4. საქართველოს ისტორია, თბილისი  
1998წ (ი. ანთელავა, ს. ვარდოსანიძე, რ.  
მეტრეველი);
5. საქართველოს ისტორია ტ. 1 – უძ-  
ველესი დროიდან XIX საუკუნის დასას-  
რულამდე.

**სათიკ იაშინი**

ნინოწმინდის რაიონის სოფ. ეშტის  
პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე

**ლია თელთაშვილი**

**ღავით აღმაშენებელი თანამედროვე სატნერაში**

მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიაში ხატი წარმოადგენს ტაძრის შემადგენელ ნაწილს და ღმერთთან ურთიერთობის ერთ-ერთ გზას. პირველ ხატმწერად ლუკა მახარებელს მიიჩნევენ, რომელმაც ღვთისმშობლის ხატი ოდიგიტრია – გზის მაჩვენებელი დაწერა.



მართლმადიდებლური ხატწერის ხელოვნებას გააჩნია სიმბოლიზმი, რომელიც ახდენს შინაარსის გადმოცემას (ამიტომაც ითქმის ხატზე „დაინერა“ და არა „დაიხატა“). მაგალითად: დიდი და განიერი თვალები სიმბოლოურად გამოხატავს ხედვას არამატერი-ალურ სამყაროში – დიდი ყურები ღვთის სიტყვის სმენას ნიშნავს. დიდი შუბლი – სიბრძნის ნიშანია. მნიშვნელობა ენიჭება ფერებსაც. მწვანე – მარადიულობის, სიცოცხლის სიმბოლოა. ცისფერი – ზეციურობის სიმბოლო. ოქროსფერი – მარადიულობის, უხრწნელობის სიმბოლო. მეფეები იმოსებოდნენ მენამული სამოსით, რადგან მიიჩნევა საიმპერატორო ფერად. ხატწერაში არ გამოიყენება შავი ფერი. ხატზე გამოკვეთილი უნდა იყოს წმიდანის სულიერი მხარე. ხატწერა სწორედ ამ დეტალებით განსხვავდება ჩვეულებრივი მხატვრობისგან. ხატმწერებს შეუძლიათ საკუთარი ინტერპრეტაციით ხა-

ტის შესრულება, მაგრამ ეს უნდა ეთანხმებოდეს მასზე გამოსახულის ბიოგრაფიას.

გელათის ტაძრის ჩრდილოეთ ნაწილში საკურთხეველთან გახლავთ წმიდა კეთილმსახური მეფის დავითის ფრესკა, რომელიც დავითის გარდაცვალებიდან (1089-1125) ოთხასი წლის შემდეგ არის შესრულებული, მაგრამ ფრესკის გამოკვეთებით დადგინდა, რომ შეინიშნება უფრო ძველი შრე. გრძელი მწკრივის სათავეში გამოსახულია მონასტრის დამაარსებელი დავით აღმაშენებელი ანდერძითა და ეკლესიის მოდულით ხელში.

ამ ფრესკაზე მეფე წარმოდგენილია მენამული ფერის, ძვირფასი თვლებით განყობილი სამეფო გვირგვინით, ქარვისფერი შარავანდედის ფონზე. მწვანე ბისონით, რომელიც მოოჭვილია მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებით. გვირგვინზე ოქროს სასაფეთქლები ამშვენებს. ჭალარაშერეული წვერი, სწორი ცხვირი და დიდი თვალები მის ვიზუალურ მხარეს დასამახსოვრებელს ხდის.



თანამედროვე ხატმწერებს, რომლებსაც ჩვენ ვესაუბრეთ, თითქმის ყველას ნიშუშად სწორედ ეს ფრესკა აქვს გამოყენებული.

X-XIII საუკუნეების ქართული სამეფო ჩასაცმელი ძირითადად ბიზანტიური წარმომავლობისაა და მკვლევართა აზრით, ეს პოლიტიკური ვითარებითა და კულტურული კავშირებით იყო განპირობებული. სამეფო სამოსელი შედგებოდა „კუართის“, ბისონისა და ღიაღემისგან (ძვირფასი თვლებით

განყოფილი თავსახვევი ან გვირგვინი – უზენაესი ქურუმების (მეფეების) ხელისუფლების ნიშანი). ბისონი – ეს გახლავთ მღვდელმსახურის შესამოსელი. ეპისკოპოსის ზედა სამოსი, რომელიც ქვემოდან და სახელოებიდან დამოკლებული დიაკვნის სტიქარს ჰგავს. მის ქვეშ მოჩანს კვართიც და ოლარიც (მღვდელმსახურის შესამოსელი. ოლარის გარეშე მღვდელს, ისევე როგორც დიაკვანს, არანაირი მსახურების აღსრულება არ შეუძლია).

ავტ: ლაშა დარბუაშვილი. 36 წლის ლაშა დარბუაშვილი დაახლოებით 8-9 წელია ხატმწერია. იგი ძირითადად იყენებს „ცისარტყელის“ ფერებს, რადგან მიიჩნევს, რომ ამ ფერებიდან ნებისმიერი მიზანშეწონილია. იგი ამბობს: „ყველა ნახატს თავისი ეპოქა აქვს. როდესაც ეკლესიური ხდები, ხატს სულიერად აღიქვამ და ხვდები, რომ ხატწერასთან შედარებით ხატვა არაფერია. ხატწერა სულთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ჩვეულებრივი მხატვრობა.



ხატი დაიწერა 2010 წელს. ხატის შესრულებას დასჭირდა დაახლოებით ორი კვირა. დავით აღმაშენებელს მარჯვენა ხელში უჭირავს გრაგნილი – ანდერძი, ხოლო მარცხენაში გელათის მონასტრის მაკეტი. გამოყენებულია ხატწერის საღებავები, პიგმენტები. პიგმენტი არის დაფხვნილი ძვირფასი ან

ნახევრად ძვირფასი ქვები, რომელსაც ურევენ კვერცხის გულს და ძმარს, რათა შემდგომ არ ჩამოცვივდეს საღებავი. ეს ხატი დაიწერა ცაცხვის ხისგან დამზადებულ დაფაზე, რომელიც დამუშავებულია ნებოთი და ცარციტით. ხატს დასრულების შემდეგ ესმევა დამცავი ლაქი, რათა წყალმა არ გააფუჭოს და საღებავი არ აძვრეს. ფონისთვის დაკრულია ოქროს თხელი ფირფიტები.

ხატზე მეფე დავითს აქვს ძვირფასი ქსოვილის, თვლებით და მარგალიტებით მორთული მოსასხამი – მანიაკი. იგი სამეფო და დიდგვაროვანთა მოსართავად გამოიყენებოდა. მანიაკი ეგვიპტესა და არაბეთში გაჩნდა, შემდეგ ბიზანტიელებმა სპარსელებისგან გადაიღეს თანამდებობის პირთა განმასხვავებელ ნიშნად. მეფე დავითს თავზე ახურავს ოქროსგან დამზადებული და ძვირფასი ქვებით მორთული დაბალი გვირგვინი. მის გამოსახულებას რომ დააკვირდეთ, შენიშნავთ, რომ მისი თავის გარშემო წრე არის შემოხაზული. ამ წრეს შარავანდელს უწოდებენ. შარავანდელი ზეციური ნათლის გამოსახულებაა. ეს ხატი დაბრძანებულია ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩითახევში – მეცხრე საუკუნის, წმ. გიორგის სახელობის მწვანე მონასტერში, რომელიც, მეცნიერთა აზრით, წმ. გრიგოლ ხანძთელის მონაფეების, ქრისტეფორესა და თევდორეს აშენებულია.





ავტ: შოთა ცინცაძე. იგი ძირითადად იყენებს ქარხნულად დამუშავებულ პიგმენტს და ტემპერას. მის მიერ დანერგილი ხატები დაბრძანებულია ზანდოს და სარკის მონასტრებში; წმ.ნინოს ეკლესიაში (ბარსელონა); ხონში, დედათა მონასტერში; წმ.ნინოს მონასტერში (ნიკორწმინდის ეპარქია) და ა.შ.

ხატი დაიწერა 2011 წელს, რომელზეც გამოსახულნი არიან ვახტანგ გორგასალი და დავით აღმაშენებელი. ორივე მეფეს ხელში ანდერძი უჭირავს. ხატი შესრულებულია პიგმენტებით და ტემპერათი. საღებავი, რომლის შემაკავშირებელ ნივთიერებად იყენებენ წყალში გახსნილ კვერცხის გულს და უმატებენ მცენარეულ ზეთს. ტემპერა ცნობილი იყო ძველ ეგვიპტეში. ფართოდ იყენებდნენ შუა საუკუნეების ფერწერაში.

მენამულ ფერებში და ძვირფასი ქვებით განწყობილ ბისონში, ვახტანგ გორგასლის გვერდით, მარჯვნივ, შარავანდედით გამოსახულია დავით აღმაშენებელი, რომელსაც მარცხენა ხელში ანდერძი უჭირავს. ამ ხატზე იგი დაახლოებით იმ ასაკში გამოიყურება, როცა გარდაიცვალა (56 წელი). ხატი დაბრძანებულია მეწვიდმეტე საუკუნის სარკის წმ.გიორგის სახელობის მონასტერში, რომელიც მდებარეობს შიდა ქართლში, ქარელიდან სამხრეთით, 6 კმ-ში მთაზე.



ავტ: თამარ რიგიშვილი. იგი დაახლოებით 25 წელია, რაც ამ საქმეს ემსახურება. ძირითადად იყენებს ტემპერას და აკრილის საღებავებს.

ხატი დაიწერა 90-იან წლებში. შესრულებულია ტემპერას და აკრილის საღებავებით. ნიმუშად გამოყენებულია გელათის ფრესკაზე (გრაგნილი) გამოსახული დავითი და 1118-1125 წლებში მოჭრილი მეფის სპილენძის მონეტა (კვერთხი), რომელიც ამჟამად ბრიტანეთის მუზეუმში ინახება.



მეფე დავითი კვერთხითა და ანდერძით ხელში, ზურმუხტისფერი ხავერდის სამოსით არის შემოსილი. ორნამენტებად

ძვირფასი ქვეებითა და მარგალიტებით განწყობილი ოქროსფერი კანტები დაჰყვება. აგრეთვე ძვირფასი თვლებით განწყობილი დიადემა ამშვენებს მას.

ხატი ამჟამად დაბრძანებულია ლურჯ მონასტერში, რომელიც მდებარეობს თბილისში, ვერის უბანში, ლეო ქიაჩელის ქუჩაზე, ვერის პარკის გვერდით. ეკლესია წმ.ანდრია პირველწოდებულის სახელობისაა, რომელიც ჯვარგუმბათოვანია და მეთორმეტე საუკუნის ბოლოსაა აგებული.




ავტ: კახაბერ შარგელაშვილი. იგი თბილისის წმინდა სამების საკათედრო ტაძრის სახელოსნოში წლებია მოღვაწეობს. მისი ხატწერა სახასიათოა და იყენებს მკვეთრ, ხასხასა ფერებს.

ხატი დაიწერა 2012 წელს. ფრაგმენტები აღებულია სხვადასხვა წყაროდან. ხატი იწერებოდა დაახლოებით თვე-ნახევრის განმავლობაში. მხოლოდ სახე იქნა ნიმუშად გამოყენებული გელათის ცნობილი ფრეს-


კიდან, დანარჩენი კი საკუთარი ინტერპრეტაციით, კანონიკის დაცვით. როგორც აღვნიშნე, მეფე დავით აღმაშენებლის პერიოდში იგრძნობოდა ბიზანტიის გავლენა, ამიტომ ხატმწერმა გამოიყენა იმდროინდელი აბჯრის ელემენტები. მას ტანთ აცვია ლითონის პერანგი, ასევე – რკინის სამკლავურები. პერანგზე მოცმული აქვს აბრეშუმის მოსასხამი, რომელიც დამაგრებულია ოქროს მრგვალი ლილით, რომელიც არის ძვირფასი ქვეებით მოოჭვილი. მას ძვირფასი ლითონისგან დამზადებული წელზე, ქამარზე მიმაგრებული ძვირფასი ქვეებით განწყობილი ხმალი და მუზარადი მის ბრძოლისუნარიანობაზე მიგვანიშნებს. დავითს სამოსზე ჯვარი აქვს ამოტვიფრული, ხოლო თავზე ძვირფასი თვლებით განწყობილი სამეფო გვირგვინი ახურავს, ასევე გამოსახული აქვს შარავანდედი. დღესდღეობით ეს ხატი დაბრძანებულია თბილისში, კოზმა და დამიანეს სახელობის ტაძარში.

2009 წელს ფოკის მონასტრის სახელოსნოში რამდენიმე მონაზონს მოაფიქრდა წმინდა სამების ხატის შექმნა და ეს აზრი კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს გაუზიარეს. პატრიარქმა მათ შესთავაზა წმინდა სამებასთან ერთად, ხატზე ღვთისმშობელი, სვეტიცხოველი და ქართველი წმინდანები გამოესახათ. იმავე წლის სექტემბერში უკვე მზად იყო „იმედის“ ხატის სრულყოფილი ესკიზი. ხატის მოჭედვას დასჭირდა 50 კგ. ოქრო. „საქართველოს იმედის“ ხატზე 270-მდე წმინდანია გამოსახული. მათ შორის სწორედ წმიდა კეთილმსახური დავით მეოთხე, მეფე ყოვლისა საქართველოსა, აღმაშენებლად წოდებული.

ხატი მოჭედილია 900-იანი სინჯის ოქროთი. ჭედურობაზე მუშაობდა დეკანოზი იაკობ აბაშიძე რამდენიმე მჭედელთან ერთად. ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ არქიმანდრიტი ილია (ნასიძე) და არქიმანდრიტი სერაფიმე (ჭეღია).



ავტ: ია ნარიმანიძე.  
 დავით აღმაშენებელი – ანდერძითა და გელათის მაკეტით ხელში. გელათის ფრესკის მიხედვით შესრულებული ხატწერა. ზურმუხტით, ლალის თვლებითა და მარგალიტებით მოჭედილი გვირგვინი ოქროს სასაფეთქლებით. სამეფო სამოსი ატლასითა და ბარხატით. ამ ხატზე მისი გამოსახულება განსხვავებულია იმიტაც, რომ მეფე დავითი თითქოს რაღაცას აკვირდება და მისი ხედვა მარჯვნივაა მიმართული.



ავტ: ირაკლი ოჩიაური. მან მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის რჩევით 1951 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტი. ნამუშევარი აქვს სახვითი ხელოვნების თითქმის ყველა დარგში: ფერწერასა და გრაფიკაში, პორტრეტსა და ქანდაკებაში, მონუმენტსა და დეკორატიულ ხელოვნებაში, დაზგურ გრაფიკასა და ლითონმქანდაკეობაში. ეს ნახატი არის გრაფიკული ნამუშევარი. მეფე დავითი სამეფო გვირგვინით. ამ სურათზე მისი მტკიცე ხასიათის ნაკითხვა შეიძლება.



ავტ: თეიმურაზ ხარაბაძე: „ფერწერა ფერთა შეხამებას და ფერთა სასიამოვნო თამაშს ნიშნავს, ანუ თბილი და ცივი ფერების ურთიერთდამოკიდებულებას“. მისი ნამუშევრები სწორედ ამ პრინციპით არის შესრულებული.

ამ სურათებზე ავტორს მეფეთ-მეფის ორი სხვადასხვა სახე და ხასიათი აქვს ნაჩვენები. პირველში მისი მტკიცე და ამაყი ბუნება ჩანს. მეწამული და ნარინჯისფერი სამეფო მოსასხამი, აგრეთვე დიადემა, რომლის უკანაც შარავანდედს შენიშნავთ, ძვირფასი თვლებით არის განწყობილი. ხმალი კი მის ბრძოლისუნარიანობაზე მიგვანიშნებს.

რაც შეეხება მეორე სურათს, დავით აღმაშენებელი თითქოს დამწუხრებული თვალებით იმზირება. მას ჭაღარა აქვს შერეული და ასაკით ალბათ 45-50 წლისა

გამოიყურება. თავზე გვირგვინი ადგას. ზურმუხტი, ლალი და მარგალიტით განწყობილი. პირველი სურათისგან განსხვავებით მის უკან მხოლოდ მწვანე ფონია და შარავანდედი არ მოჩანს.



ავტ: ბორის ჯიმშირაული.

დავით აღმაშენებლის პორტრეტი. მას შიდა სამოსელი ნარინჯისფერი აცვია. მარგალიტებით, საფირონითა და ქარვით განწყობილი. მოსასხამი კი მენამული ბარხატი, რომელიც ოქროს მრგვალი ლილით არის დამაგრებული. სამეფო გვირგვინი ზურმუხტითა და მარგალიტითაა მორთული ოქროს სასაფეთქლებით.



ავტ: გურამ მღებრიშვილი.

მეფე დავით IV აღმაშენებელი შარავანდედით ზეცის ფონზე გამოსახული. სამხედრო ფორმაში, რკინის სამკლაურებით, ძვირფასი ქვებით განწყობილი აბჯრით და მუზარადით ცხენზეა ამხედრებული. ამ სურათშიც მას ანდერძი უჭირავს ხელში.



ავტ: ლევან ჭოლოშვილი – ქართველი მხატვარი, ძველი ქრისტიანული მხატვრობის დაცვის თავმჯდომარე. მან თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი დაამთავრა 1976 წელს. მის მხატვრობის თემას უმთავრესად პორტრეტი შეადგენს. ლევან ჭოლოშვილის შემოქმედებაში გვხვდება ქართველი არისტოკრატების ჯგუფური პორტრეტები, რელიგიური თემატიკა, საქართველოს ისტორიის ამსახველი სურათები, ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟთა სახეები. მათ შორისაა საქართველოს მეფეების პორტრეტების სერიები.

1998 წელს ლევან ჭოლოშვილმა შექმნა ქართველ მეფეთა სახეები. ესენია მითრიდატე დიდის, ვახტანგ გორგასლის, ბაგრატ III-ის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და გიორგი ბრწყინვალეს პორტრეტები. ეს გახლავთ ზეთის საღებავებით შესრულებული მონუმენტური პორტრეტები.

თითქმის ყველა სურათსა თუ ხატში დავით აღმაშენებელს ანდერძი უჭირავს ხელში, ეს კი მნიშვნელოვანი დოკუმენტია და ამიტომ მივიჩნით, რომ აუცილებლად უნდა დაგვერთო ამონარიდი მისი ანდერძიდან: „...ასე განსაჯა ღმრთის მართლმსა-

ჯულებამ და მომიხმო მე და მისცა მას (დემეტრეს) მეფობა და ჩემი და თქუენი ღვანლით ახლად შექენილი მამული ნიკოფსიიდან და-რუბანდამდის ზღვამდე და ოვსეთიდან სო-ერამდე და არაგანამდე. და მივანდე (დემეტრეს) შვილები და დედოფალიცა... რათა თავისი ძმა გაზარდოს და თავის დებს, ჩემს შვილებს, სათანადო პატივი მიაგოს. ყოვე-ლივე ამას წინ წარუმიძღვანე წმინდა ძელი

ცხოვრებისა და მივეცი ჩემი დროშა სვიანი, ჩემი სამეფო აბჯარი და საჭურჭლე (განძი) ჩემი, ზემონი და ქვემონი... (იგულისხმება „ქვემო“ დასავლეთ საქართველო – „ზემო“ კი დანარჩენი საქართველო).

**ლია თედლიაშვილი**

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მედიის სკოლის სტუდენტი



**ნიკოლოზ ჟღანტი**

**მეფე დავით IV-ის (1089-1125 წწ.) „აღმაშენებლად“ მოხსენიების პირველი ოფიციალური პრეცედენტები**

დავით აღმაშენებელს, მისი საოცრად წარმატებული მოღვაწეობის გამო, მრავალი დიდებული ეპითეტით ამკობდნენ როგორც თანამედროვენი, ისე სხვა დროის ქართველები.

დავითის თანამედროვე მემატიანე, რომელიც ისტორიოგრაფიაში „დავითის ისტორიკოსადაა“ ცნობილი, მეფეს „ყოვლად ბრძენი მეფის“, „ძლიერის“ და „დიდის“ ეპითეტებით ამკობს. მისივე თანამედროვე არსენი ბერი მას უწოდებს „ბრძენს“, „მზეს“, „ბრწყინვალეს“. მოგვიანებით, „თამარის ისტორიკოსი“ და ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე (XIII ს.) მას „დიდ დავით“-ს უწოდებენ. XIV ს-ის მემატიანე „ყამთააღმწერელი“ დავითს მოიხსენიებს როგორც „დიდი და სახელოვანი“, ხელმწიფეებს შორის „უმეტეს განთქმული მეფე დავითი“.

თვით პირად მემატიანესთანაც, მეფე დავითი „აღმაშენებლად“ მხოლოდ ერთხელ იწოდება, თუმცა, ამ შემთხვევაშიც ეს მოვლენა მოგვიანო პერიოდისა უნდა იყოს. მომყავს ციტატა, რომელიც ქართლის ცხოვრების შემორჩენილი ნუსხებიდან მხოლოდ ე. წ. „ჯანაშვილისეულ“ (D) ნუსხაში გვხვდება:

„და დაიპყრნა არფასლანიანნი და ამოსწყდნა იგინი, რომელთა დიდი საყდარი ანისისა მისგითად მოეკაზმათ და ქრისტიანეთა სისხლითა იგი საყდარი და ქალაქი მოერწყო. იმუქჟა ღმრთის-მოყუარემან დავით აღმაშენებელმან მოლათა და დარიშმანთა სისხლითა ახლადვე მან მორწყო და საყდარი იგი ახლად მონათლა, რომელი აღეშენა ბერძენთა ასულსა დედუფალსა კატრონიტეს და იქი-ვე ესაფლავა. მაშინ მივიდა თვთ მეფე დავით და კათალიკოზი, ეპისკოპოზნი და ერთობილი ლაშქარი საფლავსა ზედა, და ახლად წესი აღუგეს.“ (ყაუხჩიშვილი 1955: 345).

ამგვარად, ანისის ალების თხრობისას დავითი მოხსენიებულია „აღმაშენებლად“, თუმცა, დადგენილია, რომ ჯანაშვილისეული ნუსხა ე.წ. სწავლულ კაცთა კომისიის რედაქციის გავლენას განიცდის (ყაუხჩიშვილი 1955: 18-19). ამას გარდა, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მოტანილი ციტატა მხოლოდ ზემოხსენებულ, გვიან ნუსხაში გვხვდება და ვერ მივიჩნევთ დავითის ისტორიკოსის თანადროულ, დედნისეულ ტექსტად.

ამგვარად, „აღმაშენებლად“ დავით მეფეს არ იხსენიებენ აღნიშნული XII-XIV სს-ის საისტორიო თხზულებები, დოკუმენტური და სხვა წყაროები (გოგოლაძე 1989: 43).

წინამდებარე ნაშრომში, ხუთ საისტორიო წყაროზე დაყრდნობით, მსურს წარმოვაჩინო მეფე დავითის ეპითეტის — „აღმაშენებლის“ (რომელიც მის უმთავრესს ზედწოდებად დამკვიდრდა) შემოღების პირველი დოკუმენტურად დაფიქსირებული ოფიციალური შემთხვევები.

ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია აზრი, რომ დავით IV „აღმაშენებლად“ პირველად იწოდება XV ს-ში, კერძოდ, ბაგრატ მეფეთ მეფის გაცემულ ავჟანდაძეთა 1452 წ-ის სასისხლო სიგელში (გოგოლაძე 1989: 44), რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება – შიფრით Sd-521. ამ საბუთს ქვემოთ განვიხილავ, თავდაპირველად კი მიზანშეწონილად მიმაჩნია ყურადღება ერთ, უფრო ძველ საისტორიო წყაროზე გავამახვილო, კერძოდ, გერგეტის ეკლესიის სულთა მატთანზე.

**გერგეტის სამების „მატიანე მოსახსენებელი სულთა“**

გერგეტის სამების „მატიანე მოსახსენებელი სულთა“ ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა მრავალი თვალსაზრისით.

ამ შემთხვევაში კი, ყურადღება მინდა

გავამახვილო ამ ძეგლის უძველეს ნაწილზე, საქართველოს მეფეთა მოსახსენებლების ძველ ფენაზე, რომელიც იწყება მირიან მეფის მოსახსენებლით და მთავრდება დავით აღმაშენებლის მოსახსენებლით. მომყავს ჩვენთვის საინტერესო ნაწილი ამ მოსახსენებლიდან:

**„სული დიდისა დავით აღმაშენებლისა პურთხულ იყავნ უკუნისამდე.“ (შარაშიძე 1954: 264)**

წყაროს გამომცემელმა ქრ. შარაშიძემ მატიანის ტექსტის ეს უძველესი ნაწილი, სადაც მეფე დავითი უკვე „აღმაშენებლად“ იწოდება, პალეოგრაფიულად XV ს-ის პირველი ათწლეულით დაათარიღა (შარაშიძე 1954: 219, 228-229). ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ უკვე XV ს-ის პირველი ათწლეულისთვის დავით IV „აღმაშენებლად“ იწოდება. ასევე, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამ წყაროს სახით ჩვენ საქმე გვქონდეს დავით მეფის ამ ზედწოდებით მოხსენიების პირველ პრეცედენტთან, თუმცა, ჩვენს წინაშეა კიდევ ერთი, გერგეტის სულთა მატიანის მსგავსი ტიპის და თანადროული წყარო, სადაც ანალოგიურ სურათს ვხედავთ.

**სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე**

ამ საისტორიო ძეგლის ტექსტის დასაწყისში მოთავსებულია მეფეთა მოსახსენებლები, სადაც მეფე მირიანისა და ვახტანგ გორგასლის შემდეგ გვხვდება მეფე დავითის მოსახსენებელი. მომყავს ტექსტი:

„ს(უ)ლსა მეფისა დავით აღმაშენებ(ე)ლ|ისასა შ(ეუ)ნდოს ღ(მერთმ)ნ.“ (კლდიაშვილი 2008: 162).

წყაროს გამომცემელი დ. კლდიაშვილი ძეგლის ჩვენთვის საინტერესო ნაწილს XV ს-ის პირველ ათწლეულში შედგენილად მიიჩნევს. (კლდიაშვილი 2008: 61).

როგორც ვხედავთ, აქაც მეფე დავითი XV ს-ის დასაწყისში უკვე „აღმაშენებლად“

დაა“ მოხსენიებული. ამ საკითხის შესახებ დ. კლდიაშვილი შენიშნავს შემდეგს:

„აღმაშენებელი ამ შემთხვევაში უნდა გულისხმობდეს მაშენებელს. სწორედ ასევე იწოდება ჯვრის მონასტრის მაშენებელი და მისი პირველი წინამძღვარი პროხორე სინას სულთა მატიანის მოსახსენებელში (პროხორე ჯუარისა აღმაშენებლისა საუკუნო იყავნ ჳსენება მისი – Sin. Georg. 77, 197r). აღმაშენებელი დავითის მიმართ მოსახსენებელში ასევე მაშენებლის მნიშვნელობით უნდა იხმარებოდეს.“ (კლდიაშვილი 2008: 57)

აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე წყაროში ჳანცთის „აღმაშენებლად“ იწოდება გრიგოლ ხანცთელიც (კლდიაშვილი 2008: 179).

მე არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პროხორესა და გრიგოლის მოსახსენებელში, დავით მეფის მოსახსენებლისგან განსხვავებით, დაკონკრეტებულია, თუ რისი აღმაშენებელია მოხსენიებული პიროვნება. მიუხედავად იმისა, რომ სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა წმ. გიორგის ეკლესიის აშენება სწორედ მეფე დავითს უკავშირდება, მის მოსახსენებელში ეს მომენტი არაა დაკონკრეტებული, რაც უნდა მიგვითითებდეს იმაზე, რომ დავითი და ეს ორი ისტორიული პირი ერთი მეტსახელით, მაგრამ განსხვავებულ კონტექსტში არიან მოხსენიებულნი.

ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ზემო მოყვანილ გერგეტის სულთა მატიანეში დავითის „აღმაშენებლად“ მოხსენიება ხდება იგივე პერიოდში და იმ მონასტერთან დაკავშირებით, რომლის აგებასთანაც დავით მეფეს არანაირი კავშირი არ ჰქონია.

გამომაქვს დასკვნა, რომ გერგეტისა და სინას მთის სულთა მატიანეებში დავით მეფის მოსახსენებლის შექმნისას, ანუ XV ს-ის პირველი ათწლეულისთვის, „აღმაშენებელი“ უკვე დამკვიდრებული იყო დავითის მთავარ ზედწოდებად, ხოლო მსგავსი სახით სხვა პირების მოხსენიება, რასთანაც საქმე გვაქვს სინას მთის სულთა მატიანეში, ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

**აჟანდაქთა სასისხლო სიგელი**

რაც შეეხება აჟანდაქთა სასისხლო სიგელს. ეს საბუთი პირველად მ. ბროსემ გამოსცა ფრანგულად 1858 წ-ს (Brosset 1858: XCIII), ქართული ტექსტი კი ჯერ თ. ჟორდანიამ 1897 წ-ს (ჟორდანი 1897: 264-266), ხოლო შემდეგ ექ. თაყაიშვილმა 1909 წ-ს (თაყაიშვილი 1909: 41-44).

მომყავს Sd-521 სიგელის ტექსტის შემოკლებული, ჩვენთვის საინტერესო ნაწილი:

„მეფემან ღმრთივ გვირ|გვირგვინოსან| მან, ღმრთივ აღმაღლებ|ულმან|, ღმრთივ დამყარებულმან, ძლი|ერმან|(ან ძლევით) უძლეველმან, იესიან-დავითიან|[წ]-ბაგრატიონ-სოლომონიონ, რანთა, | [ა] ფხაზთა, სომეხთა მეფეთა, შანშე და შარვანშე|ანშე, ამე ორის ტახტის და სამეფოსა, აღ|[მოს]ავლეთისა ვიდრე დასავლეთამდის, თუით მტ|[კიც]ედ ფლობით მპყრობელისა, ქრისტეს ღმრთ|[ისა] მიერ სულკურთხეულისა მეფეთ-მეფისა დემეტრესი ძემან პატრონმან აღმაშენებელმან || კოსტანტინე და დედათა-დედამან ჩემან პატრონ|მან გულამარ, ესე მტკიცე უქცეველი | ... ფლებელი (სიც), დრო დაუდებელი და მიზეზ|შემ|ლილი და სულისა წმიდისა ჩუენ ღმრთივ გუი|[რგუ]ინოსანმან ძ<ე>ლიერმან და უძლეველმან, მეფე|თ-მეფემან ბაგრატი, ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქ|[არ]თველთა, კახთა და სომეხთა მეფისა, იესიან-დავითიან-|სიზრ]ძნითა სოლომონიან, შანშე და შარვანშე, ყო|[ვ]ლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა და ჩრდილ|ოეთისა სააელმნიფოსა მპყრობელმან, კულად[ვე] | მისი სული კურთხეულისა მეფეთა-მეფისა ბაგრატიან | და დედოფალთა-დედოფლისამან ელენე, მოსდეგი | ჩუენისა კარზედან თქვენ ჩუენი ერთგული | და ერთგულად მოსამსახურე ჩუენი მკვიდრი. |

ოდეს დარუბანდით გამოვიდა აჟანდაქის გუარის კაცი დიდად ნამსახური ნეფისა (სიც), როდეს აღმაშენებელი გელათს აშენებდა და გალავნიდალმა გარდ|მოვარდა, სამას და ხუთი აქიმი

მოასხეს და ვერა უშ|ველეს. მაშინლა სხუა ერთი აქიმი მოვიდა ყოველთასა უკანის ბოლოსა, მანასრე თქუა: თუ არა | ირმის რძე-შიგან დავანუენთო, არა ეშველებს რ|აო. ქნეს მოკითხული, შელონდეს. წამოდგა კაცი, ესრეთ |[თ]ქუა: აჟანდაქსა უთქსო თორმეტი ფური ირმი (sic) | მენწე-ლიო, სხუა ქუეყანასა ზედან არ იშოებოდა. მოილო აჟანდაქმან, იპრიანა ღმერთმან, და||რჩა აღმაშენებელი.

შეგინყალენით აჟანდაქენი არჯევან სკანდას დაღმა და გოგს დაღმა, სადა ძევრისა წყალი შერთვის ყვირილასა ფისისანს და ჩხარა|ს, მას დაღმა სატყისმცველო წყალობად მიგვიცე|მია აჟანდაქისათვის. მას უკანა დაგვეაჯენით რათამ|ცა თქვენი ძუველი სიგელი გაგიახლეთ. შეგი|წყალეთ და გიბოძეთ ახალი სიგელი სასისხლო | თქვენ და მომავალთა ყოველთავე, ჩუენ მეფეთ-მეფე|მან ბაგრატი და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთა-დედოფალმან ელენე შეგინყალეთ დაგიბოძეთ | მტკიცე და უცვალებელი სასისხლო სიგელი, მოკითხული ვქენით და ძველიცა გაჩენილი იყო ლიონ მეფისა|გან, აწ ჩვენც გაგიახლეთ და დაგიმკუიდრეთ... დაინერა სიგელი ესე ქრონიკო|ნსა ასორმოცსა და ინდიქტიონსა მეფობასა | ჩვენისასა მეათესა, ჴელითა დაინერა მთავარ|ეფისკოპოზისა დავითისთა“.

ჩვენთვის აქტუალური საკითხის დასადგენად უნდა განისაზღვროს აჟანდაქთა სიგელის სტატუსი (ოფიციალურია თუ ნაყალბევი) და მისი გაცემის თარიღი.

მ. ბროსეს მიაჩნდა, რომ ამ სიგელში ცდომილება იყო ქრონოლოგიაში (Brosset 1858: XCIII).

თ. ჟორდანიასაც სიგელი ყალბად მიაჩნდა: „1) 1452 წელს მეფედ არ იჯდა ბაგრატი და მით უმეტეს მისაღები არ არის, ვითომ 1452 წელი იყოს მეათე წელი ბაგრატი II-ის მეფობისა; 2) დემეტრეს ძე კოსტანტინე მეფე არ ყოფილა; 3) თვთ სათაურში არეულია ცნობები და ზოგან უაზრო; უკანასკნელი შინაარსი გუჯრისა ზღაპრულია: დავით აღმაშენებლის გელათის გალავნიდამ გადმოვარდნა და მისი მორჩენა ირმის რძეში ბა-

ნებით და სხვ.“ (ჟორდანიას 1897: 264-265).

ექ. თაყაიშვილი ავჟანდაძეთა სიგელს ყალბად არ თვლის იმის გამო, რომ მას, მ. ბროსესა და თ. ჟორდანიასგან განსხვავებით, კარგ ტყავზე დაწერილი XV ს-ის ხელით შესრულებული საბუთის დედანი ჰქონდა ხელთ. თუმცა, ექ. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ სიგელის თარიღი (1452 წ.) არაა სწორი. მისი აზრით, საბუთი უნდა იყოს 1475 წ-ის, რადგან საბუთის ბოლოს აღნიშნულია, რომ 1452 წ. იყო ბაგრატის მეფობის მეათე ინდიქტიონი, ხოლო ბაგრატი 1465 წ-ს გამეფებულაო. ტექსტის არარეალურობა კი სიყალბის ნიშნად არ მიაჩნია (თაყაიშვილი 1909: 41-42).

ს. კაკაბაძის აზრით:

„სიგელი არ უნდა იყოს თვით დედანი, არამედ მე-16 საუკუნეში შესრულებული პირი. სიგელი, როგორც სჩანს, თავდაპირველად მიცემული ყოფილა მეფის კოსტანტინე დიმიტრის ძის და მისი დედის გულაშარის მიერ, შემდეგ განმეორებული ან დამტკიცებული მეფის ბაგრატის გიორგის ძის მიერ. მე-16 საუკუნეში სიგელის პირის შესრულებისას ამ გარემოებამ ჰპოვა სიგელის შესავალში თავისებური, ზემოთ ნაჩვენები გამობატულება. საყურადღებოა, რომ სიგელში თვით ბაგრატიც სულკურთხეულად არის ნახსენები („კუალადვე მისი სულკურთხეულისა მეფეთა მეფისა ბაგრატისა დედოფალთა დედოფლისამან ელენე, მოსდეგი ჩუენსა კარზედან“...) ეს გარემოება უნდა ადასტურებდეს ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ სიგელი არ არის თვით ასლი, არამედ შემდეგ შესრულებული პირი...

ავჟანდაძეთა სიგელი არის უაღრესად საყურადღებო. სიგელში მოხსენებულია, რომ „მოკითხული ვქენით (ავჟანდაძეთ სისხლი) და ძველიცა გაჩენილი იყო ლიონ მეფისაგან, ან ჩუენცა გაგიახლეთ“-ო. აქ მაშასადამე ჩვენ გვაქვს დადასტურება სასისხლო სიგელის მიცემისა ლეონ მეფის დროს (საფიქრებელია ლეონ აფხაზთა მეფე 957-967 წ.) რაც წარმოადგენს უძველესს ჯერჯერობით ცნობილ ფაქტს საქართველოში სასისხლო სიგელის გაცემის შესახებ.

ამას გარდა, სიგელი შეიცავს საყურადღებო გადმოცემას დავით აღმაშენებლის გელათის გალავნიდან გადმოვარდნის შესახებ. დავით აღმაშენებლის დროს, როგორც სჩანს, ავჟანდაძეს ებოძა სატყის მცველო სკანდას დაღმა და გოგს დაღმა, ფისისანს და ჩხარას.“ (კაკაბაძე 1924: 63-64).

ივ. ჯავახიშვილი არ იზიარებდა ექ. თაყაიშვილის და ს. კაკაბაძის აზრს და ავჟანდაძეთა სასისხლო სიგელს, ტექსტის „ზღაპრულობის“ და სხვა მიზეზების გამო, ნაყალბევად აცხადებდა. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ერთ-ერთი მიზეზი:

„ფრიად დამახასიათებელია აგრეთვე, რომ გელათის აღმაშენებელი, რომელიც გალავნიდანაც კი გადავარდნილა და მძიმედ დაშავებულა, სიგლის თხრობაში უსახელოდ იხსენიება და მხოლოდ „აღმაშენებლად“ იწოდება. მართალია, გელათის აღმაშენებლის სახელი ყველამ იცოდა და იცის, მაგრამ მეფეთა სიგელში წარმოუდგენელია დავით აღმაშენებელი ასე უდიერად მოეხსენებოს ვისმე და ძმაბიჭურად აღმაშენებლად ეწოდებინოთ. უეჭველია, შემთხვევითი გარემოება არ უნდა იყოს, რომ გელათის გალავნიდან გადმოვარდნილი მისი აღმაშენებელი უსახელოდ იხსენიება: ეს ამ სიგლის შემთხვევის ოსტატობით აიხსნება, რომ მკითხველს, რომელსაც ისტორიაში დავით აღმაშენებლის შესახებ არაფერი ამის მსგავსი ამოკითხული არ ჰქონდა, მონათხრობის სიმართლის ეჭვი არ აღძვროდა.“ (ჯავახიშვილი 1996: 512-514).

ზ. ჭუმბურიძე ამ საბუთის ტექსტის განხილვისას ყურადღებას ამახვილებს ერთ კონკრეტულ ლექსიკურ ერთეულზე, ვულგარიზმზე, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, რის მიხედვითაც ივ. ჯავახიშვილი ამ საბუთს ყალბად მიიჩნევდა (ჯავახიშვილი 1996: 514). გარკვეული მსჯელობის და ანალიზის შემდეგ, ზ. ჭუმბურიძე მხოლოდ აფიქსირებს მის აზრს, რომ ამ ვულგარიზმზე დაყრდნობით შეუძლებელია დადგინდეს საბუთის ნამდვილობა-ნაყალბევობის საკითხი (ჭუმბურიძე 2006: 365-372).

ზემოდასახელებულ მეცნიერთა ნაწილის მსგავსად, ავჟანდაძეთა საბუთს მეცნაყალბევად მივიჩნევ.

აღსანიშნავია, რომ სასისხლო სიგელები გვიანდელი მოვლენაა და მჭიდროდ უკავშირდება ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის პროცესთან დაკავშირებულ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს. ფეოდალთათვის საჭირო გახდა დამატებითი ოფიციალური იმუნიტეტის შექმნა, რაც მოხერხდა სასისხლო სიგელების შემოღებით. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ხშირი ადგილი ექნებოდა ყალბი სასისხლო სიგელების შექმნას.

ჩემი აზრით, ავჟანდაძეების სასისხლო სიგელის ნაყალბევა კიდევ რამდენიმე მიზეზით მტკიცდება.

ჯერ უნდა აღინიშნოს, რომ საბუთის ტექსტის მიხედვით, ავჟანდაძეებს ლეონ მეფის დროინდელი სასისხლო სიგელიც ჰქონდათ. ეს ამკარა სიცრუეა, რადგან როგორც ზემოთაც აღვნიშნე, სასისხლო სიგელები გვიანი პერიოდის მოვლენაა და მათი გაჩენის თარიღი XIV ს-ის შუა ხანებზე ადრე ვერ გადაინევის.

ტექსტის მიხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ საბუთს გასცემს მეფე ბაგრატი მეფე კონსტანტინე, დემეტრეს ძესთან, ერთად. თუმცა, როგორც თ. ჟორდანიაც სამართლიანად შენიშნავს, 1452 წ-ს ბაგრატი ჯერ მეფე არ ყოფილა. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა ბაგრატის გაცემული 1466 წ-ის სიგელის ბოლო ნაწილი, სადაც ვკითხულობთ: „დაინერა... ინდიქტიონსა მეფობისა ჩუუნისასა :იბ: ქკკს :რნდ: ჴელითა ფრიად ცოდვილისა მახარობლისათა...“ (ჟორდანი 1897: 288). გამოდის, რომ 1466 წ-ს, ბაგრატი, ანგარიშობდა მისი გამეფებიდან მე-12 (იბ) წელს, მაშასადამე იმერეთში იგი უნდა გამეფებულიყო, სავარაუდოდ, 1455/56 წ-თვის.

რაც შეეხება კონსტანტინეს, არაა გამოსარიცხი, რომ იგი 1452 წ-ს, მამის გარდაცვალების შემდეგ, უკვე მეფე ყოფილიყო, რადგან მისი მამა დემეტრეც მეფის ტიტულს ატარებდა. ამგვარი მოვლენა, როცა ფორმალურად ჯერ კიდევ ერთიან

სამეფოში იყვნენ ერთი მთავარი მეფე და დანარჩენი „პროვინციის მეფეები“, განსაკუთრებით გამოვლინდა სწორედ XV საუკუნეში (ნინიძე 1995).

მეფე ბაგრატი და მეფე კონსტანტინე მუდმივად ებრძოდნენ ერთმანეთს, თუმცა, იყო მცირე პერიოდი, როდესაც ისინი დაზავებულნი იყვნენ. ერთადერთ ცნობას ამ კავშირის შესახებ ვხვდებით 1468 წ-ის ერთ საბუთში, რომელსაც გასცემს მეფე ბაგრატი და კონსტანტინეს იხსენიებს ძმად და პატრონად: „...ჩვენ ორისავე ტახტისა და სახელნიფოსა ლიხთ იმერისა და ლიხთ ამერისა ღვთივ გვირგვინოსან-მან, მეფეთ მეფემან ბაგრატ და ძმამან ჩვენმან პატრონმან კოსტანტინე...“ (თაყაიშვილი 1909: 40-41). როგორც ზემოთაც ვნახეთ, ავჟანდაძეთა სასისხლო სიგელშიც კონსტანტინე პატრონად იხსენიება (იხ. ზემოთ).

ისმის კითხვა: რადგან 1452 წ-ს ბაგრატი მეფე არ ყოფილა და კონსტანტინე მხოლოდ ვარაუდის დონეზე შესაძლოა ყოფილიყო მეფის ტიტულით, ხოლო მათი მშვიდობიანი კავშირი დაფიქსირებულია მხოლოდ 1468 წ-ს და ავჟანდაძეთა საბუთში, ხომ არ მიუთითებს ეს ფაქტები იმაზე, რომ ავჟანდაძეთა სასისხლო სიგელიც 1468 წ-ის ახლო ხანებშია გაცემული? ჩემი აზრით, სავსებით შესაძლებელია, თუმცა, იმის გამო, რომ საბუთის ტექსტი სანდოდ არ მიმაჩნია, საბუთის თუნდაც მიახლოებითი თარიღის დადგენას ვერ ვახერხებ.

ამგვარად, ჩემი აზრით, ავჟანდაძეების სიგელი არაა გაცემული მეფის მიერ და ნამდვილად ნაყალბევაა, ანუ მისი სტატუსი არაა ოფიციალური. საბუთის თარიღის დადგენა შეუძლებელია, თუმცა, 1452 წ-ზე გვიანდელი უნდა იყოს.

ყოველივე ამის გამო, დავით IV-ის „აღმაშენებლად“ მოხსენიების პირველი ოფიციალური შემთხვევა არ უნდა დაუფიქსიროთ ავჟანდაძეთა სასისხლო სიგელს, როგორც ეს მიღებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.

**შიომღვიმის საბუთი გიორგი მეფისა**

1896 წ-ს თ. ჟორდანიამ გამოსცა მეფე გიორგი VIII-ის მიერ შიომღვიმის მონასტრისადმი გაცემული ერთი საბუთი, სადაც ვკითხულობთ:

„ქ. ჩუენ ორისავე ტახტისა და სახელმწიფოსა თვთ-მფლობით ჴელმწიფედ მტკიცედ მპყრობელმან... მეფეთა მეფემან გიორგი და მეუღლემან ჩჩნმან პატრონმან დედოფალმან ნესტან დარეჯან ესე... სიგელი... გკარდრე... შიოს უდაბნოს მღუიმისა... მას ჟამსა, ოდეს კარზედა მოგუიდეგით და ძუელნი გუჯარნი და განაჩენნი მის სულკურთხეულისა აღმაშენებლისა დავითისი და ჟამთა უკანასკნელობისა და შლილობისაგან დიადი წესი და საქმე შეცულოდა და სულკურთხეულსა პატრონსა მამასა ჩემსა მეფეს ალექსანდრეს ჴელ ეყო და... [სათა]თრო – - ულუფა სჭირვებოდა, იგი ამო[ეკუეთა]. ან მისად შედეგად ჩუ[ენ ვი]გულისმოდგინეთ მცირითა ამით სამსახურითა მსახურებად წნდისა და ღლთშემოსილისა [მამასა]- – შიოსი და შემოვსწირეთ და და მოვახსენეთ ქუეყანასა სხალტბასა რაც დიდი სათათრო [სდ]ებოდა და პირველთა მეფეთაგან გაჩენილი და შეგდებული, იგი სრულიად ამოუკუეთეთ და [დავწ]ერეთ: ასრე რომე დიდი სათათრო ულუფა არაოდეს და არას ჟამშიგა არა ეთხოვებოდეს. უკეთუ საქართველო განგებითა ღთისათა ამოდ და დაწყობით იყოს, მაშინ არ ეთხოვებოდეს და, თუ რადმე ასეთი რამ იქმნას ცოდვათა სიმჭრელისაგან, რომე მიჭირვებით იყოს არ – - – ეთხოვებოდეს. ამა პირსა ზედან შემოგუინირავს და მოგვისსენებია, რომ – - სულკურთხეულისა პატრონისა მამისა ჩუენისა ალექსანდრესთვს კარგალებულსა [ალაპსა] – - – შეგვიკვეთია დღესასწაულსა და დღეობასა წწა და ღლთ შემოსილისა მამისა [შიოსსა მა]ისისა ცხრასა. იგი თქუენგანცა ასრე გაუთავდეს და არაოდეს მოგეშალოს.

ქ. ქ. ქ. მე გგგი ვამტკიცებ“ (ჟორდანი 1896: 72-73)

სამწუხაროდ, თვითონ საბუთი ამჟამად დაკარგულია, მისი ტექსტი კი მხოლოდ თ. ჟორდანიას ამ პუბლიკაციით შემოგვრჩა. საბუთის სინამდვილეში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს რამდენიმე მიზეზის გამო.

თვითონ საბუთის ტექსტი და შინაარსი დადგენილ ნორმებს არ ცდება (განსხვავებით ავჟანდაძეთა სიგელისა). საბუთში ნათქვამია, რომ დავით აღმაშენებლის გაცემული შიომღვიმის მონასტრის „ძუელნი გუჯარნი და განაჩენნი... ჟამთა უკანასკნელობისა და შლილობისაგან დიადი წესი და საქმე შეცულოდა“. დავით აღმაშენებლის განსაკუთრებული დამოკიდებულება შიომღვიმის მონასტრისადმი ისტორიული ფაქტია. ასევე ფაქტია, რომ სხალტბა იყო ამ მონასტრის ერთ-ერთი მამული. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ საბუთი დაკარგულია და ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, უშუალოდ მისი შესწავლით გამოვიტანოთ დასკვნები, საბუთის ნამდვილობაში ეჭვი არ უნდა იყოს შესატანი.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის დასადგენად უნდა დადგინდეს ამ საბუთის თარიღი.

თ. ჟორდანიას სიგელს 1445-1469 წწ-ით, ანუ გიორგის გამეფებით და მისი გარდაცვალებით ათარიღებდა, თუმცა, შემდგომმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ორივე თარიღი არასწორია. მეფე გიორგი გამეფდა 1446 წ-ს, გარდაიცვალა კი – 1476 წ-ს (მეფეები 2007: 169-170).

როგორც ვხედავთ, საბუთში მეფესთან ერთად იხსენიება დედოფალი ნესტან-დარეჯანი, რაც შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ საბუთის გაცემის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი. ნესტან-დარეჯანი იყო გიორგი VIII-ის მეორე თანამეცხედრე, რომელიც მეფე გიორგის 1453 წ-ის შემდეგ უნდა შეერთო. ამგვარად, საბუთის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი უნდა იყოს არა 1446 წ., არამედ 1453 წ.

ასევე შესაძლებელია ამ საბუთის ზედა ქრონოლოგიური ზღვრის უფრო დაზუსტება.

საბუთიდან ირკვევა, რომ მისი გაცემის მომენტში მეფე გიორგის ხელი მიუწვდებოდა სხალტბაზე. როგორც ისტორიოგ-

რაფიაში ცნობილია, 1465 წ-ს ფარავნის ტბასთან დაბანაკებული მეფე გიორგი და-ატყვევა სამცხის ათაბაგმა ყვარყვარემ, რის შემდეგაც მეფე გიორგის, რეალურად, ქართლის ტერიტორიაზე ხელი აღარ მი-უნვდებოდა. ამგვარად, ზემომოყვანილი სიგელი ვერ იქნება გაცემული 1465 წ-ის შემდეგ, რადგან, როგორც ზემოთაც აღვ-ნიშნე, სიგელის მიხედვით მეფეს ხელი მი-უნვდებოდა სხალტბაზე.

ამგვარად, შიომღვიმის ეს 1453-1465 წწ-ის სიგელი ყველა ნიშნით სანდო ჩანს და შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ შემთხ-ვევაში, თუ ზემო განხილულ სულთა მა-ტიანეში დავით მეფის მთავარი ზედნოდე-ბა არაფერ შუაშია, ესაა რიგით პირველი ოფიციალური ფაქტი დავით IV-ის „აღმა-შენებლად“ მოხსენიებისა. აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ საბუთის დედნის არქონის გა-მო აღნიშნული დასკვნა საბოლოოდ ეჭვმი-უტანელი მაინც ვერ იქნება.

**მთის წმ. გიორგის მონასტრის საბუთი**

ბოლოს ყურადღება მინდა გავამახვი-ლო მთის წმ. გიორგის მონასტრის 1465-1467 წ-ის საბუთზე. საბუთი გაცემულია ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI-ის მიერ და წარმოადგენს დავით აღმაშენებლის ძის დემეტრეს მიერ გაცემული შეწირულობის საბუთის განახლებას. დედანი დაკარგუ-ლია, ამიტომ ტექსტი მომყავს საბუთის ყველაზე ძველი ჯ608 პირიდან, რომელიც ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში ინახება.

საბუთის თავში ვკითხულობთ:

თქუნ წმიდაო გ(იორ)გი მ[თისა] მთავარ მონა|მეო! რაგუარაც დავით აღმაშენე-ბლისა |2 და ძისა მისისა დიმიტრისგან შემონირული |3 ყოფილიყო და [ი]ყო...

როგორც აღვნიშნე, ამ სიგელის დე-დანნი დაკარგულია, ხოლო მისი XIX ს-ის აღწერილობა ძალიან ზოგად ინფორმაციას გვანვდის მისი ტექსტის შესახებ (არქივი 1451;16: 436-439). ამ აღწერილობაში არაა დაფიქსირებული არც დავით აღმაშენებ-

ლის მოხსენიება, თუმცა, საბუთის დედნის და პირის ტექსტი იდენტური უნდა ყო-ფილიყო.

როგორც ვხედავთ, დავითი აქაც „აღ-მაშენებლად“ მოხსენიებული.

დავით აღმაშენებლისა და მისი ძის დემეტრეს ხსენება არაა შემთვევითი. მ. სურგულაძის მიხედვით:

„წინაპარ მეფეთა მოტივი, რომელიც ყოველ განხილულ საბუთში მეორდება, უპირველესად გულისხმობს „მაშენებელ და შემწირველ“ მეფეებს, რომელთა სულის „არდასამძიმებლად“ ყოველი ახალი მეფე თავს ვალდებულად რაცხს განუახლოს მონასტრებს მათგან შეწირული მამულები. Arenga-ში შენარჩუნებულია წარმოდგენა წინაპარ მეფეთა და შემწირველთა „სუ-ლიერი“ კავშირის თაობაზე მათ მიერვე შეწირულ მამულებთან და ასევე მათ მიერვე მონასტრებისადმი მინიჭებული უფლებების „განგრძობითობის“, უწყვეტო-ბის შესახებ....

Arenga-ს... თემა უჩვენებს სამეფო ხე-ლისუფლებაზე და საკუთრივ მეფის პერ-სონაზე შემუშავებულ ოფიციალურ შეხედ-ულებებს. ამ შეხედულებებში ჩანს უკვე დამკვიდრებული იდეალიზირებული წარ-მოდგენები მეფის პერსონაზე: მეფე არის ქრისტიანული სათნოების ნიმუში, იგი გა-ნასახიერებს უმაღლესი სამართლიანობისა და ქრისტიანული მონყალების იდეას – მფარველობს ეკლესიას და მისი მატერი-ალური კეთილდღეობისათვის ზრუნავს. იგი არის წინაპართა იურიდიული და ზნეობრივი მემკვიდრე და მათი საქმეების გამგრძელებელი. მეფის ღვთისმოსაობა, გამოხატული ეკლესიებზე ზრუნვაში, არის გარანტი ამქვეყნად თვით მისი (მეფის) და ტახტის მემკვიდრის წარმატებებისა...

XIV-XV სს. მეფეთა შეწირულობის სიგე-ლებში ზნეობრივი Arenga ისეთივე შინაარ-სისაა, როგორც არის XI-XIII სს. საბუთებში. ძალზე იშვიათად მეფობის „წარმართების“ თემა კვლავ შენარჩუნებულია...

განახლების აქტი, ჩვეულებრივ, დასაბ-უთებული არის შეწირულობის სიძველით. მითითება სიძველეზე შეადგენს იურიდი-

ული arenga-ს თემას... წინაპარ მეფეთა, როგორც ძველი შემწირველების თემა, ამ საუკუნეების (XV ს. – ნ. ჟ.) საბუთებში იურიდიულ arenga-სთან არის შეერთებული. შეწირულობის განახლების უეჭველ საფუძვლად მიჩნეულია შეწირულობის სიძველე. უფრო სწორად, სიძველე არის ქცეული იურიდიული ძალის ფაქტორად.“ (სურგულაძე 2006: 79-80).

სავარაუდოდ, მართლაც არსებობდა მეფე დავითისა და მისი შვილის, მეფე დემეტრეს მიერ გაცემული შეწირულობის საბუთი ამ მონასტრისადმი, რომელიც სამწინხაროდ არ შემორჩენილა.

### დასკვნა

ამგვარად, დასკვნის სახით, ისტორიული საბუთების კუთხით, შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. მე არ ვიზიარებ ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ მეფე დავით IV „აღმაშენებლად“ პირველად იხსენიება ავჯანდაძეთა სასისხლო სიგელში, რადგან საბუთი აშკარად ნაყალბევად მიმაჩნია, რის გამო მისი გაცემის თარიღიც ნაყალბევი უნდა იყოს. უცნობია ამ საბუთის შექმნის ნამდვილი თარიღი.

2. შიომღვიმის 1453-1465 წწ-ის სიგელი ყველა ნიშნით სანდო ჩანს და შეიძლება დავასკვნათ, რომ ესაა რიგით პირველი ოფიციალური ფაქტი ისტორიულ საბუთებში დავით IV-ის „აღმაშენებლად“ მოხსენიებისა. თუმცა, იმის გამო, რომ საბუთის დედანი ჩვენამდე არ შემორჩენილა, აღნიშნული დასკვნა საბოლოოდ ეჭვმიუტანელი მაინც ვერ იქნება.

3. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მთის წმ. გიორგის 1465-1467 წწ-ის სიგელის სახით ჩვენ გაგვაჩნია ისტორიულ საბუთებში საქართველოს მეფე დავით IV-ის „აღმაშენებლად“ მოხსენიების დღემდე შემორჩენილი პირველი ოფიციალური პრეცედენტი.

ეს, რაც შეეხებოდა ისტორიულ საბუთებს. ახლა კი ჩემი ნაშრომის მთავარი

დასკვნა:

ჩვენამდე შემორჩენილი უძველესი პრეცედენტები დავით IV-ის „აღმაშენებლად“, როგორც უკვე დამკვიდრებული მთავარი ზედწოდებით მოხსენიებისა, დასტურდება უკვე XV ს-ის პირველი ათწლეულის ორ საისტორიო წყაროში — გერგეტის სამების „მატიანე მოსახსენებელი სულთა“-ისა და სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მათიანის ტექსტების უძველეს ნაწილებში.

იმის დადგენა, თუ რომელია ამ ორი წყაროდან უფრო ძველი, ამ ეტაპზე ძალზედ რთულია. თუმცა, მკვლევარი თ. ჯოჯუა, გერგეტის სულთა მათიანეში მოხსენიებულ ისტორიულ პირთა მოღვაწეობის ქრონოლოგიაზე დაყრდნობით, ვარაუდობს, რომ გერგეტის სულთა მათიანის ჩვენთვის საინტერესო ნაწილი შეიძლება იყოს შექმნილი არა XV ს-ის პირველი ათწლეულში, არამედ XIV ს-ის მიწურულს. თუ ბ-ნ თ. ჯოჯუას ეს ვარაუდი დამტკიცდა შესაბამისი არგუმენტაციით, რაც მისი ერთ-ერთი მომავალი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, ბუნებრივად მივიღებთ დასკვნას, რომ პირველი პრეცედენტი დავითის „აღმაშენებლად“ მოხსენიებისა გვხვდება XIV ს-ის მიწურულს, გერგეტის სულთა მათიანეში, ხოლო მოგვიანებით, XV ს-ის პირველი ათწლეულში სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მათიანეში.

ნაშრომის თემატიკასთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია კიდევ ერთი გარემოება:

ზემოგანხილული ხუთი საისტორიო წყაროდან, სადაც დავით IV „აღმაშენებლად“ იწოდება, ოთხი მათგანი, თავისი შინაარსით და დატვირთვით, ავლენს გარკვეულ კავშირს მეფე დავითის ბიოგრაფიასთან. კერძოდ;

1. სინას მთის ქართველთა ეკლესია აშენებულია ამ მეფის მიერ;

2. ცნობილია დავითის განსაკუთრებული დამოკიდებულება შიომღვიმის მონასტრისადმი;

3. დადასტურებულია მთის წმ. გიორგის

მონასტრისადმი მის მიერ განეული ამაგი;  
 4. ავთანდილთა სიგელში მოთხრობილია ამბავი მეფის გელათის გალავნიდან გადმოვარდნის შესახებ. ამის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დავით მეფის ამ ზედწოდებით მოხსენიების ჩვენამდე შემორჩენილი პირველი პრეცედენტები და ამავე ზედწოდების მის მთავარ ეპითეტად დამკვიდრება, დაკავშირებულია მის მიერ აღშენებულ ან გამშენებულ მონასტრებთან. თუმცა, ამ მხრივ ძალზედ საინტერესოა ჩვენს ხელთ არსებული და ზემოთ განხილული მეხუთე, შესაძლოა უძველესი წყარო – გერგეტის სამების „მატიანე მოსასენებელი სულთა“, რადგან, ბუნებრივია, გერგეტის სამების მონასტრთან, რომლის აგებასაც XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე ვარაუდობენ (შარაშიძე 1954: 226), მეფე დავითს ვერანაირი კავშირი ვერ ექნებოდა 25.

#### შენიშვნები:

1. თ. ჟორდანიას ეს მოსაზრება მცდა-რია, რაზეც ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებ.
2. სიგელის დასათარიღებლად ექ. თაყაიშვილი ასევე აღნიშნავს, რომ საბუთის დამწერი „კათალიკოსი დავითი“ კონსტანტინეს მეფობისას იხსენიება, თუმცა, როგორც ზემოთაც ვხედავთ, საბუთის დამწერი არის არა კათალიკოსი, არამედ მთავარეპისკოპოსი დავითი (პ.ა.ლ 1993: 13).
3. ამ მოსაზრებას მე არ ვიზიარებ, რაზეც ქვემოთ მექნება საუბარი.
4. ამ უკანასკნელის აზრს ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებით აკრიტიკებდა, (ჯავახიშვილი 1996: 513-514).
5. ივ. ჯავახიშვილი რადიკალურად უარყოფდა სასისხლო სიგელს, როგორც ოფიციალურ მოვლენას და ჩვენამდე მოღწეულ ყველა სასისხლო საბუთს ყალბად მიიჩნევდა (ჯავახიშვილი 1996: 501-523). თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ასეთი რადიკალური მიდგომა უარყოფილია, რაც ჩემი აზრით სამართლიანია.
6. უფრო ვრცლად სასისხლო სიგელე-

ბის შესახებ იხ. მ. სურგულაძე, ქართული საისტორიო აქტები XI-XV სს., თბ. 2006. გვ. 155-185. აქვე მინდა მოვიყვანო საინტერესო ციტატა მ. სურგულაძის ამ ნაშრომიდან:

„ნაწილი სასისხლო სიგელებისა არ არის პირველადი, არამედ განახლებული. ამიტომ ხშირია მითითება ძველ სიგელებზე. აშკარად ნატყუარ საბუთებში ლაპარაკია გვარის ძველთაძველ დამსახურებაზე მეფის წინაშე, რაც ზოგჯერ შეზავებულია ფანტასტიკური ამბების თხრობით. მთავარი ისაა, რომ პირადი დამსახურება ჩათვლილია გვარის აღზევების მიზეზად, საერთოდ კი ნატყუარი საბუთების შემქმნელთა აზროვნება მთლიანად წარსულისკენ არის მიპყრობილი, წყალობის სიძველე გვარის სიძველის დასტურია, ეს კი აღიქმება სოციალური პრესტიჟულობის უმთავრეს ნიშნად.“ (სურგულაძე 2006: 163).

7. უცნობია, თუ აფხაზეთის რომელ ლეონ მეფეს გულისხმობს საბუთის ავტორი: ლეონ I-ს (720-740წწ.), ლეონ II-ს (758-798წწ.) თუ ლეონ III-ს (957-967წწ.). (მეფეები 2007: 59-77).

8. იგივე აზრისაა ივ. ჯავახიშვილიც (ჯავახიშვილი 1982: 321).

9. სწორედ 1452 წ-ს გარდაიცვალა მეფე დემეტრე (ყაუხჩიშვილი 1973: 284).

10. კონსტანტინეს გამეფების თარიღის შესახებ იხ. მირიან მახარაძე, კონსტანტინე II გამეფების წლები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 341, თბ. 2002. გვ. 448-453.

11. მით უმეტეს იმის გამოც, რომ პალეოგრაფიულად საბუთი მართლაც XV ს-ისაა.

12. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მე ვცდები და ეს საბუთი მართლაც ნამდვილია, მისი გაცემის თარიღი მაინც შეუძლებელია იყოს 1452 წ., ქრონოლოგია კი ამ ნაშრომის მთავარი საკითხის დასადგენად უფრო აქტუალურია, ვიდრე საბუთის სტატუსი.

13. ჩემი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს, ერთი შეხედვით საბუთში უსახელოდ მოხსენიებული აღმამენებელი მართ-

ლაც დავით IV უნდა იყოს, ამის გადაწყვეტით თქმა მაინც შეუძლებელია, რადგან საბუთის ტექსტში აღმაშენებელი ეწოდება ასევე კონსტანტინეს (იხ. ზემოთ საბუთის ტექსტი). მსგავს პრობლემას ზემოთ უკვე შევხვდით სულთა მატთანეს ტექსტში.

14. საქართველოს მეფე 1446-1466 წწ-ში, კახეთის მეფე 1466-1476 წწ-ში (მეფეები 2007: 169-170).

15. პირთა ანოტირებულ ლექსიკონში საბუთის შიფრის მაგივრად მოცემულია თ. ჟორდანიას ეს პუბლიკაცია (პ.ა.ლ. 1991: 265).

16. ეს დამოკიდებულება ასახულია მეფე დავითის ანდერძში (ქისკ 1984: 52-59).

17. სხალტბა (სხალტბისა) – სოფელი მცხეთის მუნიციპალიტეტში (ლექსიკონი 2009: 159).

18. მართალია შემორჩენილი არაა დავით აღმაშენებლის რაიმე საბუთი, სადაც სხალტბა შიომღვიმის მონასტრის მამულად იხსენიებოდა, თუმცა, ჩვენამდე მოაღწია 1170 წ-ის გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) სიგელმა, სადაც მინიშნებაა, რომ ჩამოთვლილი მამულები და მათ შორის სხალტბა დავით აღმაშენებლის და დემეტრე I-ის (1125-1155/56წწ.) სიგელებში უკვე შიომღვიმის მამული იყო (ქისკ 1984: 67-70). სხალტბა ამ მონასტრის საკუთრებად იხსენიება სხვა საბუთებშიც (ქისკ 1984: 99-104, 112-113).

19. ივ. ჯავახიშვილმა ეს საკითხი სპეციალურად შეისწავლა. გიორგი მეფის პირველი თანამეცხედრე თამარი იხსენიება მხოლოდ 1453 წ-ის ერთ საბუთში. 1460 წ-ის საბუთში კი მეფის თანამეცხედრედ იხსენიება უკვე ნესტან-დარეჯანი. 1457 წ-ის საბუთში პირველად იხსენიება მეფე გიორგის და დედოფალ ნესტან-დარეჯანის ძე ალექსანდრე, თუმცა, ამ საბუთში არ იხსენიება თვითონ ნესტან-დარეჯანი. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ივ. ჯავახიშვილს გამოაქვს დასკვნა, რომ „ნესტან-დარეჯანი გიორგის დაახლოვებით 1454-1456 წ. უნდა შეერთო.“ (ჯავახიშვილი 1982: 272-273). თუმცა, ჩემი აზრით, სავსებით შესაძლებელია, რომ მეფე გიორგის ნესტან-დარეჯანი

შეერთო 1453 წელსვე.

20. უფრო ვრცლად გიორგი მეფის დატყვევების თარიღის შესახებ იხ. ნ. ჟღენტი, მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი გაცემული XV საუკუნის საბუთის თარიღის დაზუსტებისათვის. ჟურნ.: „ქართული წყაროთმცოდნეობა“, №XII, თბ. 2010, გვ. 149-151.

21. ამ აზრისაა ასევე ქ. ტატიშვილი, თუმცა, საბუთის თარიღად იგი 1446-1469 წლებს ასახელებს (ტატიშვილი 2001: 30).

22. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ტექსტი შესრულებული ყოფილა შიომღვიმის უფრო ძველი საბუთის, კერძოდ, 1218-1227 წწ-ის არსენ კათალიკოსის სიგელის მეორე მხარეს, ანუ ვერსოზე (ჟორდანიას 1896: 50-52, 72).

23. დათარიღება ჩემია (ჟღენტი 2010).

24. ჩემს სამაგისტრო ნაშრომში, შემორჩენილ პირებსა და დედნის ანოტაციებზე დაყრდნობით, კიდევ ერთხელ დადგინდა საბუთის ტექსტი, რომელიც 2011 წელს გამოქვეყნდა, იხ. ნ. ჟღენტი, „მთის წმ. გიორგის საბუთი 1465-1467 წლებისა (დადგენილი ტექსტი და კლასიფიკაცია)“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები IV, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2011, გვ. 204-216.

25. განუთლი კონსულტაციისა და მითითებებისთვის დიდ მადლობას ვუხდით ბატონ თემურ ჯოჯუას.

## დამონებანი

1. არქივი 1451;16 : საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი № 1451, საქმე № 16. გვ. 436-439.

2. გოგოლაძე 1989: დ. გოგოლაძე, მეფე დავით IV და მისი ზედწოდება – აღმაშენებელი, „მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, №3, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ. 1989. გვ. 40-45.

3. თაყაიშვილი 1909: ექ. თაყაიშვილი,

საქართველოს სიძველენი, ტ. II, ტფ. 1909.

4. კაკაბაძე 1924: მოხსენება ს. კაკაბაძისა, განათლ. სახალხო კომისარის სახელზე წარდგენილი, ჩრდილ. კავკასიიდან არქივებისა და სამუზეუმო კოლექციების რეევაკუაციის შესახებ 1923 წ. ჟურნ.: „საისტორიო მოამბე“. №1. ტფ. 1924.

5. კლდიაშვილი 2008: დ. კლდიაშვილი, ქართული სამონასტრო სულთა მატრიანეები, წიგნი I, სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატრიანე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ. 2008.

6. ლექსიკონი 2009: საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ. 2009.

7. მახარაძე 2002: მ. მახარაძე, კონსტანტინე II გამეფების წლები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 341, თბ. 2002. გვ. 448-453.

8. მეფეები 2007: საქართველოს მეფეები, რედ. რ. მეტრეველი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ. 2007.

9. ნინიძე 1995: დ. ნინიძე, „პროვინციის მეფეები“ XIV-XV საუკუნის საქართველოში, თბ. 1995.

10. პ.ა.ლ. 1991: პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, ტ. I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ. 1991.

11. პ.ა.ლ. 1993: პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ტ. II, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ. 1993.

12. ჟორდანიას 1896: თ. ჟორდანიას, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა, თბილისი 1896.

13. ჟორდანიას 1897: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზა-

და, შესავალი და საძიებლები დაურთო თ. ჟორდანიას, II (1213 წლიდან 1700 წლამდე) ტფ. 1897.

14. ჟღერტი 2010: ნ. ჟღერტი, „მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი გაცემული XV საუკუნის საბუთის თარიღის დაზუსტებისათვის“. ჟურნ.: „ქართული ნყაროთმცოდნეობა“, №XII, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ. 2010. გვ. 144-155.

15. ჟღერტი 2011: ნ. ჟღერტი, „მთის წმ. გიორგის საბუთი 1465-1467 წლებისა (დადგენილი ტექსტი და კლასიფიკაცია)“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები IV, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2011, გვ. 204-216.

16. სურგულაძე 2006: მ. სურგულაძე, ქართული საისტორიო აქტები XI-XV სს., გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ. 2006.

17. ტატიშვილი 2001: ქ. ტატიშვილი, დავით აღმაშენებლის ანტონისეული განგება, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, XIX, თბ. 2001.

18. ქისკ 1984: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ. 1984.

19. ყაუხჩიშვილი 1955: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, გამომცემლობა „სახელგამი“, თბ. 1955

20. ყაუხჩიშვილი 1973: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ. 1973.

21. შარაშიძე 1954: ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.), გამოკვლევა და ტექსტები, გერგეტის სამების „მატიანე მოსახსენებელი სულთა“, მასალები საქართველოსა და კავკასიის

ისტორიისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ. 1954. გვ. 217-304.

22. ჭუმბურიძე 2006: ზ. ჭუმბურიძე, ნატყუარია თუ არა აბჟანდაძეთა სასისხლო სიგელი?, შოთა მესხია 90, საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ. 2006, გვ. 365-372.

23. ჯავახიშვილი 1982: ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ. 1982.

24. ჯავახიშვილი 1996: ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ. 1996.

25. Brosset 1858: M. Brosset, Histoire de la

Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIX siècle. Introduction et tables des matières, St.-Petersbourg, 1858.

26. K608: ქუთაისის ისტორიული მუზეუმი, საბუთი K608.

27. Sd-521: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, შდ-521.

**ნიკოლოზ ჟღნტი**

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოფენისა და განათლების დეპარტამენტის მეცნიერ-თანამშრომელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი



**ალექსანდრე გიგიაშვილი**

**საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში**

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში დავით IV აღმაშენებელს სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია, რადგან მან შექმნა დროის დიდი მონაკვეთი, ეპოქა, რომელიც ხასიათდებოდა ბევრი ღირსშესანიშნავი მოვლენით, რომელსაც გააჩნდა უამრავი დამახასიათებელი თვისება და რომლითაც საქართველომ იმდროინდელ მსოფლიოში დიდი სახელი და ავტორიტეტი მოიპოვა. ამდენად ჩვენი თემის მიზანია საქართველო განვიხილოთ დავით აღმაშენებლის ეპოქაში. ამისთვის კი საჭიროა შევეხოთ მის მრავალმხრივ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას, მის დაუღალავ ენერჯიასა და შრომისმოყვარეობას.

გადაჭარბებული არ იქნება ვთქვათ, რომ დავით აღმაშენებელმა თავისი მხედრული სიმამაცითა და უბადლო პოლიტიკური გამჭრიახობით შესძლო იმ დროის უმძიმესი მდგომარეობიდან არა მარტო ეხსნა ქართველი ხალხი და საქართველო, არამედ მნიშვნელოვნად აემალღებინა ხალხისა და სახელმწიფოს დონე და გარკვეულად გადაეჭარბებინა ამ დონისათვის.

დავით აღმაშენებელმა არა მარტო იხსნა საქართველო თურქ-სელჩუკთა განუწყვეტელი შემოსევისა და დარბევისგან, არამედ თავისი დიდი წინაპრის ბაგრატ III-ის (975-1014) დაწყებული საქმე, საქართველოს გაერთიანება ბრწყინვალედ დაამთავრა და საქართველოს გაუთქვა სახელი მთელს ევროპაში და აზიაში. ამიტომ არის, რომ არც მანამდე და არც მის შემდეგ საქართველოს არც ერთ მეფეს არ ჰყოლია ამდენი უცხოელი ისტორიკოსი და თაყვანისმცემელი, რამდენიც ჰყავდა დავით აღმაშენებელს, რომლებმაც სხვადასხვა დროს აღწერეს მისი ისტორია.

დავით აღმაშენებელმა შექმნა უდიდესი იმპერია – დაწყებული ნიკოფსიიდან და რუბანდამდე და ოვსეთიდან არეგანამდე.

საქართველოს არც ერთ მეფეს არ ჰქონია იმდენი ღირსება, რაც მას ჰქონდა. მას ხშირად ადარებენ ძველი დროის უდიდეს

ადამიანს ალექსანდრე მაკედონელს.

ახლა მოკლედ შევეხოთ იმ პოლიტიკურ სიტუაციას, რომელიც სუფევდა საქართველოში დავითის გამეფების დროს.

XI საუკუნის 80-იან წლებში საქართველო, შეიძლება გაბედულად ვთქვათ, სულს ღაფავდა თურქ-სელჩუკთა შემოსევებისგან. განსაკუთრებით მძიმე და მომაკვდინებელი იყო 1080 წელი, რომელიც აღინიშნა „დიდი თურქობით“. მაშინ ადამიანთა დიდი ნაწილი დაიხოცა, ხოლო ვინც გადარჩა მთებში გაიხიზნა. თურქებმა გაანადგურეს სოფლები და სასოფლო-სამეურნეო ნარგავები, რამაც გამოიწვია შიმშილი და დიდი უბედურებები. ამას დაემატა 1088-1089 წლებში დიდი მიწისძვრები, რომელმაც თითქმის მთლიანად დაანგრია ქალაქები და სოფლები. აღნიშნულმა მოვლენებმა საქართველოს სახელმწიფოს არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

აი, ასეთი უმძიმესი ვითარება იყო, როდესაც მეფე გიორგი II-მ თავისი 16 წლის შვილი დავითი მეფედ აკურთხა.

მეფე გიორგი II აიძულეს თავისმა ერთგულმა ადამიანებმა, რომ სამეფო ტახტი დავითისთვის დაეთმო, მან ბევრი საბედისწერო შეცდომა დაუშვა სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში. დიდი აზნაურები თავისუფლად პარპაშებდნენ. უფრო მეტიც, მან შეცდომა დაუშვა მაშინაც, როდესაც ზამთრის დადგომისას ვეჯინს ალყა მოხსნა და ღორებზე სანადიროდ აჯამეთში (აფხაზეთში) წავიდა და კახეთი სარბევად დაუტოვა თურქებს. ალბათ კიდევ ბევრი უარყოფითი თვისება ჰქონდა გიორგი II-ს. დაბოლოს, იგი იძულებული გახდა, ტახტიდან გადამდგარიყო და თვითონვე დაეხურა სამეფო გვირგვინი თავისი 16 წლის დავითისათვის 1089 წელს.

დავით აღმაშენებლის მეფობის დაწყებას მემადიანე ასე იწყებს: „მეფე იქნა რა დავით, მოოხრებული იყო ქართლი და თვინიერ ციხეთა სადმე არა სად იყო კაცი სოფელსა შინა, არცა არა მშენებლობა“. (ვ. ჭელიძე „ქარ-

თლის ცხოვრების ქრონიკები“, წიგნი III-IV, გვ. 6).

ვინ იფიქრებდა, თუ დავითს მოუხდებოდა უდიდესი მისიის შესრულება, დარაზმავდა არა მარტო საკუთარ ხალხს, არამედ მეზობელ ხალხებსაც. მტერს განდევნიდა არა მარტო საქართველოდან, არამედ ამიერკავკასიის მიწა-წყლიდან და აქ მცხოვრებ ხალხებს თავისუფლებას და ბედნიერებას მოუტანდა. მაშინ ხომ მთელი ქართლი და მესხეთი თურქთა სათარეშოდ იყო გადაქცეული. მეფე რომ თავის საზაფხულო რეზიდენციაში, ნაჭარმაგევში (ახლანდელი კარალეთი) ჩასულიყო, წინასწარ მზვერავები უნდა გაეგზავნა და შეემოწმებინა გზები, რათა მტერს არ შეჰყოფოდა.

მე რამდენჯერმე ვახსენე, რომ დავით აღმაშენებელს უმძიმეს მდგომარეობაში მოუხდა მეფობის დაწყება და აქ ვიგულისხმე არა მარტო თურქ-სელჩუკთა განუწყვეტელი შემოსევები, არამედ ფეოდალთა ის დიდი თავგასულობა, აშლილობა, რომელიც მისი მეფობის დასაწყისში სუფევდა. მართლაც მათთან ბრძოლა რთული იყო, რადგან მათ მხარს უჭერდა ეკლესია.

ასეთი იყო უმძიმესი პოლიტიკური ვითარება, როცა სამეფო ტახტზე ავიდა დავითი. გამეფების პირველი დღეებიდანვე მის წინაშე დასმული იქნა კითხვები: როგორ დაეწყო მეფობა, რა გზა აერჩია, როდის აელაგმა თავგასული ფეოდალები, როგორ გაენმინდა ეკლესია უღირსი პირებისგან, როგორ დაემარცხებინა გარეშე მტრები, როგორ შეექმნა ანიოკებული ხალხისგან ლაშქარი, როგორ დაემყარებინა წესრიგი აწეწილ-დაწეწილ ქვეყანაში?.. როგორ აღედგინა მიტოვებული სოფლები და თვით სოფლის მეურნეობა, როგორ ჩაენერგა ხალხისთვის მომავლის იმედი? და მრავალი სხვა.

არ შეიძლება ასეთ სიტუაციაში დავით აღმაშენებელს ძალიან ახლობელი მრჩეველი არ ჰყოლოდა. მას ჰყავდა გონიერი მრჩეველი, მისი აღმზრდელი და თანააღზრდელი გიორგი ჭყონდიდელი, რომელსაც მემატიაზე ასე ახასიათებს: „კაცი სრული ყოველთა სიკეთეთა სრულითა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა...“ მემატიაზე იმასაც გვამც-

ნობს, რომ დავითმა გამეფებისთანავე თავის გარშემო შემოიკრიბა გონიერი მრჩეველები.

დავით აღმაშენებელმა კარგად გაითვალისწინა რა არსებული სიტუაცია, გადაწყვიტა, დაეწყო ტოტალური ბრძოლა ყველა ფრონტზე. მაგრამ რით დაეწყო, რომლისთვის უნდა მიეცა უპირატესობა? საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გენერალური ბრძოლის დაწყება თურქ-სელჩუკებთან ბევრს არაფერს მოუტანდა და შესაძლებელია დამარცხებულიყო. საჭირო იყო, ჯერ აღედგინა აოხრებული სოფლები და დანგრეული სოფლის მეურნეობა; პატარ-პატარა ომების ჩატარება და საქართველოში შემოჭრილი მტრის შევიწროვება, რომ ხალხისთვის რწმენა მიეცა. მაგრამ დავითს მაინც უპირატესად მიაჩნდა გამდგარი ეკლესიის დამორჩილება, რომელიც თავშესაფარად გილად გადაქცეულიყო ორგული ფეოდალებისთვის, რომლებიც ყოველნაირად აბრკოლებდნენ ქვეყნის გაერთიანებას. დავითი იმასაც მიხვდა, რომ ეკლესია მეტად ძლიერი იყო, შეიძლება მასთან ბრძოლაში დამარცხებულიყო, ამიტომ ამ საქმეში მან დიდი სიფრთხილე გამოიჩინა და ჯერ მას არ გამოუცხადა ომი. მან ჯერ ამჯობინა მთებში გახიზნული ხალხი სოფლებში დაებრუნებინა და ლაშქრის შეგროვებისთვის ეზრუნა.

დავითმა დაიწყო ლაშქრის შეგროვება და წვრთნა. დღედაღამ განუწყვეტლივ მუშაობდა. ამრავლებდა ლაშქარს, წვრთნიდა მას, პირად მაგალითს აძლევდა თითოეულს. ბეჯითსა და ყორჩალს აქებდა, ჯაბანს და მცონარეს აძაგებდა, ჩააცმევდა ქალის კაბას და ლაშქრის წინ ჩამოატარებდა, მან ლაშქარში ღვინის სმაც და სხვა სახუმარო გართობანიც აკრძალა. ლაშქრისთვის საჭირო იარაღებს თვითონვე ამზადებდა. მჭედლებთან ერთად განუწყვეტლივ, დღედაღამ ჭედდა იარაღს და ამით ამხნევებდა ლაშქარს.

დანგრეული სოფლების აღდგენას, ჯარის შეგროვებას და წვრთნას დავითმა ოთხი წელი მოანდომა. აგრეთვე ეს ოთხი წელი დასჭირდა პატარ-პატარა ლოკალური ომებისთვის. სოფლებში განახლდა ცხოვრება. გამეფების ოთხი წლის თავზე დავითმა ყველას დაანახა, რომ მტრის მიმართ, სულ

ერთია გარეშე იქნებოდა ის თუ შინაური, შეუბრალებელი და სასტიკი იყო. ახლა უკვე დაიწყო ურჩი ფეოდალების ალაგმვა.

პირველ რიგში, დავითმა მიზნად დაისახა კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში შეეპყრო, რომელიც შეკრული იყო სულთანთან. იერიში მასზე იმიტომ მიიტანა, რომ მისი საერისთავო საკმაოდ დიდი იყო და სტრატეგიულ ცენტრსაც წარმოადგენდა. დავითმა შედარებით ადვილად შეიპყრო ლიპარიტ ბაღვაში, რომელიც კარგა ხანს დამწყვდეული ყავდა. ის შეევედრა მეფეს, ოღონდ გამიშვი და შენი მონა-მორჩილი ვიქნებო. დავითმა დაუჯერა მას, გაათავისუფლა და დაუბრუნა თავისი საერისთავო, მაგრამ მან ფიცი გატეხა, კვლავ განუდგა დავითს. დავითმა მას არ აპატია, კვლავ შეიპყრო და ორი წლის შემდეგ გააძევა ბიზანტიაში, სადაც გარდაიცვალა. დავითმა კლდეკარის საერისთავო გააუქმა და სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა.

დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ შეუპოვრად იბრძოდნენ ძაგან აბულეთის ძე და მისი ძმა ეპისკოპოსი მოდისტოსი, რომლებმაც მუხრანისა და ზედაზნის ციხეები, მცხეთის, წილკნისა და შიომღვიმის საეკლესიო მამულები კახეთის განდგომილი მეფეს გადასცეს, რამაც მეტად აღაშფოთა დავითი. მან ეს თავხედური მოქმედება მათ არ აპატია. ორივეს პატივი და ღირსება აპყარა, ორივე დაიჭირა და ციხეში ჩაჰყარა. გაცემული ციხეები და მამულები მალევე დაიბრუნა.

კლდეკარის საერისთავოს გაუქმებით დავითმა დაიწყო დიდი რეფორმების გატარება. ერთ-ერთი ასეთი იყო „მისაკარგაობის“ რეფორმა, რაც იმას ნიშნავდა, რომ დავითი ამა თუ იმ ადგილს თუ მხარეს თავისი ერთგულ ადამიანებს ჩააბარებდა „საკარგავის“ უფლებით. მოხელე, რომელიც თავს ვერ გაართმევდა მინდობილ საქმეს, ის კარგავდა ჩაბარებულ საქმეს და თანამდებობას. ამით სახელმწიფოში თანდათან მტკიცდებოდა დისციპლინა. მეფემ ამით შემოიკრიბა ღირსეული ხალხი, ერისთავობას კი ბრძოლა გამოუცხადდა. ამიერიდან თანასწორთა შორის პირველი კი არ იყო, არამედ იგი ცალკე იდგა და ყველანი მას

ემორჩილებოდნენ. დავითმა მთლიანად გააუქმა საუკუნეობით დაკანონებული ერისთავობის ინსტიტუტი.

1092 წელს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა საქართველოს სასარგებლოდ. ამ წელს გარდაიცვალა თურქ-სელჩუკთა დიდი სულთანი მალიქ შაჰი. პატარ-პატარა სახელმწიფოებად დაიშალა თურქ-სელჩუკთა დიდი სახელმწიფო, რამაც გააადვილა დავით აღმაშენებლის ბრძოლა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ. თუმცა დავითს მათთან ბრძოლა მაინც უჭირდა, რადგან მცირერიცხოვანი ლაშქარი ჰყავდა. ამიტომ მას რალაც ხერხისთვის უნდა მიემართა. მტრის თვალის ასახვევად თავის საბრძოლოდ განწყობილ ლაშქარს გადაიყვანდა ხოლმე დასავლეთ საქართველოში. მტერი გაიგებდა თუ არა ამას, მაშინვე დაიძვრებოდა ხოლმე საქართველოს ცალკეული კუთხეების დასარბევად, დავითი მაშინვე საომრად განწყობილ ლაშქარს სწრაფად დაძრავდა ხოლმე და მტერს მოულოდნელად ესხმოდა თავს და ანადგურებდა. ასე თანდათანობით იბრუნებდა საქართველო ძველ მინა-წყალს.

X საუკუნის დასასრულს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, ჯვაროსნებმა აიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, რამაც კიდევ უფრო დაასუსტა ისედაც დაშლილი სელჩუკთა სახელმწიფოები. დავით აღმაშენებლმა ეს მომენტი გონივრულად გამოიყენა და გაათავისუფლა ქვეყნის უდიდესი ნაწილი. ის ისე გაძლიერდა, რომ ხარკის მიცემა შეუნწყვიტა სულთანს. სულთანი ამას შეეგუა.

მიუხედავად დავითის ასეთი წარმატებებისა, ქვეყნის დიდი ნაწილი კვლავ მოწყვეტილი იყო საქართველოსგან, ეს იყო კახეთი, რომელსაც საკუთარი მეფე ყავდა. დავითს ეშინოდა, რომ კახეთის მეფე მტრის სამსახურში არ ჩამდგარიყო. დავითმა კახეთის აღებასა და შემოერთებაში დიდი სიფრთხილე გამოიჩინა, კახეთის მეფის კვირიკეს დროს ჯერ აიღო ზედაზნის ციხე, დაახლოებით, 1102-1103 წლებში, ხოლო კახეთის მთლიანად დამორჩილება დროებით გადადო, ვინაიდან ამ

ნლებში განსაკუთრებით ანუხებდა ეკლესიაში შექმნილი დაძაბული და შეუწყნარებელი მდგომარეობა, რომელიც ავაზაკთა ბუდედ გადაქცეულიყო. ამიტომ დავითმა გადაწყვიტა, მოეწყო დიდი საეკლესიო კრება, სადაც განსჯიდნენ ეკლესიაში არსებულ მძიმე მდგომარეობას და მიიღებდნენ ისეთ გადაწყვეტილებას, რომლის შედეგად ეკლესია მხარში დაუდგებოდა მეფეს საქართველოს ძლიერების გასამტკიცებლად.

საეკლესიო კრება მოწვეულ იქნა რუისურბნისში 1103 წელს. იმ დროს აქ დიდი საპისკოპოსო ყოფილა. მას დიდძალი ხალხი დასწრებია. დავითს რომ ყოველგვარი გაუგებრობა თავიდან აეცილებინა, კრებაზე მოუწვევია საქართველოსა და უცხოეთში მოღვაწე ყველაზე გამოჩენილი მეცნიერ მნიგნობარნი და ფილოსოფოსნი.

საეკლესიო კრება ისე დაიწყო, რომ ჯერ მეფე დავითი მისული არ იყო. მეფის მონინაალმდეგეებს ეგონათ, რომ მეფე არ მივიდოდა და ამით გამხნეებულნი ერთმანეთს შესცქეროდნენ. მათი იმედები არ გამართლდა. სულ მალე მეფეც გამოჩნდა, რამაც მონინაალმდეგეებს შიშის ზარი დასცა.

საეკლესიო კრებას იოანე კათალიკოსი თავმჯდომარეობდა. კრება დიდხანს გაგრძელდა. საეკლესიო კრებამ მიიღო დადგენილება, რომელსაც რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერას“ უწოდებენ, სადაც წერია, რომ რუის-ურბნისის კრების თვალი გიორგი ჭყონდიდელი იყო.

ამ კრების ოქმიდან კარგად ჩანს, რომ მთავარი გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო კრებამ და რისთვისაც კრება მოიწვიეს, იყო მემკვიდრეობითი ნიშნით დადგენილი ყველა უღირსი მღვდელმსახურის გაძევება ეკლესიიდან.

საეკლესიო კრებამ სულ მიიღო თოთხმეტი მნიშვნელოვანი კანონი. არ უნდა ვიფიქროთ, რომ დავით აღმაშენებელმა გამეფებიდან მხოლოდ მე-14-ე წელს დაიწყო საეკლესიო ღონისძიებების გატარება. არა! მან გამეფებისთანავე დაიწყო პერიოდულად ბრძოლა ეკლესიაში გაბატონებული უკანონობისა და ბოროტების წინააღმდეგ, ხოლო რაც შეეხება რუის-ურბნისის კრე-

ბას, ის მართლაც გენერალური შეტევა იყო ეკლესიის წინააღმდეგ.

დავით აღმაშენებელი ამით არ დაკმაყოფილდა. ის ფიქრობდა, რომ დათრგუნული მსხვილი ფეოდალები, თავად-აზნაურობა და მღვდელმთავრები კიდევ გამოყოფდნენ თავს და ეს რომ არ მომხდარიყო, გადაწყვიტა, ორი თანამდებობა, ჭყონდიდელისა და მნიგნობართუხუცესის, ანუ საეკლესიო და საერო თანამდებობები გაეერთიანებინა.

ეს საპატიო წოდება დავითმა გიორგი ჭყონდიდელს უბოძა საეკლესიო კრების დამთავრების შემდეგ, რითაც ეკლესიაში მოკალათებულ დიდგვაროვანთა პარპაში აკრძალა და ეკლესია თავისი მღვდელმსახურებით სახელმწიფოს დაუმორჩილა.

იმავე პერიოდში დავითმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა სავაზირო, რომელიც იყო უმაღლესი სახელმწიფო მთავრობა. სავაზირო შედგებოდა ვაზირებისგან.

პირველი ვაზირი, ანუ მთავრობის თავმჯდომარე იყო მეფის ყველაზე ახლობელი კაცი მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, რომელიც მეფის დიდი ნდობით სარგებლობდა.

მეორე ვაზირი იყო მანდატურთუხუცესი, იგივე შინაგან საქმეთა მინისტრი.

მესამე ვაზირი იყო ამირსპასალარი, იგივე სამხედრო მინისტრი.

მეოთხე ვაზირი იყო მეჭურჭლეთუხუცესი, ანუ დღევანდელი ფინანსთა მინისტრი.

მეხუთე ვაზირი იყო მსახურთუხუცესი, რომელსაც ძირითადად ევალებოდა სამეფო სასახლის კარის შინამოსამსახურეთა მონესრიგება.

მეექვსე ვაზირი იყო ამირახორი ანუ იგივე მეჯინბეთუხუცესი, რომელიც ითვლებოდა ამირსპასალარის პირველ თანაშემწედ და სარგებლობდა სათათბირო ხმით.

მეშვიდე ვაზირი იყო ჩუხჩარხი, მეფის პირადი სპასპეტი და მეაბჯრეთუხუცესი, მეფის პირადი გვარდიის უფროსი, სარგებლობდა სათათბირო ხმით.

დავითმა კახეთის მეფეს კვირიკეს ზე-

დაზნის ციხე წაართვა. კვირიკე მალევე გარდაიცვალა, მისი ტახტი მისმა დისწულმა აღსართანმა დაიკავა, რომელიც მეტად თავხედობით გამოიჩინოდა. ეს არ აპატიეს დიდებულებმა, შეიპყრეს აღსართანი და დავითს მიჰგვარეს და ჰერეთ-კახეთი მასვე ჩააბარეს. თურქეთის სულთანი ამას ვერ შეეგუა და გადანყვიტა, ამიერკავკასიიდან დავითი მთლიანად განედევნა. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ როგორმე შეეჩერებინა დავით აღმაშენებლის ტრიუმფალური სვლა. ასეთ დასკვნას აკეთებს ვახტანგ ჭელიძე თავის „ქრონიკებში“.

ეს ყველაფერი კარგად შეიტყო თავის მზვერავებისგან დავით აღმაშენებელმა და ისიც საგულდაგულოდ მოემზადა ომისთვის. ბრძოლა გაიმართა 1104 წელს ერწუხში, დღევანდელ საინგილოს ტერიტორიაზე. ეს იყო პირველი დიდი ომი მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ. ამ ომში დავითმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. მემკვიდრე მას „ხმაგახსნილი დიდი ძლევა“ უწოდა. მეფე ამ ომში პირად მაგალითს აძლევდა თავის მეომრებს, სადაც შეამჩნევდა მეომართა სუსტ ადგილს, მაშინვე იქ გაჩნდებოდა და მტერს ურიცხვად ხოცავდა, ჯარს ამხნევებდა. მემკვიდრე წერს, რომ ამ ბრძოლაში დავითს სამი ცხენი მოუკლეს და მეოთხე ცხენით საბოლოოდ დაამარცხა მტერი. ბრძოლა მთელ დღეს გაგრძელდა.

ომი რომ დამთავრდა, მეფეს სარტყელი შემოხსნეს, იმავე წამს პერანგიდან ერთბაშად გამოიღვარა შედედებული სისხლი. ამ გარემოებამ მეფის მხლებლები შეაშინა, გაიფიქრეს ვაითუ მეფე დაჭრილი იყოსო, მაგრამ მალევე მიხვდნენ, ეს სისხლი მტრისა იყო და უმალ გამხიარულდნენ. მტრის სისხლი ხელჩართულ ბრძოლაში ხმლის ღარებს ამოჰყვებოდა ხოლმე, მეფეს მაჯაში ეწვეთებოდა და ამით პერანგის უბე ევსებოდა.

ერწუხის ბრძოლის შესახებ ცნობილი ისტორიკოსი ნიკოლოზ ურბნელი, იგივე ნიკოლოზ ხიზანიშვილი (1851-1906) წერდა: „ერწუხის ბრძოლით იწყება დავით აღმაშენებლის სამხედრო ძლიერება“.

ერწუხის ბრძოლის შემდეგ დავით აღმაშენებელმა კახეთის უკანასკნელი მეფე აღ-

სართანი შეიპყრო და მტკიცედ შემოიერთა კახეთ-ჰერეთი, თუმცა თბილისი და მისი ახლომდებარე ტერიტორიები მტრის ხელში იყო. დავითი არ ჩქარობდა თბილისის აღებას, ახლა დავითის წინაშე დადგა კულტურული მშენებლობის საკითხები. ეკლესია-მონასტრები მთლიანად წაბილწული იყო მტრისგან.

ერწუხის ბრძოლიდან ორი წლის შემდეგ 1106 წელს დავითმა გელათის სახელგანთქმული მონასტრის აშენება დაიწყო, სადაც აკადემია უნდა გახსნილიყო. დავითმა ეს სურვილი შეისრულა. აქ მოიწვია განთქმული ფილოსოფოსი და მეცნიერი – იოანე პეტრიწი, რომელსაც გელათის აკადემია ჩააბარა.

გელათის ტაძრის მშენებლობაზე დავით აღმაშენებელი პირადად ფიზიკურად მუშაობდა. მალლა აჰქონდა ის დიდი ლოდები, რომელთა დანახვა დღესაც ანცვიფრებს ადამიანს. არის უტყუარი ცნობა იმის შესახებ, რომ ტაძრის მშენებლობის დროს გუმბათს მიღწეული დავითი გადმოვარდნილა და ძირს დაცემულა. სიკვდილს ძლივს გადაარჩენილა, ფურ-ირმის რძეში უბანავებიათ.

გელათის აკადემიაში ასწავლიდნენ დიალექტიკას, იგივე ფილოსოფიას, რიტორიკას, გრამატიკას, არითმეტიკას, ასტრონომიას, მუსიკას და სამართალმცოდნეობასაც. ამავე წლებში დავით აღმაშენებლის დახმარებით იყალთოში აკადემია დააარსა არსენ იყალთოელმა.

დავით აღმაშენებელი დიდ ყურადღებას აქცევდა გზებისა და ხიდების მოწესრიგებას, მის სახელთან დაკავშირებულია ქალაქ გორის დაარსება. დავითის დროს მოჭრილი მონეტებიდან, რომლებსაც არაბული წარწერები აქვს, მტკიცდება, რომ მაშინ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა არაბულ სამყაროსთან.

დავითმა, როცა მეტ-ნაკლებად მთელი რიგი საკითხები მოაგვარა, მიუბრუნდა თბილისის გათავისუფლებას. მაგრამ მას ისე ვერ გაათავისუფლებდა, თუ ჯერ მის ახლომდებარე ციხებიდან არ განდევნიდა მტერს, რომლებიც თბილისის მისასვლელს იცავდნენ. მათგან ყველაზე მთავარი იყო რუსთავისა და სამშვილდის გათავისუფლება. დავითმა

ნაცად ხერხს მიმართა. მოამზადა ლაშქარი და მტრის თვალის ასახვევად დასავლეთ საქართველოში გადავიდა. მტერმა გაიგო რა ეს ამბავი, სიფხიზლე მოადუნა. ამით ისარგებლა დავითმა და მოულოდნელად თავს დაესხა რუსთავსა და სამშვილდეს, საიდანაც მტერი უკვე გაქცეული იყო. ეს მოხდა 1110 წელს. ამავე დროს დავითმა განძა დალაშქრა და აიღო, ამით თურქები საშინლად განრისხდნენ და 100 000 კაცით თრიალეთისკენ დაიძრნენ. ამ დროს დავითი 1500 კაცით ნაჭარმაგვეს მდგარა, სასწრაფოდ თავს დასცემია მტერს და დღის ბოლოს დაუმარცხებია, ისტორიამ მსგავსი მაგალითი თითქმის არ იცის.

ამის შემდეგ დავითის დავალებით გიორგი ჭყონდიდელმა მტრისაგან რუსთავი გაათავისუფლა და ამით თბილისის გაათავისუფლებისთვის კიდევ ერთი სიმაგრე დაეცა. მაგრამ დავითი არ ჩქარობდა თბილისის გაათავისუფლებას, რადგან მტრის პატარ-პატარა რაზმები ხან ერთს, ხან მეორე მხარეს ანიოკებდა ხალხს. დავითის ამოცანას შეადგენდა ამ პატარ-პატარა რაზმების მთლიანად განადგურება.

დავით აღმაშენებლის დავალებით, 1115 წელს გიორგი ჭყონდიდელმა თურქები გარეკა რუსთავიდან. ამავე წელს თურქები დიდძალი ლაშქრით ბასიანს მოადგნენ. მომდევნო წელს დავითი უეცრად დაეცა მტერს და საშინლად დაამარცხა. 1117 წელს დავითმა მტერს წაართვა ჰერეთის უკანასკნელი ციხესიმაგრე გიში.

1118 წელს დავითმა ორი ბრძოლა გადაიხადა, ორივე ბრძოლაში მტერი საშინლად დაამარცხა და დიდძალი ნადავლი იგდო ხელთ.

დავით აღმაშენებლის უმთავრეს მიზანს კავკასიის ხალხთა გაერთიანება წარმოადგენდა. მან კარგად იცოდა, რომ ამ მიზნის განხორციელებისთვის საჭირო იყო ძლიერი მუდმივი ლაშქრის შექმნა, რასაც ხელს უშლიდა ფეოდალთა პარპაში, რომლებიც ცდილობდნენ მის მოკვლას. ამის მკაფიო მაგალითია შემდეგი: მტრის ციხის აღების შემდეგ ქართლში შუადღისას თავისი კარვის მახლობლად პერანგის ამარა მდგარა, ამ დროს ვილაცას უსვრია ისარი,

რომელიც ყელზე ჩამოკიდებულ ხატს მოხვედრია, როგორც დაადგინეს ისარი ნასროლი იყო მოღალატე ფეოდალებისგან.

დავითმა საბოლოოდ გადაწყვიტა, დაენყო დიდი სამხედრო რეფორმა. ის ფიქრობდა, რომ ჯარის გარკვეულ ნაწილს ციხე-ქალაქები უნდა დაეცვა, ნაწილი თან უნდა ჰყოლოდა, ხოლო ძირითად ნაწილს კი მტრის მიერ დაკავებული მიწა-წყალი უნდა გაეთავისუფლებინა, მაგრამ ამისთვის საჭირო იყო ხალხის გარკვეული რაოდენობა, რაც საქართველოში არ მოიძებნებოდა. ბოლოს გადაწყვიტა დაკავშირებოდა ყივჩალებს და იქიდან გადმოესახლებინა ხალხი, რომლებიც შეავსებდნენ ჯარის რიგებს. მან ყივჩალებიდან გადმოასახლა 40 000 ოჯახი, თითოეულ ოჯახში შედიოდა 5 სული ადამიანი, თითოეულ ოჯახს მუდმივად უნდა გამოეყვანათ 1 მოლაშქრე. გადმოსახლებული ყივჩალები გარკვეული პოლიტიკური მოსაზრების გამო ერთ ადგილას არ დაუსახლებია. ყივჩალების გადმოსახლება საქართველოში უნდა მომხდარიყო 1118-1120 წლებში. ყივჩალების გადმოსახლებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ დავით აღმაშენებელს მეორე მეუღლედ ჰყავდა ყივჩალთა მთავრის ათრაქა შარაღანისძის ასული გურანდუხტი.

ამრიგად, ყივჩალების გადმოსახლებით ქართულმა მუდმივმა ლაშქარმა შეადგინა 60 000 კაცი, თუ მეფეს დასჭირდებოდა კიდევ სხვა ძალა, მას შეეძლო დაექირავებინა კიდევ სხვა ძალა, რომელსაც „როქა სპა“ ეწოდებოდა.

დავითმა შეძლო, შეექმნა შესანიშნავად შეიარაღებული, განვრთნილი, დისციპლინირებული ლაშქარი.

მემატყიანეს უყვარს დავით აღმაშენებლის შედარება ალექსანდრე მაკედონელთან და ეს შედარება არცთუ უსაფუძვლოა, რადგან არც ერთ მათგანს არ ჰქონდა ძილი და მოსვენებაო, ეს შედარება შემთხვევითი არ არის. ისინი თავიანთი ხასიათით და მოქმედებით ჰგვანან ერთმანეთს. ალექსანდრე მაკედონელი იყო ამომავალი ვარსკვლავი მსოფლიო საბრძოლო ხელოვნებისა. ეს სიტყვები თამამად შეიძლება

ითქვას დავით აღმაშენებელზეც.

ამ პერიოდში კიდევ კიდევ ერთი მომენტი აღინიშნება დავით აღმაშენებლის ცხოვრებაში, ესაა „მაბრალობენის“ ანუ გამკიცხველები უსაზღვრო საყვედური მეფისადმი. ისინი მეფეს საყვედურობდნენ, რომ სულ ლაშქარს, ლაშქარს გაიძახის და ხალხს მოსვენებას უკარგავსო. დიდებულები დაამდაბლა და უღირსი ხალხი აამალლაო. ამაში ისინი ცდებოდნენ. მართლაც, დიდებულები, რომლებიც მეფის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ისინი დავითმა დაამდაბლა, წაართვა ღირსება: ისინი იმასაც საყვედურობდნენ, რომ ყივჩაღების გამოყვანა ზედმეტი იყო.

1120 წლის თებერვლის დასაწყისში თურქთა დიდი არმია შემოიჭრა და ბორჯისთან დაბანაკდა. დავითი ამ დროს აჭარაში იმყოფებოდა. გაიგო თუ არა ეს ამბავი, მაშინვე დასძრა თავისი ლაშქარი, უეცრად მტერს თავს დაესხა და გაანადგურა.

1120 წლის ნოემბერში დავითი სირიისკენ გაემართა, რათა დახმარებოდა ფრანგ ბაღდადის ალექსანდრეს სულთან ნეჯმ ად-დინ ილ-ლაზის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამორნიას (ისტორიული მხარე სომხეთში) რომ მიადნის, იქ დიდძალი თურქობა დახვდათ. დავითმა მაშინვე ბრძანა იერიში, მტერი სწრაფადვე გაანადგურა. დავითს განზრახული ჰქონდა ილ-ლაზის სატახტო ქალაქი აეღო, მაგრამ ამ დროს მსტოვრებმა მას აცნობეს, თურქთა დიდი ლაშქარი საქართველოსკენ მოემართებაო. დავითი ამის თქმაზე სწრაფად შემოტრიალდა უკან, წამოეწია მტერს და ისე გაანადგურა, რომ როგორც მემატინე წერს: „არა დაუტოვა მოტირალი კარავთა მათთა“.

1121 წელს მძიმე ზამთარი დადგა. დავითი ლაშქრით გუგუთში გადავიდა. მტერმა ეს შეიტყო თუ არა, მაშინვე დასძრა თავისი ლაშქარი. დავითი მოულოდნელად დაესხა თავს და მტერი გაანადგურა. აილო ქალაქი ყაბალა და დიდი სიმდიდრით დაბრუნდა უკან. ამის შემდეგ დავითმა თურქებს სამხრეთით დაუწყო ბრძოლა. გამარჯვებას გამარჯვება მოსდევდა. ამ ერთ წელიწადში დავითმა რამდენიმე ომი გადაიტანა. ეს

ის პერიოდი, როცა თურქები მძლავრად უტევენ ჯვაროსნებს იერუსალიმში.

დავით აღმაშენებლის მიერ წარმოებული ომებმა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო განძა-თბილელ-დმანელი ვაჭრებიც. მათი დელეგაცია ხლებია სულთანს და უთხოვია დახმარება დავითის წინააღმდეგ. რამდენიმე დელეგაცია მისულა მასთან. თურქეთის სულთანს გაჰხარებია კიდევ ელჩობა, რადგან დავითის დამარცხების შემდეგ მთელს ძალებს გადაისვრიდა დასავლეთში, აიღებდნენ ანტიოქიას და ქრისტიანებს მუსრს გაავლებდნენ.

სულთანმა მიიღო გადაწყვეტილება, ერთხელ და სამუდამოდ დაემარცხებინა დავით აღმაშენებელი. მან მოუწოდა მთელ მაჰმადიანურ სამყაროს გაერთიანებისაკენ. შექმნა დიდი კოალიციური ლაშქარი. ამ უზარმაზარ ლაშქარს სათავეში ჩაუყენა იმ დროისთვის საკმაოდ გამოცდილი სარდალი ნეჯმ-ად-დინ ილ-ლაზი. ბრძოლა გაიმართა 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორში.

რა იყო დიდგორის ომის მიზეზი? დიდგორის ომის ძირითადი მიზეზი იყო ის განუწყვეტელი გამანადგურებელი ომები, რომლებსაც დავით აღმაშენებელი აწარმოებდა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ჯერ მცირე რაზმებით, ხოლო შემდეგ უფრო დიდი რაზმებით. განსაკუთრებით კი ერნუხის ბრძოლის შემდეგ, ხოლო 1110 წლიდან მოყოლებული, განუწყვეტელი თავდასხმები თურქთა წინააღმდეგ სისტემატურ ხასიათს ატარებდა. დავით აღმაშენებელი საქართველოს საზღვრებიდან და მოსაზღვრე ქვეყნებიდან ერეკებოდა მტერს. აი სწორედ ეს გახდა, დავითის ისტორიკოსის ცნობით, დიდგორის ომის ძირითადი მიზეზი.

ცნობილი ისტორიკოსი შოთა მესხია თავის საისტორიო ძეგლის მე-2-ე ტომში ეხება ამ ბრძოლის წყაროებსა და ლიტერატურის მოკლე მიმოხილვას და წერს: „დიდგორის ბრძოლამ და მისმა ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა შედეგმა – თბილისის შემოერთებამ თავიდანვე მიიქცია, როგორც ამ ომის მომსწრეთა, ისე შემდეგდროინდელ ისტორიკოსთა ყურადღება“. მან ისტორიკოსთა ნაშრომებზე დაყრდნობით,

სრულიად წარმოადგინა დიდგორის ომის მიზეზები, დასაწყისი და დასასრული.

დიდგორის ბრძოლისა და თბილისის შემოერთების შესახებ წყაროები დაცულია ქართულ, აღმოსავლურ და ევროპულ ენებზე. პირველ წყაროდ მიჩნეულია XII საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ ისტორიკოსთა თხზულება, რომლის ვინაობა უცნობია. მას დაწერილი აქვს „ცხოვრება მეფე დავითისა“. ის დავითის უმცროსი თანამედროვე იყო. ამ ისტორიკოსს დავითის ცხოვრება დაბადებიდან სიკვდილის ჩათვლით აქვს დაწერილი. მას მიაჩნია, რომ დიდგორის ბრძოლა უფრო მეტად ქებისა და დიდების ღირსია, ვიდრე ალექსანდრე მაკედონელის ბრძოლების.

დიდგორის ომისა და თბილისის შემოერთების შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდის XII საუკუნის პირველი ნახევრის სომეხი ისტორიკოსი მათე ურაჰაელი, რომელიც აღფრთოვანებულია დავითის მხედრული მამაცობით.

დავით აღმაშენებლის ცხოვრებას შეეხნენ თურქი ისტორიკოსებიც, აჰმად იბნ ლიდტფულა და ფაჰიკი, აგრეთვე არაბი ისტორიკოს იბნ ალ ასირი.

დიდგორის ბრძოლის საინტერესო ცნობებს იძლევა ფრანგი ისტორიკოსი გოტიე, თუმცა მის ცნობებში შეიძლება ბევრი რამ გაზვიადებული იყოს.

პირველი ქართველი ისტორიკოსი, რომელიც საფუძვლიანად აღწერა დავითის მთელი მოღვაწეობა და დიდგორის ომი არის ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757), რომელმაც თავის „საქართველოს ცხოვრებაში“ დიდი ადგილი დაუთმო დიდგორის ომს. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფრანგმა აკადემიკოსმა მარი ბროსემაც (1826-1890), რომელმაც გოტიეს ცნობები თარგმნა ქართულად.

დავით აღმაშენებელზე და, კერძოდ, დიდგორის ომის შესწავლაში ახალი საფეხური შექმნა ივანე ჯავახიშვილმა (1876-1940). მან 1914 წელს გამოაქვეყნა „ქართველი ერის ისტორიის“ მე-2 წიგნი, სადაც საფუძვლიანად არის გადმოცემული დავით აღმაშენებლის მთელი მოღვაწეობა და დიდგორის ბრძოლაც.

საქართველოში დიდი ზემოთ აღინიშნა დიდგორის სახელოვანი ბრძოლის 850 წლისთავი. ახლა უშუალოდ შევეხოთ დიდგორის ბრძოლას.

დიდგორის ომში, გოტიეს ცნობით, 600 000 კაცს მიუღია მონაწილეობა. ხოლო სომეხი მემატიანის ცნობით, მაჰმადიანთა შეერთებული ლაშქარი 560 000 ალწევდა. ეს ცნობა ივანე ჯავახიშვილს გაზვიადებულად მიაჩნია. იგი ვარაუდობდა, რომ მტრის ლაშქარში 300 000 იქნებოდა.

შოთა მესხიას ცნობით, დიდგორის ომში მონაწილეობდნენ: ნეჯ-ად-დინ ილ-ლაზი, აუღებლად მიჩნეული ციხის მარდინის მფლობელი, სახელგანთქმული სარდალი.

დურბეიზი – არაბეთის მეფე, რომელიც იყო სიძე ილ-ლაზისა.

თორხულ მოჰამედის ძე ყაზვინის, ზენჯანის, გილანის, განძის გამგებელი.

განძის ათაბაგი – გენ თოლლი.

დიდგორის ომში მონაწილეობას იღებდნენ სომხეთის ტერიტორიის წვრილ-წვრილი გამგებლები. აი, ასეთი იყო ის დიდი კოალიცია, რომელსაც სარდლობდა ილ-ლაზი.

სულთანსა და მის ლაშქარს გადაწყვეტილი ჰქონდა, გაეჟლიტა და ერთიანად მოესპო ქართველები. ისინი დარწმუნებული იყვნენ თავიანთ გამარჯვებაში. იცოდა თუ არა დავით აღმაშენებელმა მტრის ლაშქრის სამზადისი და განზრახვა? დიას, იცოდა და ამისთვის საგანგებოდაც ემზადებოდა.

მტრის ლაშქარი როცა თრიალეთს მოუახლოვდა, ქართველი მხედრობა უკვე დაბანაკებული იყო და მტრის გამოჩენას ელოდა.

ომის დაწყების წინ დავით აღმაშენებელმა თავის ლაშქარს ასე მიმართა: „ეჰა, მეომარნო ქრისტესანო, თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართ, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთს რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისთვის და სარგებლიანობისათვის კარგი იქნება: ესაა, რომ ჩვენ ყველამ, ხელთა ცისამდე აჰყრობით, ძლიერ ღმერთს აღქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისთვის ამ ბრძოლის ველზე

უფრო მოვკვდებით, ვიდრე გავიქცევით და რომ არ შეგვეძლოს გაქცევა, რომც მოვინდომოთ, ამ ხეობის შესასვლელი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხოსტებით შევკრათ და მტკიცე გულით მტერს, როცა მოგვიახლოვდებიან ჩვენზე იერიშის მოსატანად, სასტიკად შევეუტიოთ“. დავითის სიტყვას მთელი ლაშქარი დაეთანხმა.

ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, მტრის ლაშქარი შემოვიდა მანგლის-თრიალეთის გზით. მტერი მანგლის-დიდგორზე უნდა მისულიყო 10 აგვისტომდე. დავითსაც ადრე უნდა განელაგებინა თავისი ლაშქარი თრიალეთის ხეობაში, ნიჩბისის წყლის სათავეში.

აქ ერთი დეტალი ისიც უნდა მივანიშნოთ, რომ დავით აღმაშენებელმა იმ 40 000 განვრთნილი ყივჩაღიდან ბრძოლაში გამოიყვანა მხოლოდ 15 000 რჩეული მეომარი და ეს შემთხვევითი არც იყო, ვინაიდან ქართველს უფრო მეტად შესტკიოდა გული, ვიდრე ყივჩაღებს. ქართველთაგან ბრძოლაში მონაწილეობდა 40 000 კაცი, ამ უკვდავ ბრძოლაში აგრეთვე მონაწილეობას იღებდა 500 მეომარი ალანთა (ოსთა) ტომისგან და 100 „ფრანგი“ ჯვაროსანი. ე.ი. დავით აღმაშენებელმა ურიცხვ მტერს დაუპირისპირა 55 600 მებრძოლი.

დავით აღმაშენებლის ლაშქარი იდგა ხეობაში ორ მთათა შორის დაბურულ ტყეში. ამ ლაშქრობაში მისი შვილი დემეტრეც იღებდა მონაწილეობას. ლაშქრის ერთი ნაწილი დემეტრეს სარდლობით დაბანაკებული იყო მეორე მთაზე.

მეომარ მხარეთა ყველა სამზადისი 1121 წლის 12 აგვისტოს დამთავრებული იყო. მანგლისის მახლობლად, დიდგორის მისადგომებთან, ერთმანეთის პირისპირ იდგა ორი ლაშქარი და ბრძოლის დაწყებას ელოდა. ქართველ ლაშქარში ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, ხოლო თურქთა ლაშქარში დიდი მხიარულება იყო. ისინი წინასწარ ზეიმობდნენ გამარჯვებას.

ის-ის იყო, ბრძოლა თურქებს უნდა დაენწყოთ, რომ ამ დროს ქართველთა ლაშქარს გამოეყო 200 მეომრისგან შემდგარი რაზმი და მტრისკენ დაიძრა ისე, რომ იარაღი დაშვებული ჰქონდათ. მტერს მოეჩვენა, რომ ისინი ნებდებოდნენ და უბრძოლველად შე-

უშვეს თურქმანთა ლაშქრის შუაგულში და, როცა მათ ხმლები იშიშვლეს, მაშინვე მამა-შვილმა მკაცრი იერიში დაიწყეს მტრის წინააღმდეგ. მტერი დაიბნა, ბრძოლას გაქცევა ამჯობინა. ისინი ისე გარბოდნენ, რომ ფეხებით ერთმანეთს თელავდნენ. თურქმანთა სარდალი ილ-ლაზი თავში დაჭრილიყო. გოტიეს ცნობით, ნახევრად მკვდარი ილ-ლაზი მირბოდა უკან. მას ერთი წლის თავზე დამბლა დაეცა და მოკვდა.

საისტორიო წყაროების მიხედვით, გაქცეულ მტერს 8 დღე სდიეს და ერთიანად გაჟლიტეს.

სომეხი მემატიანე გვამცნობს, რომ დიდგორის ბრძოლაში მტრის დახოცილთა რიცხვმა 400 000 მიაღწია, ხოლო 30 000 ქართველებს ტყვედ ჩაუვარდა.

დიდგორის ომს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა „ძლევაი საკვირველი“ ანუ გამარჯვებაი საკვირველი უწოდა.

ამ ბრძოლაში ქართველთა მსხვერპლი მცირე იყო, ქართველებმა დიდი ნადავლი ჩაიგდეს ხელთ.

დავით აღმაშენებლის მიერ თურქმენების განდევნის შემდეგ 1124 წელს ანისის მოქალაქეებმა დავით აღმაშენებელს ანისი ჩააბარეს.

ოთხი საუკუნე გასულიყო, რაც თბილისი მტრის ხელში იტანჯებოდა, როგორც კი დიდგორის ომი დამთავრდა, რომელსაც დავითმა სამი საათი მოანდომა, დავითმა ალყა შემოარტყა თბილისს, მაგრამ ბრძოლა მაშინვე არ დაუწყია. გარკვეული მიზეზების გამო ის მოერიდა ზედმეტ სისხლისღვრას. მოელოდა, ეგებ მტერი გონს მოეგოს და უსისხლოდ დამნებდესო. გაიმართა მოლაპარაკება, მაგრამ თბილისის ამირა გაჯიუტდა და მაინც არ დანებდა. ამ მდგომარეობას საშინლად გაუბრაზებია დავითი და აუღია ქალაქი, მუსრი გაუვლია, გაუჟღეცია, 500 კაცი სარზე ჩამოუცვამს და წამებით მოუკლავს, ქალაქის დიდი ნაწილისთვის ცეცხლი წაუკიდებია. ასეთი სიმკაცრე დიდხანს არ გაგრძელებულა და რაკი მტერი მთლად დაამარცხა, შემდეგ ქართველ მეფეს დიდი გულმონყალება გამოუჩენია ქალაქში მცხოვრები მუსლიმების მიმართ. მუსლიმების უბნებში

სადაც ქრისტიანებიც ცხოვრობდნენ, აიკრძალა ღორის ყოლა და დაკვლა. მაჰმადიანებს თავისუფალი ლოცვის უფლება მისცა. მაჰმადიანების აბანოში აეკრძალა შესვლა ქრისტიანებს და ებრაელებს. დავითი ყოველ პარასკევს თავის შვილ დემეტრესთან ერთად მეჩეთში შედიოდა, ისმენდა ლოცვებს და ყურანს კითხულობდა. მან ააშენა მათთვის ქარვასლები. მემატიანე იმასაც გვეუბნება, რომ დავითი უფრო მეტ პატივს სცემდა მუსლიმებს, ვიდრე თავად მუსლიმებო.

თბილისის ალების შემდეგ დავითმა დაანესა ყოველწლიური გადასახადი, ქრისტიანებისთვის 5 დინარი, ებრაელებისთვის 4 დინარი, მუსლიმანებისთვის 3 დინარი.

თბილისისთვის დავითის მიერ ალყის შემორტყმა, როგორც შოთა მესხია წერს უნდა დაწყებულიყო დიდგორის ბრძოლის დამთავრებამდე, 1121 წლის აგვისტო-სექტემბერში, ხოლო მისი ალება 1122 წლის დამდეგს მოხდა.

თბილისის ალების შემდეგ დავითმა მეფის რეზიდენცია ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა. საქართველოს სატახტო ქალაქი კვლავ თბილისი გახდა.

თბილისის შემოერთების შემდეგ დადგა ჯერი დმანისისა და სამხრეთის სხვა ქალაქების შემოერთებისა. 1123 წელს, თბილისის ალებიდან ერთი წლის თავზე, სულთან მაჰმუდმა შარვანზე გაილაშქრა, შარვან შაჰი შეიპყრო. იგი ქართველი მეფის მომხრე და მორჩილი იყო. სულთან მაჰმუდმა დავით აღმაშენებელს მოსწერა: „შენ ტყე-თა მეფე ხარ და ველზე გამოსვლას ვერ გაბედავო. შენი ყმადნაფიცი შარვან შაჰი შეპყრობილი მყავს, ხარაჯას ვართმევ, შენც გირჩევ ძღვენი გამომიგზავნო ან გამოდი, რას იმალები, ველზე შემხვდიო“.

დავით აღმაშენებელმა, რომელსაც არ უყვარდა საქმის გადადება, სწრაფად შეჰყარა თავისი ლაშქარი და 50 000 მეომრით შარვანისაკენ გაემართა და როცა მსტოვრებმა მოახსენეს სულთან მაჰმუდს, დავითი უამრავი ლაშქრით მოდის შენს წინააღმდეგო, მან სწრაფად აჰყარა ჯარი და ქალაქში შეიყვანა. დავითმა ქალაქის გარეთ დააბანაკა თავისი ლაშქარი. სულ რამდენიმე დღე არ იყო გა-

სული, ქალაქი დაიშმა. ახლა სულთან იმას ცდილობდა, როგორმე გასცლოდა ქალაქს, მაგრამ ის ვერ წავიდოდა, რადგან ქალაქგარეთ დავითი იდგა თავისი მხედრობით. სულთანს სხვა გზა აღარ ჰქონდა, ან შიმშილით უნდა ამოეხოცა თავისი ლაშქარი, ან დავითს დანებებულიყო. ახლა მან თვითონ გამოუგზავნა ძღვენი დავითს და სთხოვა, გზა მიეცა მისთვის, რათა უკან დაბრუნებულიყო. ამ დროს კი მათ მოსაშველებლად გაბედულად მოეშურებოდა რანის ათაბაგი აღსუნული დიდი მხედრობით. მან არ იცოდა, რომ სულთან დავითს ქალაქში ჰყავდა ჩაკეტილი. რანის ათაბაგი პირდაპირ დავითის ლაშქარს წააწყდა და როგორც ვახტანგ ჭელიძე წერს, მას პირკატა ეცა. დავითმა სწრაფად გაჟლიტა მისი მეომრები, ხოლო მან ძლივს მოასწრო გაქცევა და მარტო მივარდა სულთანს, რომელსაც სხვა გზა აღარ ჰქონდა და იმავ დამეს გაპარვა მოახერხა. ამის შემდეგ დავითმა სამხრეთის მხარე და აღმოსავლეთის მხარე სულ დაიპყრო და განმინდა თურქებისაგან.

ამ ოპერაციების ჩატარების შემდეგ დავითი თავისი ლაშქრით თრიალეთში მობრუნდა, ლაშქარი დაითხოვა დასასვენებლად, მაგრამ ლაშქარს დასვენება არ ეწერა. 20 აგვისტოს მეფეს თრიალეთშივე ეწვივნენ ანელთა თავადნი და სთხოვეს ქალაქის გათავისუფლება, რომელსაც ფლობდა წარმოშობით თურქი მანუჩარი. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, ქალაქი ანისი მიეყიდა ყარსის სელჩუკ ამირასათვის 60 000 დინარად. ამის გამო 1124 წელს ანისის მოქალაქეთა წარმომადგენლებმა დავით მეფეს ანისის ჩაბარება შესთავაზეს.

დავით აღმაშენებელმა, როგორც სჩვეოდა მას, სწრაფად შეჰყარა ლაშქარი და 60 000 არმიით თავს დაეცა ანისს, რომელიც სამ დღეში აიღო და სწრაფადვე გაათავისუფლა ურჯულოებისაგან. დავითმა მოაწესრიგა იქ საქმეები და ისევ აღმოსავლეთისაკენ გაემურა. აიღო ქალაქი შამახია და ციხე ბირიტი. ციხეებსა და ქალაქებში თავისი ხალხი ჩააყენა, საბოლოოდ, შარვანი საქართველოს შემოუერთა და იქ გამგებლად მთავარეპისკოპოსი ბედიელ-ალავერდელი

სვიმონი დანიშნა, რომელიც იყო დავითის ერთგული მეგობრის გიორგი მნიგნობართუხუცესის დისწული, ხოლო ციხეებსა და ქალაქებში კახელები და ჰერები ჩააყენა. ეს ფაქტი კვლავ იმაზე მიგვიჩვენებს, რომ დავითი იყო უდიდესი შორსმჭვრეტელი.

დავითის ბოლო ლაშქრობებმა სულ დააბნინეს სულთანი. ის შიშით ძრწოდა, ამიტომ იყო, რომ ის და სხვა ამირები დიდძალ ძღვენს უგზავნიდნენ დავითს.

მეფე დავითი მეტად გულმონყალე ადამიანი იყო. მას ჰქონდა საგანგებო ქისაკი, რომლითაც გაჭირვებულებს და ღარიბებს ეხმარებოდა, დილით რომ გამოდიოდა ქალაქში ფულით სავსე ქისა თან დაჰქონდა. როცა ფულს დაარიგებდა და ქისაკს დასცლიდა, მაშინ კმაყოფილი იყო, ხოლო იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ ქისაკში ფული რჩებოდა. ასეთ შემთხვევებში, მასში უკმაყოფილების გრძნობა სჭარბობდა.

დავით აღმაშენებელი დიდი პატივისცემით ეპყრობოდა სხვა ხალხებს და მათ სარწმუნოებას. ცნობილი ქართველი ისტორიკოსი დავით ბაქრაძე წერდა: „დავითი დიდი პატივით ეპყრობოდა, როგორც ეროვნებას სომხისას, ისე მის სარწმუნოებას“.

დავითმა ისლამი ისე კარგად იცოდა, რომ განჯის ყადს ყურანის საკითხზე ხშირად ეკამათებოდა.

დავითს განსაკუთრებით წიგნების კითხვა უყვარდა. იგი ხშირად კითხულობდა ერთსა და იმავეს. ნაკითხვის შემდეგ წერტილს დაუსვამდა და წლის ბოლოს დათვლიდა წერტილებს. ლაშქრობის დროსაც წიგნები თან დაჰქონდა, რომლებსაც შესვენების დროს კითხულობდა. ერთხელ ისე გართობილა წიგნის კითხვით, რომ ვერ გაუგია თავის მცირე რაზმს როგორ დაესხა მტერი, ხოლო როცა ბრძოლის ხმა გაუგია, მაშინვე გაჭრილა მათკენ და ისე თავგამოდებით უბრძოლია, რომ ყველა დაუხოცავს და ხმალი ისე გამრუდება, რომ ქარქაშში ველარ ჩაუდია.

დავით აღმაშენებელი მრავალმხრივი მოღვაწე იყო, მან დიდი მასშტაბით დაიწყო ქვეყნის გაერთიანება და მშენებლობა, რომელსაც 36 წელი მოანდომა.

ილია ჭავჭავაძე დავით აღმაშენებლის

მოღვაწეობას დიდად აფასებდა. მან 1888 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს დაწერა საგაზეთო წერილი, რომელიც ასე იწყება: „არ ვიცი სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“... „დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვანი მეფობითა, არამედ თავისი დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი თავდადებული მოყვარე თავისი ერის და მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვა ეროვნებისაც და სარწმუნოებისაც“.

შემდეგ განაგრძობს ილია „ამ მართლა და დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას. აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი განუფრთხო და განუტევა, და დღეს თუ ჩვენ ბინაზე ვართ, – ეს იქნება იმისი ღვაწლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს. დიდება სახელსა მისსა“ (ი. ჭავჭავაძე, რჩეული წიგნი I, გვ. 212-214).

დავით აღმაშენებელი ძალიან ბევრს ზრუნავდა საქართველოს გარეთ არსებულ სავანეებზე, იქ არსებულ ტაძრებზე და სამწერლო კერებზე. მან საგანგებო სახლი აუგო მაჰმადიან პოეტებსა და მოაზროვნეებს. თავისუფალ დროს გადიოდა ქუჩებში, უსმენდა ხალხს და რჩევას აძლევდა. ზემოაღნიშნული ღონისძიებების უნაკლოდ განხორციელების გამო, მართლაც, საქართველოს ისტორიაში ერთადერთ და განუმეორებელ მეფე დავითს „აღმაშენებელი“ უწოდა მომავალმა თაობამ.

ინურებოდა 1124 წელი... დაღლილ-დაქანცულ მეფე დავითს, რომელსაც 60-მდე დიდი და პატარა ბრძოლა წარმატებით ჰქონდა გადახდილი, თანდათან ეპარებოდა სიკვდილი, თუმცა სიკვდილმა ადრევე სცადა მისი მოკვლა, როცა გელათის ტაძრის მშენებლობის დროს გუმბათიდან გადმოვარდა, როცა ფეოდალების მიერ ნასროლმა ისარმა გულზე ჩამოკიდებული ხატი შუაზე გაუპო. მაშინაც, როცა ცხენზე ამხედრებული მეფე წიგნების კითხვით გართული მუხრანის სანახებს მიყვებოდა და

როდესაც უეცრად გამოვარდნილმა ირემმა შეანყვებინა კითხვა, მშვილ-ისარი მოიმარჯვა, ცხენი სწრაფად მოსხლიტა, გააქანა, ვერ შეამჩნია ჩანგრეული ხრამი, ცხენი ამ ხრამს შეასკდა და უნაგირიანად მიწას დასცა დავითი. ისე მძიმედ დაშავდა, რომ სამი დღე უსულოდ იყო და მხოლოდ სისხლს ალბინებდა. მაგრამ მაშინ დაძლეული იქნა სიკვდილი, ხოლო ახლა 1124-1125 წლების გზაგასაყარზე დავითის ფიზიკური მდგომარეობა თანდათან მძიმდებოდა. იგრძნო რა სიკვდილის მოახლოება, მთლიანად ანდერძზე ფიქრებში ჩაღრმავდა, სწუხდა იმაზეც, რომ გელათის დიდებული კომპლექსის დამთავრება ვერ მოასწრო. სწუხს იმაზეც, რომ თავის შვილი ვახტანგი უნლოვანი დარჩა და დემეტრეს თხოვს, გაზარდოს მისი ძმა და მისი მეფობის დამთავრების შემდეგ მეფე გახდეს ვახტანგი და არა დემეტრეს შვილი.

დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა 1124 წლის 24 იანვარს. თბილისიდან ქუთაისს წაასვენეს და მის მიერ აშენებულ გელათის მონასტერში დაკრძალეს. ამიერიდან საქართველოს დროშას – გორგასლიანს დაემატა დავითიანი.

დავითის ხსენების დღედ ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ 26 იანვარი დაანწესა.

დავითი გამეფდა 16 წლისა, იმეფა 36 წელიწადი, გარდაიცვალა 52 წლისა.

დავითი ასე იწოდებოდა: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშაჰ და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმპყრობელობით მპყრობელი“.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დავით აღმაშენებელმა განუმეორებელი ეპოქა შექმნა საქართველოს ისტორიაში, რომ მისი ღვაწლი და დამსახურება განუზომლად დიდია. იგი ნამდვილად იყო დიდი მამულები ნიჭიერი, ბრძენი მმართველი. ამის დაუნახაობა და დაუფასებლობა დიდი უმადურობა იქნება. ამიტომ ილია ჭავჭავაძე მართალი იყო, როცა ამბობდა: „ამისთანა კაცის არ ხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა, რომელმაც იგი შვა და თავისი ძუძუთი გამოზარდა“ (ი. ჭავჭავაძე, რჩეული წიგნი I, გვ.216).

დავით აღმაშენებლის თანამედროვეს, არსენ იყალთოელს დავითზე დაუნერია ოთხტაეპიანი ლექსი. ამ ლექსის ოთხი სტრიქონი დაუნერიათ დავითის საფლავის ქვაზე, რომელიც XIX საუკუნის ცნობილ ქართველ მოღვაწეს მ. საბანიანს ძლივს ამოუკითხავს, რადგანაც წარწერა თითქმის წაშლილი იყო იმ დროს.

აი ეს ეპიტაფია (წარწერა):

„ვინ ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი ჰურად დამესხნეს,

თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართე გარეთ გამესხნეს,

თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,

აწი ამათსა მოქმედსა გულზედა ხელი დამესხნეს.“

მიმაჩნია, რომ ყველა ქართველმა და არა მარტო ქართველმა, არამედ საქართველოში მცხოვრებმა ყველა ერის წარმომადგენელმა კარგად უნდა იცოდეს დავით აღმაშენებლის ისტორია, მისი ეპოქა, რომლითაც მკაფიოდ დაინყო ახალი ეტაპი საქართველოს ისტორიაში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვახტანგ ჭელიძე – „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“. წიგნი III – IV;
2. შოთა მესხია – „საისტორიო ძიებანი“. ტომი III;
3. ივანე ჯავახიშვილი – თხზულებანი 12 ტომად. ტომი II;
4. ილია ჭავჭავაძე – „რჩეული წიგნი“ I, გამოცემული 1974 წ.;
5. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ ტომები;
6. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ III ტომი;
7. ლევან სანიკიძე – „წიგნი მონამეთა“, გამოცემული 1988 წ.

### ალექსანდრე გიგიაშვილი

ყვარლის რაიონი, სოფ. ენისელში მცხოვრები 86 წლის ისტორიკოსი

**წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემია**

აკადემიის მოამბე №1

აზრი მოქმედებაში

თბილისი, 0186, სანდრო ეულის ქუჩა №3

მარტვილის რაიონი, მარტვილის ქუჩა №28

ელ-ფოსტა: [Gchacademy@gmail.com](mailto:Gchacademy@gmail.com)

გამომცემლობა „ინტელექტი“

თბილისი, ილია ჭავჭავაძის პროსპექტი №5



ISSN 2449-2639



9 772449 263001